

**სამეცნიერო შრომები**

**Наукові праці**

**Scientific Proceedings**

**XIV**

**ТБІЛІСЬКИЙ ДЕРЖАВНИЙ УНІВЕРСИТЕТ ІМЕНІ  
ІВАНЕ ДЖАВАХІШВІЛІ**

**ІНСТИТУТ УКРАЇНІСТИКИ**

**РВНЗ КРИМСЬКИЙ ГУМАНІТАРНИЙ УНІВЕРСИТЕТ**

**НАУКОВІ**

**ПРАЦІ**

**(до 100-річчя від дня смерті Лесі Українки)**

**XIV**

Тбілісі 2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

უკრაინისტიკის ინსტიტუტი

ყირიმის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

## სამეცნიერო

## შრომები

(მიღწეული ლესია უკრაინკას გარდაცვალებიდან  
100 წლისთავისადმი)

XIV



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**IVANE JAVAKHISVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

**INSTITUTE OF UKRAINIAN STUDIES**

**CRIMEAN STATE HUMANITARIAN UNIVERSITY**

**SCIENTIFIC**

**PROCEEDINGS**

(Dedicated to the centenary of Lesya Ukrainka's death)

**XIV**

Tbilisi 2014

**მთავარი რედაქტორი: ოთარ ბაქანიძე**

**სარედაქციო კოლეგია:**

დარეჯან თვალთვაძე

ნანა გაფრინდაშვილი

სვეტლანა კოჩერგა

ნინო ნასყიდაშვილი

ივანე მჭედელაძე

სოფიო ჩხატარაშვილი

**Редакційна колегія:**

Дареджан Твалтвადзе

Нана Гапріндашвілі

Світлана Кочерга

Ніно Наскідашвілі

Іване Мчедელაძე

Софіо Чхатарашвілі

2013 წელს შესრულდა ასი წელი ლესია უკრაინკას გარდაცვალებიდან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უკრაინისტიკის ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევით დაიგეგმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში ჩაერთო კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ნაციონალური უნივერსიტეტი, ყირიმის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, ლესია უკრაინკას სახელობის აღმოსავლეთ ევროპის ნაციონალური უნივერსიტეტი (ქ. ლუცკი), ჟიტომირის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რივნოს სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1 და 2 აგვისტოს.

უკრაინისტიკის ინსტიტუტმა დასაბუქდად მოამზადა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელშეწყობით ხორციელდება.

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებულში შეტანილია კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები. კრებული განკუთვნილია ფილოლოგიური მეცნიერებების პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

2013 року виповнилося 100 літ із дня смерті Лесі Українки. Загальними зусиллями факультету гуманітарних наук та Інституту україністики Тбіліського державного університету імені Іване Джавахішвілі була запланована міжнародна наукова конференція. Співорганізаторами конференції виступили Київський національний університет імені Тараса Шевченка, РВНЗ "Кримський гуманітарний університет" (м. Ялта), Східноєвропейський національний університет імені Лесі Українки (м. Луцьк), Житомирський державний університет, Рівненський гуманітарний університет. Міжнародна конференція відбувалася у Тбіліському державному університеті 1 та 2 серпня 2013 року.

Інститут україністики підготував матеріали наукової конференції для друку, що відбувається за підтримки факультету гуманітарних наук.

У запропонований збірник наукових праць внесені доповіді, прочитані на міжнародній конференції. Збірник адресований читачам, зацікавленим проблемами філологічних наук.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, უკრაინისტიკის ინსტიტუტი  
(თბილისი, საქართველო)*

## **ლესია უკრაინკას შემოქმედებითი მოღვაწეობა ქუთაისში**

ლესია უკრაინკა (ლარისა პეტროს ასული კოსაჩი) უკრაინული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელია.

დიდი და მძიმე გზა განვლო პოეტმა, სანამ უკრაინაში ფეხადგმული გოგონა საქართველოში დაასრულებდა თავის სიცოცხლეს როგორც პოეზიის სამეფოში – პარნასში აღზევებული მგოსანი.

მგოსნის ცხოვრება და მოღვაწეობა რამდენადმე საქართველოსთან იყო დაკავშირებული. საქართველოში – თბილისში, თელავში, ხონსა და ქუთაისში შექმნა მხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც მისი სახელი საერთაშორისო ლიტერატურულ ასპარეზზე გააჟღერეს.

1910 წლის ოქტომბერში ლესია უკრაინკა ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ქუთაისურმა ზაფხულმა, გაცოცხლებულმა წარმტაცმა ბუნებამ, საინტერესო ხალხთან შეხვედრებმა მგოსანში გააღვივეს შემოქმედებითი ნაღვერდალი. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ კვლავ ამეტყველდა პოეტის მუზა და მთელი ხმით იმღერა სიცოცხლისა და სიყვარულის ჰიმნი. 1911 წლის ივლისში, სულ რაღაც თორმეტიოდე დღეში ლესია უკრაინკამ შექმნა უკვდავი დრამატული ნაწარმოები „ტყის სიმღერა“.

ავტორმა მას უწოდა დრამა-ფეერია. ამ ფილოსოფიურ-პოეტურ დრამაში ხდება უჩვეულო მოვლენები, სადაც ადა-

მიანებთან ერთად მოქმედებენ ზღაპრული პერსონაჟები. ფეერია ფრანგული სიტყვაა, რომელიც წარმოიქმნა სიტყვიდან „ფეია-ფერია“, რაც პირდაპირი გაგებით ნიშნავს თეატრალურ ან საცირკო დადგმას მითურ-ზღაპრულ სიუჟეტზე.

ლესია უკრაინკას დიდი სურვილი ჰქონდა თავის ნაწარმოებებში გამოეყენებინა ხალხური ზნე-ჩვეულებები და თქმულებები, გადმოცემები. „ტყის სიმღერის“ შექმნამდე, ჯერ კიდევ ბავშვობაში მას იზიდავდა ხალხური შემოქმედება, ფოლკლორი. იგი გატაცებით ეცნობოდა ძველ თქმულებებსა თუ ხალხურ თქმებს, ხალხის ცხოვრების სულიერ სამყაროს.

ლესია უკრაინკა ახალგაზრდობაშივე კრებდა და ინერდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. კლიმენტ კვიტკასთან დაახლოების შემდეგ მან ეს საქმიანობა უფრო ინტენსიურად წარმართა. 1902 წელს კიევეში მათ გამოსცეს კრებული „ბავშვთა თამაშობანი, სიმღერები და ზღაპრები ვოლინის გუბერნიის, კოველის, ლუცკის და ნოვოგრად-ვოლინსკის მაზრებისა, შეკრებილი ლარისა კოსაჩის მიერ. მუსიკა ჩაინერა კ. კვიტკამ.“ ხოლო 1908 წელს ლესია უკრაინკამ მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია პოლტავშიჩინაში, სადაც ფოლკლორისტმა თ. კოლესმა ფონოგრაფზე ჩაინერა უკრაინული ხალხური ფიქრები, მათ შორის ცნობილი კობზარის მიხაილო კრავჩენკოს რეპერტუარი. ამ დროისათვის თვით ლესიამ ჩაინერა კობზარი გნატ გონჩარენკო. ამ მუშაობის შედეგები „უკრაინული ხალხური ფიქრების მელოდები“ ორ ნაწილად (1910-1913) გამოქვეყნდა ლვოვში.

ლესია უკრაინკა შემდგომაც გულმოდგინედ მუშაობდა ხალხური სიმღერების შეკრებაზე. მოგროვილი მასალა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ 1917-1918 წლებში გამოქვეყნდა სათაურით – „ხალხური მელოდები ლესია უკრაინკას ხმაზე ჩაინერა და შეადგინა კლიმენტ კვიტკამ.“



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს პუბლიკაცია დიდი შენაძენი იყო უკრაინული ფოლკლორისტიკისათვის.

აი, ასეთ დიდ ინტერესს იჩენდა მგოსანი უკრაინული ფოლკლორისადმი. ღრმა ინტერესი და გატაცება ემჩნეოდა მას ხალხური გადმოცემების, თქმულებებისა თუ ლეგენდებისადმი. პოეტი იმასხოვრებდა, ისრუტავდა ყოველივეს, რაც ზღაპრულ-რეალურ, საიდუმლოებით მოცულ სამყაროსა თუ მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

ეს დაგროვილი ცოდნა-ინფორმაცია პოეტმა გამოიყენა დრამა-ფეერიის „ტყის სიმღერა“ შექმნის პროცესში. „ტყის სიმღერა“ აღიარებული შედეგურია ლესია უკრაინკას შემოქმედებაში. ეს ნაწარმოები ჭეშმარიტად ხალხურია, უპირველესად სილამაზის, სიყვარულის ხალხური გაგებით. ესაა ნაწარმოები სიცოცხლის, სიყვარულის, სილამაზის ჰარმონიულობისა და მწერლის მშობელი უკრაინელი ხალხის უკვდავებაზე.

„ტყის სიმღერა“ პოეტის დრამატული შემოქმედების ზენიტია. იგი შთაგონებულია უკრაინული ხალხური შემოქმედებით, უკრაინელი ხალხის გმირული ცხოვრება-სწრაფვით სიმართლისა და სინათლისაკენ.

XX საუკუნის დამდეგს ბევრი მწერალი და საერთოდ ხელოვანი ხალხური ხელოვნების სახეებსა და ფორმებს იყენებდა თავის შემოქმედებაში. მითოლოგიით დაინტერესება გამონკეული იყო ხელოვნების არა მხოლოდ განახლების სურვილითა და მოთხოვნილებით, არამედ თვით ხელოვანების დაინტერესებით „ადამიანთა ფსიქიკის საიდუმლოებათა“ ამოხსნით, ადამიანთა ფსიქიკის საიდუმლო კუნჭულებში ჩანვდომის სურვილით, უცნობის, ამოუხსნელის გადმოცემის სურვილით.

XX საუკუნის დასაწყისში, უკრაინული ლიტერატურა, რომელიც განვითარების დასავლეთევროპული გზით მიემართებოდა, დაინტერესდა მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში დამკვიდრებული სიახლეებით, ახალი მიმდინარეობებით.

ლესია უკრაინკას დრამა-ფეერია შეიქმნა უკრაინულ ფოლკლორულ-მითოლოგიურ, ხალხურ წყაროებზე დაყრდნობით, შეიქმნა პოეტური და ტრაგიკული დრამა ადამიანების მაღალ და სპეტაკ ოცნებაზე, მათ სწრაფვაზე სილამაზისა და მშვენიერებისადმი, ჭეშმარიტი სიყვარულისადმი.

დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“ უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მასში აირეკლა მწერლის ფიქრთა კორიანტელი, სახეთა პოეტურობა, რეალურობისა და ფანტაზიის ჰარმონიული ერთიანობა.

დრამაში პოეტი სვამს და ცდილობს გადაწყვიტოს სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულისა და სიძულვილის, ერთგულებისა და ღალატის მარადიული პრობლემა. ამავე დროს დრამა-ფეერიას აქვს კიდევ ისეთი პრობლემა, რომელიც დღეს განსაკუთრებით მწვავედ ჟღერს – ესაა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ტრაგიკულობის, ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების პრობლემა.

დრამა-ფეერიის ერთ-ერთი მთავარი კონფლიქტია მარადიული წინააღმდეგობა ადამიანის მაღალ მოწოდებასა და ყოველდღიურობის წვრილმანს შორის, რომელიც ადამიანთა სულის პოეზიას ხშირად ანგრევს.

ამ ფილოსოფიურ-პოეტურ ქმნილებაში მოქმედებენ ორი სამყაროს წარმომადგენლები – ადამიანები და ბუნების, სამყაროს არსებანი. დრამაში მოქმედი გმირების სახეები ავტორს აღებული აქვს ხალხური თქმულებებიდან და რეალური ცხოვრებიდან. თავის მხრივ, ფანტასტიკური სახეები კეთილსა და ბოროტ ძალებს წარმოადგენენ. აქ არიან უკრაინული ხალხური მითოლოგიის გმირები: ტყისა და ველის ფერიები, ტყისკაცი, წყლისკაცი, ქაჯი, „ის, ვინც ანგრევს ჯებირებს“, „ის, ვინც კლდეში ზის“ და სხვები. ეს მითოლოგიური სახეები დრამაში სიმბოლური შინაარსით ივსებიან. ტყისა და წყლის სამყარო გაცოცხლებულია. ისინი თავისი ცხოვრებით

ცხოვრობენ. ესაა მხოლოდ, მათ სიკეთისა და ბოროტების თავისი გაგება აქვთ. ისინი, ამავე დროს, „დაჯილდოებული“ არიან ადამიანების ხასიათის, ბუნების ზოგიერთი თვისებით.

მწერალი იყენებს ხალხურ გადმოცემებს ტყის პერსონიფიცირებული ძალების შესახებ და თავის ნაწარმოებში ამ ძალებს უშუალოდ ახვედრებს, აკავშირებს ცოცხალ ადამიანებს: ჭაბუკ ლუკაშს, ძია ლევს და სხვებს.

„ტყის სიმღერაში“ ორი სანწყისის – კეთილი და ბოროტი სანწყისის – ურთიერთბრძოლის, შერკინების სურათია წარმოდგენილი. დრამის ყოველი მოქმედი გმირი, ცოცხალი ადამიანი თუ თქმულებიდან ამოსული, ორ ერთიმეორის სანინააღმდეგო ძალას წარმოადგენს. ერთი მათგანია თავისუფლების მოყვარული, ნათელი ძალა, რომელიც იმარჯვებს ბნელზე, ბოროტებაზე, კეთილი ძალა – რომელიც ამარცხებს ანგარებას და კერძომესაკუთრულ ინტერესებს, ხოლო მეორე – სიავისა და ბოროტების გამომხატველი ძალა, რომელიც ყოველი მშვენიერებისა და ჭეშმარიტად ადამიანურის მოსპობას ლამობს.

ლესია უკრაინკა მისი დიდებული წინამორბედების, პუშკინის, გოგოლისა და შევჩენკოს, კოციუბინსკისა თუ სხვათა მსგავსად შესანიშნავად ახერხებს ფანტასტიკურისა და რეალურის ურთიერთშერწყმას, აღწევს რეალური, ადამიანური გრძნობებისა თუ განწყობილებების გადმოცემას.

ფოლკლორულ-მითური, ზღაპრული მასალა ლესია უკრაინკამ ორგანულად გადაამუშავა საკუთარ სულში და ფილოსოფიურად გაიაზრა, განაზოგადა იგი. ამიტომაცაა, რომ „ტყის სიმღერა“ აღიქმება, როგორც ნათელი ჰუმანური იდეალების უკვდავება. დრამა-ფეერიის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტი წარმოჩენილია ორი მხარის დაპირისპირებაში – მაღალ პოეტურ ოცნებასა და პრაქტიციზმით შეზღუდული სოფლის მოსახლეობის რეალურ ცხოვრებას შორის.

ბუნების სამყაროს ძალებთან კონტაქტში შედიან ვოლინელი მცხოვრებლები – ახალგაზრდა ლუკაში, მისი ბიძა ლევი, ლუკაშის დედა, ახალგაზრდა ქალი კილინა.

ლესია კარგად იცნობდა ვოლინის ბუნებასა და ადამიანებს, რამაც მას საშუალება მისცა შეენიშნა ის საერთო, რაც მათ აერთიანებდათ, აგრეთვე ისიც, რაც მათთვის არ იყო მისაღები. ადამიანებსა და ტყის არსებებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ნაწარმოებში იძლევა კონფლიქტის წარმოშობის საბაბს, რაც ლესია უკრაინკამ გამოიყენა დრამა-ფეერიის სიუჟეტში. სწორედ ამ კონფლიქტში იხსნება ორივე მხარის წარმომადგენლების ხასიათები და ამ პროცესში ხდება ავტორის ჩანაფიქრის რეალიზაცია.

რაც შეეხება დრამა-ფეერიის კომპოზიციას. დრამა-ფეერია ავტორმა წარმოადგინა პროლოგით და სამი მოქმედებით. ნაწარმოების ლერძი მავკასა და ლუკაშს შორის ინტიმური გრძნობების, მათი ურთიერთობის პროცესია. ნაწარმოების სწორად გაგებაში გვეხმარება ავტორისეული ვრცელი რემარკები, რაც ხელს უწყობს მკითხველს, უფრო ღრმად ჩაიხედოს მოქმედი გმირების სულში და რეალურად წარმოიდგინოს მათი განცდები.

პროლოგში მოქმედების დრო ადრეული გაზაფხულია, როდესაც ბუნება იღვიძებს. მოქმედების არეა – ვოლინის ტყე-ველი და მის შუაგულში აღმართული საუკუნოვანი მუხა. ტყის ნაპირის გასწვრივ და მინდორზე ამწვანებულია პირველი ოთხკუთხა მცენარე... ჰყვავის ენძელა და იელი. ხეები ჯერ კიდევ შიშველია, მაგრამ მათ უკვე უხვად გამოუღიათ კვირტები, რომლებიც სადაცაა უნდა გაიშალონ. ბუნებას ჯერ კიდევ სძინავს, მაგრამ იგრძნობა, რომ მალე გამოიღვიძებს. გაისმის ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის, ლუკაშის სალამურის გულში ჩამწვდომი ხმა, „ნაზი, ხუჭუჭა, როგორც ის ვითარდება, ისე ვითარდება ყველაფერი ტყეში“ (უკრაინკა, 1971:472).

პროლოგში დახატულია ის გარემო, სადაც უნდა განვითარდეს მოქმედება. პირველ მოქმედებაში ტყიდან პატარა ტაფობზე გამოდიან ძია ლევი და მისი ძმისშვილი ლუკაში. ლევი ხანდაზმული, დარბაისელი კაცია. ლუკაში ლამაზი, ტანადი ახალგაზრდაა, თვალეში რალაც ბავშვური უციმციმებს (უკრაინკა, 1971:472).

ასეთი გარემო შეუმზადა ავტორმა თავისი დრამა-ფერის მთავარ გმირებს პირველი შეხვედრისათვის, როდესაც პირველი ნაბიჯები უნდა გადადგან ერთმანეთთან დასაახლოვებლად მავკამ და ლუკაშმა. ლესია უკრაინკამ მთელი ბუნება ჩართო, აამოქმედა ამ ახალგაზრდების გრძნობების გასალვიძებლად და შესანიშნავი ფონი შეუქმნა მათი სიყვარულის დასაწყისს. ამ დროს ჩაისახება მავკასა და ლუკაშის სიყვარული. მკითხველის თვალწინ გადაიშლება მათი სულის, მათი სიყვარულის პოეტურობა.

მავკას ლუკაში შეუყვარდება. სამუდამოდ. იბადება სიყვარული ახალგაზრდებს შორის. ბუნება თავისებურად რეაგირებს ამაზე. სიხარულით ეხმაურება მათ სიყვარულს. „ლუკაშის გაზაფხულის სიმღერას, – წერს თავის რემარკაში ავტორი, – ეხმაურება ჯერ გუგული, შემდეგ ბუღბუღი. უფრო წარმტაცად იფურჩქნება ველური ვარდი. უფრო თეთრად ელვარებს ძახველის ყვავილები. სინითლე ემატება კუნელს. უფოთლო, შავი გლერძიც კი შლის ნაზ ყვავილებს. მოჯადოებული მავკა ნელა ირწევა, იღიმება, ცრემლიან თვალეში კი სევედა უჭვივის“.

ასე გადაეცემა მავკასა და ლუკაშის განცდები ბუნებას, ასეთი რეაქცია აქვს მას ამ ახალგაზრდებში დაბადებული გრძნობის მიმართ. ბუნება იზიარებს მათ სიხარულს და მიესალმება მას თავისებურად.

მავკას ასეთი განცდა არასოდეს ჰქონია. მისთვის ეს უცნაური მოვლენაა. ლუკაშის მიერ გამოთლილი სალამურის ნაზმა

ხმამ ზამთრის ძილისაგან გამოაღვიძა მავკა და აუჩქროლა გული. ლუკაშის კოცნაზე მავკა წამოიძახებს – „ოი, ვარსკვლავი ჩამივარდა გულში“. საინტერესოა მავკას მონოლოგი, რომელსც იგი მოქმედების დასასრულს წარმოთქვამს, როდესაც ლუკაში გადის სცენიდან და მავკა მარტო რჩება:

ნეტავი მალე ნახვიდე ლამევ.  
არ კი გენყინოს! ჯერ დღით სიამე  
და სიხარული მე ხომ არ ვიცი  
ისეთი, შენთან რომ განმიცდია.  
ძენწავ, რადა გაქვს სევდის იერი?  
ხედავ, დობილო, ვარ ბედნიერი!  
*(თარგმნა რაჟდენ გვეტაძემ)*

მავკა გულს გადაუშლის ბუნებას, იგი ხომ შეყვარებულია, ფიქრობს და ღელავს თავის სიყვარულზე, რომლის მსგავსი მას არ განუცდია. მას აღელვებს ტირიფის ცრემლები:

ტყევე, ჩემო მამავ, მირჩიე რამე,  
როგორ შევკვეცო ფრთები ამ ლამეს?  
ლამე მოკლეა, ლოდინი – გრძელი.  
რა მელის: შვება თუ დარდი მწველი?

მავკას მონოლოგები მკითველს საშუალებას აძლევს ჩაიხედოს ყმანვილი ქალის გულში, ამოიცნოს მისი შინაგანი სამყარო, იგრძნოს ის მუხტი, რომელიც ღრმა დრამატულ განწყობას ქმნის და გასდევს მთელ ნაწარმოებს.

მავკაში წმინდა სიყვარულმა იფეთქა ახალგაზრდა ვაჟკაცის ლუკაშის მიმართ. ლუკაში უბრალო, სოფლის ჩვეულებრივი მცხოვრებია, ადამიანთა სამყაროს წარმომადგენელი.

მავკა ლუკაშის სიყვარულის გამო სთმობს ტყის სამეფოს, რომელთანაც მთელი არსებით იყო დაკავშირებული და სა-

დაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა. მავკა დგამს ამ ნაბიჯს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნება ამის წინააღმდეგია, ამაზე მიანიშნებენ მას ტირიფის ცრემლები თუ ძენის სევდის იერი. მავკა მიდის ადამიანებთან. მავკას ჰყავს, როგორც თვითონ უწოდებს, ბაბუა, ტყისკაცი, რომელიც აფრთხილებს მას, რომ ადამიანები სასტიკნი, დაუნდობელნი არიან, ბუნებას უდიერად, უხეშად ექცევიან. ტყისკაცი ცდილობს, შთააგონოს მავკას, რომ მას, ბუნების შვილს, თავისიანად არასოდეს მიიღებენ და აღიარებენ:

ადამიანთა ცქერა, თუნდ შორით,  
ტყის ასულთათვის სახიფათოა.

ეუბნება ტყისკაცი მავკას. „გაერთე ქართან, მთისჭაბუკთან, ტყე, წყალი, ქარი, მაღალი მთები ყველა მოხიბლე“, მაგრამ გთხოვ, შვილო

ადამიანთა ერიდო გზა-კვალს.  
უსიხარულო არის მათი გზა.  
იქ ყველა ზიდავს თავის სევდის ტვირთს,  
ერიდე ამ გზას. თუ ერთხელ მაინც  
შედექი მასზე, დაკარგავ შვებას!

ტყისკაცი ცდილობს შეაგნებინოს მავკას, რომ ადამიანებთან მისვლით იგი ყველაფერს დაკარგავს, მათ შორის თავისუფლებას. „მე კი მსურს, მიყვარს თავისუფლება“, ეუბნება იგი მავკას. მაგრამ სიყვარული იმდენად ძლიერი გრძნობა აღმოჩნდა, რომ მავკა ყოველგვარი მოსაზრებებისა და დასაბუთების წინააღმდეგ წავიდა. მან არ მიიღო, არ გაიზიარა არავისი რჩევა, აზრი და წავიდა ლუკაშთან. ეს იყო მავკას ტრაგიკული ნაბიჯი. იგი განერიდა მის მშობლიურ ტყეს და ადამიანებთან წავიდა, თანაც ცუდ ადამიანებთან, მაგრამ მა-

ინც ადამიანებთან. იქ დაატყდა კიდეც თავს მას უბედურება, იქ იგემა ცხოვრების სიმწარე.

მეორე მოქმედებაში მძაფრდება მავკას განცდები. უკვე გვიანი ზაფხულია. მან თავისი საზრუნავი მოიტანა, ტყეში მოვიდნენ ადამიანები. ტბასთან ქოხი ჩადგეს. ადამიანების მიერ მოყვანილმა ფრინველებმა, ბატებმა ტბის ანკარა წყალი აამღვრიეს, ადამიანებმა ბალახი მოთიბეს და დაზვინეს. ადამიანები ჩასახლდნენ ბუნებაში და თან მოიტანეს მრავალი საზრუნავი. მათ თან მოჰყვათ ავი სულები. მავკა ადამიანებთან ერთადაა. ბუნების წიაღში ადამიანების მისვლის შემდეგ იკარგება, ქრება პოეზია. მავკა ისევე, როგორც ლუკაში, კარგავს თავისუფლებას, ხდება ყოველდღიური საზრუნავის, ყოფითი წვრილმანების ტყვე: საქონელს მწყემსავს, ქოხში შეშას ეზიდება, ყანას თესავს და სხვა. იგი მთელი გულითა და სულით ცდილობს მოემსახუროს დედამთილს, მაგრამ ლუკაშის ჭირვეული და ნერვიული დედის გული ვერაფრით მოიგო. მას მოქიშპეც მალე გამოუჩნდა, ვითომ თავდადებული, მშრომელი ქალის კილინას სახით.

ტყისკაცი მავკას საყვედურობს მისი საქციელის გამო. „ჩემო ასულო, – მიმართავს იგი მავკას, – შენ დაისაჯე ლალატისათვის“. მავკა გაოცებულია, მან არ იცის, ვის უღალატა. მაშინ ტყისკაცი უხსნის მავკას მიერ ადამიანებთან მისასვლელად გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობას და ეუბნება, რომ მან უღალატა საკუთარ თავს.

დატოვე დიდი შენ მწვერვალები,  
და წვრილ ბილიკზე დაეშვი დაბლა.  
ვის ჰგავხარ ახლა? უბრალო მსახურს  
მსახურს, რომელსაც გარჯით უნდოდა  
ეპოვა მცირე ბედნიერება.  
მაგრამ ვერ შეძლო. მხოლოდ სირცხვილი  
ჯერ კიდევე უშლის იქცეს მათხოვრად.



ტყისკაცი, მიუხედავად ასეთი მკაცრი განაჩენისა, მავკას უხსნის, რომ ჯერ ყველაფერი არ დალუპულა. „შენ დაგავინყადა, რომ მწუხარება, სამარადისოდ ვერ სძლევს მშვენებას“. შენ კვლავ შეგიძლია დაიბრუნო ბედნიერება, დაბრუნდე შენს ბუნებაში, ტყეში, იხარო და იზეიმო.

პიესაში მავკა ავტორმა გამოიყვანა, როგორც ყოველივე ამაღლებულის, თავისუფლების მოყვარულის, კეთილისა და ნათელის გამომხატველი. იგი ამავე დროს არის კეთილი სული, რომელიც ადამიანთა საზოგადოების კერძომესაკუთრულმა ინტერესებმა შეინირეს. მას რაღაც არაჩვეულებრივი მეგობრობა, სიყვარული აკავშირებს ლუკაშთან. გლეხის ოჯახში ტყის ფერიას ბევრი გაჭირვების გადატანა მოუხდება. სიღარიბე, კერძომესაკუთრული ინტერესები ბღალავენ და წამლავენ წრფელ გრძნობას. ლუკაში ვერ შეძლებს ბოლომდე გაიგოს მავკას ფაქიზი სიყვარული. იგი გადანყვეტს კილინაზე დაქორწინებას. მავკა გაოგნებულია, მას შეუძლია ძლიერი სიყვარული, ერთგულება, მაგრამ არ შეუძლია იბრძოლოს თავისი სიყვარულისათვის. იგი მას კარგავს.

მაღალი, წმინდა სულიერების სამყარო შეეჩეხება მერკანტილურ სამყაროს. ლუკაშის დედის გავლენით შეიქმნება ისეთი ვითარება, რომელსაც ტრაგიკული მოტივი შემოაქვს დრამა-ფეერიაში. ლუკაშში მინელდება სიყვარულის გრძნობა. მას გაუცვივდება გული მავკას მიმართ. იგი ქორწინდება ქვრივ კილინაზე. ეს ლუკაშის დედის არჩევანიც იყო. მავკამ ძლიერი დარტყმა მიიღო.

გადის ზაფხული და სიყვარულის დასასრულიც მოდის. აღარ გალობს სალამური, აღარ ისმის გულსჩამწვდომი მისი ხმა, არც სიმღერები მისთვის. ლუკაში თითქოს შეიცვალა. მის სულში ქრება პოეზია და მასთან ერთად, რაც ამაღლებული და წარმატებული იყო მასში.

მძიმე დღეები დადგა როგორც მავკასათვის, ისე ლუკაშისთვისაც. მათი ცხოვრება უშინაარსო და დაძაბული გახდა, აზრი დაკარგა. ასეთმა ვითარებამ ადამიანი შეიძლება დაღუპვამდე მიიყვანოს. თავის დროს ლუკაშს ბედნიერება ეწვია. მან გაასხივოსნა და აღაგზნო მისი სული, შთაბერა სიცოცხლის ძლიერი ცეცხლი, მაგრამ გარემოებათა გამო, მან ვერ შეძლო ბოლომდე დამტკბარიყო მიღებული ბედნიერებით. მან დაკარგა სიყვარული და, მაშასადამე, ბედნიერება. უღალატა სიყვარულს და ამით გააღარიბა, გაანადგურა თავისი სული, უმიზნო გახდა საკუთარი სიცოცხლე. არადა, ბედნიერება, რომელიც გაზაფხულზე ეწვია მას მავკას სიყვარულის სახით ხანგრძლივი, მარადიული იქნებოდა უთუოდ.

მავკას უჭირს გაიგოს ადამიანთა ურთიერთობის არსი. ლუკაშის დედას „ტყის მოდგმის არავინ უყვარს“. იგი ავალეებს მავკას, მომკას ყანა. მავკას არ შეუძლია ამ სამუშაოს შესრულება. ნამგლით ხელსაც კი გაიჭრის, რათა მკის დროს არ დაამსხვრიოს მინდვრის ფერიის სილამაზე.

მავკამ ლუკაშში ის შენიშნა, რაც არ ჰქონდათ მის მეგობრებს, იგი ადამიანში აფასებს სულიერ სილამაზეს, შემოქმედებას. მავკასთნ საუბარში ლუკაშს ეჭვი ებადება, რომ მას საყვედურობენ, რაზედაც მავკა პასუხობს:

არა, არ გყვედრი, მხოლოდ მანუხებს,  
რომ შენ არ ძალგიდს შენი ცხოვრება,  
შენს მოწოდებას გაუთანაბრო.

ლუკაშს არ ესმის მავკას სიტყვების აზრი. ტყუილად უმტკიცებენ მავკას მინდვრის ფერია და მთის ჭაბუკი, რომ „ბედნიერება სწრაფად მდინარებს, კარგია, მარად რაც ჰქრის და ფრინავს!“ „ის, ვინც ზის კლდეში“ – ბოროტი ძალა, მავკას გაიტაცებს სიბნელის სამყაროში. მავკა მღერის სიმღერას თავისუფლებაზე, მგზნებარე სიყვარულზე, მაგრამ

მინიდან ამომართულმა შავმა, უზარმაზარმა მოჩვენებამ, მავკას წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი წაიყვანა „შორს ქვეყანაში“, სადაც

ქარსაც ვერ მოაქვს და იქ ვერ აღწევს  
თავისუფლების ამაო ჰანგი.

მაგრამ ავტორის ჩანაფიქრით ფერია არ შეიძლება დაი-  
ლუპოს.

განწირული მავკა წარმოთქვამს უდრეკი ქალიშვილის  
შთამბეჭდავ სიტყვებს:

მე ცოცხალი ვარ! ვიქნები მარად!  
გულში მაქვს ის, რაც უკვდავი არის!

მესამე მოქმედებაში მავკამ მიაკვლია იმ სიტყვას, „რომე-  
ლიც გამხეცებულს აქცევს კაცად“, ადამიანობას უბრუნებს.  
ძია ლევის გარდაცვალების შემდეგ, ლუკაშისა და მისი ოჯა-  
ხის ურთიერთობა ბუნებასთან იძაბება. მისმა ოჯახმა ურთი-  
ერთობა განწყვიტა ბუნებასა და მის სამყაროსთან, კონფლიქ-  
ტში აღმოჩნდა მასთან. ქუცი ამბობს:

ამ ქალებს არ შეუძლიათ,  
როგორც წესია, ჩვენთან ცხოვრება, –  
გაყიდეს თხა და ის მუხაც მოჭრეს  
და დაარღვიეს ამით პირობა.

იმის გამო, რომ ადამიანებმა დაარღვიეს პირობა და ზიანი  
მიაყენეს ბუნებას, მათ სამაგიერო გადაუხადეს. ქაჯმა მათ  
პირუტყვი დაუხოცა,

წყლისკაცმა თივა აქცია ობად,  
უმამომოებმა – პური დაალპეს,  
ხოლო უჟმური მათ აცახცახებს,  
რადგან მთელი ტბა აავსეს ძენძით.  
ტყეში სიკეთე მათ აღარ ელით.  
იქ ზლიდენებიც უკვე დადიან.

ბუნებამ ომი გამოუცხადა უკეთურ ადამიანებს.

დრამა შედის დაძაბულობის სტადიაში. ლუკაშმა თავის თავს უღალატა და ამით გასწირა თავი. მან ვერ შეძლო ცხოვრების ისე წარმართვა, რომ მისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

ნაწარმოებში ალეგორიულად არის წარმოჩენილი, რომ სიცოცხლე არ შეიძლება მოკლა ისევე, როგორც მარადიული სწრაფვა ბედნიერებისაკენ, სილამაზისაკენ, თავისუფლებისაკენ. „ზამთარსაც აქვს დასასრული“ და მის შემდეგ მოვა გაზაფხული. ასე მთავრდება „შემოდგომის ზღაპარი“. გაცოცხლდებიან ახალ სამყაროში პრინცესაც და მავკაც, მავკა მალე გახდება სასურველი შვილი ტყისთვის. მალე ტყე ისევ გაუხსნის თავის გულს მავკას და ისევ გააცოცხლებს, გაახალისებს თავისი სილმაზით.

სიღარიბე და ყოველდღიური წვრილმანი საზრუნავი დრამაში აქვეითებს და აქრობს კიდევ ოცნების სურვილს, ანელებს სიყვარულის გზნებას. მიუხედავად იმისა, რომ ლუკაში მავკას აღარ აქცევს ყურადღებას, უგულებელყოფს მას, ტყის ფერია მაინც მიდის მის ქოხთან, გარდაიქმნება ძენწად, თითქმის გამხმარ ძენწად.

ტყის სამეფოში მიბრუნებული ფერია, ტყის შრიალში თუ სალამურის ხმაში განაგრძობს სიცოცხლეს. მავკა ისევ გაცოცხლდება ლუკაშის სიმღერებში, სალამურის ჟღერაში. იგი მარადიულად ცოცხლობს სიყვარულის მელოდიაში.

კლინას მისი თავიდან მოცილება უნდა და ამ მიზნით ლუკას ხელში ნაჯახს მისცემს. ლუკაში ერთი-ორს შემოჰკრავს ხეს და შეჩერდება. „არ შემოძლია, ხელს აღარ ვახლებ... გული მეკუმშვის“, ამბობს ლუკაში. კლინა ლუკას ხელიდან გამოსტაცებს ნაჯახს და მთელი ძალ-ღონით მოუქნევს ძენნას. ამ დროს ცეცხლის გველმეტეორის სახით ციდან დაეშვება მთის ჭაბუკი და ძენნას შემოეხვევა. ხეს ცეცხლი მოედება. ცეცხლის ალი ხის კენწერომდე მიაღწევს. გადწვდება ქოხს და ხანძარი მთელ ქოხს მოიცავს.

დედა მიმართავს ლუკას – აქ რას უდგახარ, გადაარჩინე შენი ქონებაო. ლუკაშის პასუხი კი ასეთია – „ქონება, მაგრამ იქნებ დაინვას იქ ბოროტებაც“?.

ლუკაში ძენნისაგან გამოთლილ სალამურს ააკენესებს, თავისი ცოდვის, დანაშაულის აღიარება-მონანიების ერთადერთ საშუალებას. ლუკაში გარდაიქმნება. მის თვალეში სულ სხვა სხივი ჩადგება. მის წინაშე წარმოდგება რალაც გამჭვირვალე, აჩრდილი, რომელიც გარეგნულად მავკას ჰგავს. იგი ლუკასს სთხოვს:

გულს ხმა გაეცი, ო, დაუკარი,  
გულილა დამრჩა მე სანუკვარი.

აჩრდილი ამშვიდებს ლუკას და ახსენებს მას, რომ მან სული მისცა მავკას:

... ძვირფასო, შენ მე მომეცი  
სული ისე, ვით აძლევს ხმას დიადს  
პირბასრი დანა უხმო ძენნის ტოტს.

დამწუხრებული ლუკაში მას შეესიტყვება:

სული მოგეცი? ტანი კი მოვსპე!

მავეკამ გააღვიძა ლუკაშში სილამაზის შეგრძნება, მუსიკის ნიჭი. მავეკას ბრძოლა ადამიანებისთვის – ბუნების სრულყოფილობის გვირგვინია. აკი ამბობს ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ძია ლევი:

ტყის მოდგმა სულაც არაა ბილნი,  
ტყიდან გამოდის მთელი სიმდიდრე.

ლუკაშის დედა მას სარკასტულად ეპასუხება, რაზედაც ძია ლევი მნიშვნელოვანი ფრაზით პასუხობს:

გარნმუნებ და შეიძლება  
ტყის ქალი იქცეს ადამიანად.

სამწუხაროდ, მავეკას არ მისცეს საშუალება სრულად გამოეჩინა თავისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი და ღირსეულად დაეკავებინა მათ შორის ადგილი. მავეკას სწრაფვა ლუკაშისა და ზოგადად ადამიანებისადმი ტრაგიკულად დამთავრდა.

ადამიანურმა სიყვარულმა შთაბერა მავეკას სული, დაუსახა მიზანი და მისცა აზრი მის პოეტურ სანყისს. ლუკაშის სიყვარულის გარეშე მას არ შეეძლებოდა ასე გაკეთილშობილება, მაღალ, სპეტაკ იდეალებამდე აღზევება.

სილამაზისა და მშვენიერების განსახიერებას, ტყის ფერიის მავეკას მხატვრულ სახეს ლესია უკრაინკამ სოციალურ-ფილოსოფიური დატვირთვა მისცა. მავეკა უკვდავია, როგორც თვით ბუნება. იგი ხალხის ოცნების განსახიერებაა ბედნიერებაზე, თავისუფალ ცხოვრებაზე. ტყის ფერია მავეკა ამავე დროს უწყვეტ კავშირშია ხალხთან.

სხვაგვარი განმარტება, განსახიერება აქვს მავეკებს ფოლკლორში. ისინი ხალხს თავს მოაჩვენებენ კარგ, კეთილ არსე-

ბებად. როგორც კი რომელიმე ახალგაზრდა მამაკაცი მავკას თვალს დაადგამს, ფერია მას სიკვდილის პირამდე მიიყვანს, ან თავს მოჭრის.

ლესია უკრაინკას დრამა-ფეერიაში ტყის ფერია მავკა თვითონ მოიხიბლა ლუკაშით, მისი სალამურის ხმით. როგორც ვხედავთ, მავკა ლესია უკრაინკას მიერ ორიგინალურადაა ინტერპრეტირებული.

მავკას სიყვარულით გაბედნიერებული ლუკაშის ტრაგედია კი ის არის, რომ იგი გაორებულია. მას არ შეუძლია ამაღლდეს კერძომესაკუთრული ოჯახის ინტერესებზე. დედამისი და კილინა არ აძლევენ მას ამის საშუალებას. ისინი თავიანთი მერკანტილური მოთხოვნილებებით, უხეში ინდივიდუალიზმით ლუკაშში ახშობენ კეთილ სანწყისს, რომელიც მავკასთან მეგობრობით მას ებადებოდა.

ტყის ფერიის მავკას ნაზი და მომხიბვლელი მხატვრული სახე თავისი სისპეტაკითა და კეთილშობილური სულისკვეთებით ერთგვარად ბედნიერებაზე ლესია უკრაინკას ოცნების პოეტიზაციას წარმოადგენს.

მავკა იბრძოდა ადამიანისათვის ბუნების სამყაროში. მისი შეჯახება, შებრძოლება ადამიანთა იმ სამყაროსთან ტრაგიკულად დასრულდა. ჩანს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მავკას დრო მოსული.

ასეთი იყო ლესია უკრაინკას ლირიკული გმირი ტყის ფერია მავკა. მის მხატვრულ სახეში მწერალმა ჩააქსოვა მთელი თავისი გრძნობა-ხელოვნება და მასთან ერთად, ნაწილობრივ, თავისი თავიც წარმოაჩინა.

ლესია უკრაინკამ ლიტერატურაში შემოიყვანა გმირთა მთელი გალერეა, ადამიანთა მდიდარი სამყარო, რომელთაც მახვილი გონება და მგზნებარე გული აქვთ, ბრძოლის წყურვილი და ძალა გააჩნიათ, სიმართლისა და ადამიანური ბედნიერებისათვის ბრძოლის სურვილი აქვთ.

დრამა-ფეერია ამ მხრივ გამონაკლისი არაა. მწერალმა „ტყის სიმღერაში“ ორი სამყაროს – ადამიანთა და ბუნების სამყაროს – საინტერესო გმირები გამოიყვანა, რომლებსაც თავისი ხასიათი და ბუნება გააჩნიათ. ყოველი მათგანის მხატვრული სახე დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავია. ასე მაგალითად, ავტორი გულთბილად გვიხატავს ძია ლევს, რომელსაც ესმის ტყის საიდუმლოება, ხედავს მის სილამაზეს. იგი კეთილმეგობრულ ურთიერთობაშია ტყის კეთილ ფანტასტიკურ არსებებთან და იოლად ამარცხებს ბოროტ სულებს.

დრამა-ფეერიაში გამოკვეთილი მხატვრული სახეებია ლუკაშის დედის, კლინასი და სხვების. დრამა-ფეერიის მთავარ გმირთა ხვედრი მძიმე და ტრაგიკულია, მაგრამ მიუხედავად ამისა მთელ ნაწარმოებში ჟღერს ოპტიმისტური მოტივი ყოველივე მშვენიერების, ადამიანურობის, პოეტურობის უძლეველობის შესახებ.

ლესია უკრაინკას დრამა-ფეერია ჭეშმარიტად ეროვნული ნაწარმოებია, მასში უკრაინული ფოლკლორის მხატვრული სახეები მაღალ ფილოსოფიურ-ეთიკურ გააზრებამდეა აყვანილი. იგი უკრაინული ლიტერატურის უაღრესად პოეტური ქმნილებაა, სადაც მითურმა პერსონაჟებმა მავკამ, ტყისკაცმა, მთის ჭაბუკმა, ფერიებმა ავტორს საშუალება მისცეს ფართოდ გაეშალა თავისი ფანტაზია ზღაპრულ-ფეერიულ სპექტრში.

დრამა-ფეერიაში ტყე შემოქმედების წყაროა. ბუნებას დრამაში დიდი როლი აქვს დაკისრებული. იგი მოქმედ გმირებთან ერთად განიცდის სიხარულსაც და სიმწარესაც. მათი ეს ერთიანობა თითქმის ყოველ სურათში, აქტში ჩანს და იგი გარეგნულადაც შესამჩნევი ხდება. როდესაც მავკას ბედნიერება ესტუმრება და მის სიხარულს ტყე იზიარებს, ხის ტოტებზე კვირტები გაიშლება, ხოლო თუ მავკას გული სტკივა და რაიმეზე სწუხს, მგლის ყმუილი გაისმის ტყეში, ტყეც



დაღვრემილი ჩანს, ტექსტში ჩნდება ფოთლებჩამოყრილი ხე-  
ები და სხვ.

ტყე, ბუნება რეაგირებს მავკას, ლუკაშის განცდებზე, მათ  
სულიერ ძვრებზე. ლესია უკრაინკამ საოცარი ნიჭი გამოავ-  
ლინა ბუნების დახატვაში. მოქმედი გმირების, მავკასა თუ  
ლუკაშის სულიერი განწყობის შესაბამისად, დრამაში მოქმე-  
დების ხასიათის განვითარების მიხედვით მწერალი გვიხა-  
ტავს გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის ბუ-  
ნების შთამბეჭდავ სურათებს. იგი, შეიძლება ითქვას, ქმნის  
ფონს, მოქმედებისა და განწყობის ხასიათის, სურათის შე-  
საქმნელად. იგი ერთგვარად კამერტონია ადამიანის სულის  
მღელვარებისა. მსგავსი რამ ლესია უკრაინკას შემოქმედება-  
ში სხვა ნაწარმოებებში იშვიათად გვხვდება.

ძია ლევი იცავს ტყეს. მას ესმის ტყის საიდუმლოება,  
გრძნობს მის სილამაზეს. იგი კეთილმეზობლურ ურთიერ-  
ობაშია ტყის კეთილ, ფანტასტიკურ არსებებთან და ამი-  
ტომაც იოლად ამარცხებს ბოროტ სულებს. მისი განსაკუთ-  
რებული ზრუნვის საგანია გოლიათი ბერმუხა, რომელიც იქ-  
ვეა მის ქობთან. ძია ლევს, თუ მერკანტილური თვალთ შევ-  
ხედავთ, შეეძლო გაეყიდა და მასში საკმაო ფული აეღო. მაგ-  
რამ არა, იგი მუხაზე ხელს არავის აკიდებინებს. მუხა და ის  
ადგილი, სადაც იგი დგას, ძია ლევისათვის წმინდა ადგილია.  
იგი ამბობს, თითქოს ანდერძს ტოვებდეს, როცა მოვკვდები,  
აქ დამმარხეთო, მუხის ძირას:

მართალი გითხრა, თქვენი ტყის მოდგმა  
მე შემეყვარდა, და სიკვდილის წინ,  
ვით მხეცი ისევ მოვალ აქ ტყეში,  
რომ ამ მუხის ქვეშ ვპოვო სამარე...  
მუხავ! მაშინაც ხომ იდგომები,  
როცა სიკვდილი მომიგრებს კისერს?  
ეკითხება ძია ლევი ბერმუხას.

ლესია უკრაინკა დრამა-ფეერიის შექმნის დროს უხვად სარგებლობდა როგორც ფოლკლორული, ისე მითოლოგიური და სხვა წყაროებით. მწერალმა ხალხური პოეტური და მითოლოგიური სახეების ტრანსფორმირება მოახდინა და მათზე დაყრდნობით შექმნა არსებითად ავტორისეული მავკა. ასე მოიქცა იგი „კასანდრას“ შექმნის დროსაც. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კასანდრას ეპიზოდური როლი ჰქონდა გამოყოფილი. ლესია უკრაინკამ კასანდრა თავის ნაწარმოებში მთავარ როლში წარმოადგინა. ეს მოხდა მოძიებული მასალის გადამუშავების შედეგად. ცნობილმა მეცნიერმა ო. ბელეცკიმ აღნიშნა, რომ „ლესია უკრაინკას კასანდრას მხატვრული სახის მზა მასალა არ ჰქონდა“, მან მისი რეკონსტრუქცია მოახდინა სხვადასხვა მითისაგან აღებული მასალის მიხედვით და მათ ბაზაზე შექმნა ორიგინალური სიუჟეტი კასანდრას მეთაურობით.

„ტყის სიმღერა“ მართალია 10-12 დღეში დაიწერა, როგორც ამას თვით ლესია უკრაინკა აღნიშნავს, მაგრამ პოეტი ამასთან იმაზეც მიუთითებს, რომ დრამა-ფეერიის იდეას იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მეხსიერებაში, გონებაში ინახავდა და გულში ატარებდა. 1911 წლის 20 დეკემბერს ლესია უკრაინკა დედას, ოლენა პჩილკას ატყობინებდა: „მე... გამახსენდა ჩვენი ტყეები და მომენატრნენ ისინი, – წერდა იგი „ტყის სიმღერის“ შექმნის განწყობილებასთან დაკავშირებით, – მე ხომ დიდი ხანია „ველოლიავები“ ამ მავკას, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა შენ ჟაბორიციში მავკაზე რაღაცას მიყვებოდი, როცა ჩვენ რომელიღაც არც თუ ისე დიდ, მაგრამ ძალზე ხშირ ტყეში მივდიოდით... შემდეგ კოლოდიაჟნეში, მთვარიან ღამეს მე მარტო დავრბოდი ხოლმე ტყეში (ამის შესახებ თქვენ არავინ არაფერი იცოდით) და იქ ველოდი, რომ მავკა მომჩვენებოდა... ნეჩიმნიშიც მესიზმრებოდა იგი, როცა იქ გავათიეთ ღამე, გახსოვს? – ძია ლევ სკულინ-

სკისტან. ჩანს, ოდესმე მაინც უნდა დამეწერა მასზე. ჰოდა, აი, ახლა, არ ვიცი რატომ, „დადგა ჟამი“ – მე თვითონ არ შემიძლია, გავიგო, რატომ მომხიზლა ამ სახემ სამუდამოდ“. (უკრაინკა: 1956). ასე ესაუბრებოდა საქართველოდან ლესია უკრაინკა თავის დედას და ამგვარად უხსნიდა „ტყის სიმღერის“ შექმნის მიზეზებს. ეს დრამა არა მარტო ვოლინის მცხოვრებლებთან ურთიერთობის, მათთან საუბრის დროს მიღებული შთაბეჭდილების შედეგი იყო, არამედ მითოლოგიის, მსოფლიო ლიტერატურის შესწავლის ნაყოფიც.

უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში ერთ დროს ის აზრიც იყო გავრცელებული, რომ „ტყის სიმღერა“ შეიქმნა მხოლოდ ვოლინ-პოლესიეს ფოლკლორულ-მითოლოგიური წყაროების, მოტივების მოშველიებით. პოლესიეს წყაროებზე მიუთითებს ლესია უკრაინკას და ოლგა კოსაჩ-კრივინიუკიც თავის ნაწარმოებებში. ამ საკითხზე საუბრობს პოეტის მეუღლე, კლიმენტ კვიტკა. იგი წერს: „ლესია უკრაინკას უყვარდა პოლესიე, უმღეროდა მას „ტყის სიმღერაში“... დიდი სიყვარულით იხსენებდა ზვიაგელსაც (ნოვოგრად-ვოლინის ძველი სახელწოდება). ლესია უკრაინკას საყვარელ სიმღერებში საკმაოდ იყო ნახსენები ნოვოგრად-ვოლინსკი. მის მიერ ათვისებული და მისი გადიისაგან გაგონილი...“ (კვიტკა, 1971:252). ზოგიერთი სიმღერა ლესიამ გადაიღო სოფლის ბავშვებისაგან სოფელ ჟაბორინციში...“ (კვიტკა, 1971:253). იმ სოფელში ლესიას დედას ექსკურსია მოუწყვია და ლესიაც ნაუყვანია. ლესიას განსაკუთრებით ლუცკი და იქ მოსმენილი სიმღერები მოსწონებია.

ლესია უკრაინკამ თავის დრამა-ფეერიაში წარმოაჩინა ფოლკლორული და მითოლოგიური სამყაროს სახეები. რა თქმა უნდა, პოეტმა თავისი გმირების დასახატად მასალა მი-

თოლოგიიდან ან ფოლკლორიდან აიღო, მაგრამ საფუძვლიანად გადაამუშავა და ისე წარუდგინა თავის მკითხველს.

ერთ-ერთი წყარო, სადაც ლესია უკრაინკა თავისი დრამა ფეერიისათვის პოულობდა მასალას, იყო საგალობელთან, ალილოსთან დაკავშირებული სარიტუალო სიმღერები. ეს სიმღერები ჩაინერა ოლენა პჩილკამ სოფელ ზაპრუდლიში. ეს სიმღერები ლესიამ კარგად იცოდა და კლიმენტ კვიტკასთან ერთად ნოტებზეც გადაუღია. მსგავს თანხვედრას, მოტივაციას ლესია უკრაინკას დრამის ცალკეულ ადგილებსა და მოპოვებულ ფოლკლორულ მასალას შორის, ფოლკლორისტები საკმაოდ ნახულობენ. პოლესიეს ფოლკლორში არაერთი სიმღერა მოიძიება ადამიანის დამოკიდებულებაზე ტყესთან, ხეებს შორის დიალოგზე, მუხის საუბარზე ტირიფთან, სოკოსთან და სხვა.

მავეკას სახეს, ფოლკლორულის გარდა, ლიტერატურული ტრადიციაც გააჩნია უკრაინულ ლიტერატურაში. მავკა აქაიქ გამორჩეობდა ხოლმე უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებებში. ასე მაგალითად, ი. კოტლიარევსკის, ე. გრებინკას, ლ. გლიბოვის, მარკო ვოვჩოკის, ივან ფრანკოს, მიხაილო კოციუბინსკისა და სხვათა შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ მავკასთან დაკავშირებით ასე უხვია წიგნისმიერი წყარო, ლესია უკრაინკას მავკა მაინც მითოლოგიურ საწყისთან არის დაკავშირებული.

ლესია უკრაინკას დრამატურგია მრავალპლანიანი და პოლიფონიურია. სწორედ ამის მაგალითია დრამა-ფერია „ტყის სიღერა“, რომელშიც მალაღმბატვრულად არის გაერთიანებული ფოლკლორული ელემენტები და მითოლოგიური გააზრება. ტყის ფერიის ფოლკლორულ-მითური სახე ლესია უკრაინკამ ღრმად გაიაზრა და შემოქმედებითად გადაამუშავა, პოეტურად აახშიანა.

მაგკას ბოლო მონოლოგს დრამა-ფეერიაში ნაღველი დაჰკრავს, თუმცა იგი მაინც ოპტიმისტურია. მწერალს არ სჯერა, რომ მაგკა სამუდამოდ განშორდა ამ ქვეყანას, მას არც უნდა რომ ეს ასე მოხდეს, ამიტომაც ნაწარმოების დასასრულს, სადაც მაგკა ძეწნის მომღერალ ხედ არის გადაქცეული, იგი თავის სანუკვარ ჩანაფიქრზეც მიგვანიშნებს.

ნაწარმოების დასასრულს პოეტის მტკიცე რწმენაა წარმოჩენილი სულიერების უკვდავებაზე, სილამაზის მარადიულობაზე. მთელ პიესაში ნათლად არის გატარებული აზრი, რომ თავისუფალი სიცოცხლე იმარჯვებს დამონებულ ყოფაზე. „ნუ გენანება შენ ჩემი ტანი, – ეუბნება მაგკა ლუკაშს, – გიზგიზა ცეცხლით იგი გაბრწყინდა“, ცაში ატანილი ფერფლად იქცევა და დაუბრუნდება მიწას, რათა აღდგეს, კვლავ იხაროს:

ნუ გენანება შენ ჩემი ტანი,  
გიზგიზა ცეცხლით იგი გაბრწყინდა  
და აელვარდა, ვით ღვინო წმინდა,  
მწველ ნაპერწკლებად ცად ანატანი.  
ის მსუბუქ ფერფლად იქცევა მყისვე,  
როს მშობელ მიწას დაუბრუნდება.  
ახალ ძეწნის ხედ გაზრდის ბუნება,  
შობს ჩემი ბოლო სიცოცხლეს ისევ.  
როცა ვიქნები აქ კვლავ დარგული.

ფეერიის დასასრულს მაგკა „აელვარდება ძველებური სილამაზით“. ცხოვრების ნათელი ძალები იმარჯვებენ ბნელეთზე. ლესია უკრაინკა მღერის სიცოცხლის მარადიულობაზე, უსასრულობაზე. მაგკა უკვდავია, როგორც მისი მშობლიური ბუნება. ლესია უკრაინკამ დრამა-ფეერიის უკანასკნელ სურათში თქვა თავისი სიტყვა. მაგკა იწვის, ქრება ფიზიკურად. მაგრამ არა, არ ქრება სამუდამოდ. იგი ისევ უბ-

რუნდება მის მშობლიურ სამყაროს, დედამინას, სადაც მას ახალ ძენად გაზრდის ბუნება. ცხოვრების ნათელი ძალები იმარჯვებენ ბნელეთზე.

ასე წარმოაჩინა ლესია უკრაინკამ სულის, სიცოცხლის დიალექტიკა. არაფერი არ ქრება უკვალოდ ამ სამყაროში, ყველაფერი უბრუნდება თავის საწყისს.

ლუკაში ენით გამოუთქმელი სევდით უცქერის მავკას აჩრდილს, რომელიც მას მოევილინა. აჩრდილი – მავკა კი სამყაროდან გაუქრობლობის, თავისი უკვადავების წარმოჩინების შემდეგ სულის თრთოლვით წარმოთქმულ აღსარება-მონოლოგში ისევ და ისევ წარსულის მოსაგონარი მომაჯადოებელი ჰანგების ახმიანებას შესთხოვს და ევედრება ლუკაშს, მიმღერეო, რაც ჩამაგონე,

რასაც შენ ერთ დროს მე მიმღეროდი,  
რასაც გალობდი ძენის ღეროთი,  
ყველას, რაც ახლა წარსულს მაგონებს...  
გთხოვ, ეს ჰანგები კვლავ გამაგონო.

და ისევ ლესია უკრაინკას რემარკა ასრულებს კონტრაპუნქტის ფუნქციას.

ლუკაში იწყებს დაკვრას. სალამურის ხმა სევდიანია, როგორც ზამთრის ქარი, როგორც სინანული რაღაც დაკარგულის და დაუვინყარის გამო, ნათქვამია რემარკაში. მაგრამ მალე სევდას გამარჯვებული სიყვარულის ჰანგი ფარავს, და როგორც მოსალოდნელი იყო, ბუნებამ მიიღო გამოწვევა და თანდათან შეიცვალა ზამთრის გარემოც. ძენის ხე აშრიალებს ხუჭუჭა ფოთლებს, ახლადაყვავებული ტყე ეხმაურება გაზაფხულის ჰანგს. ზამთრის ნისლიანი დღე ნელ-ნელა ქრება და მის ნაცვლად დგება ნათელი, ზაფხულის მთვარიანი ღამე. სალამურის ნაზმა ხმამ, წარსულის მოგონებამ მავკას სული აუფო-

რიაქა. მავკა უეცრად იფეთქებს ადრინდელი სილამაზით. მის თავზე ვარსკვლავებიანი გვირგვინი გამოჩნდება.

ახალგაზრდებს წარსული დაეუფლათ. ბედნიერებით აღსავსე ლუკაში მიისწრაფვის მავკასკენ. ბუნება კვლავ მათთანაა. ქარი ხეებს გააცვენს ყვავილებს. ყვავილები ეფრქვევა შეყვარებულ წყვილს და ფარავს მათ. ცოტა ხნის შემდეგ ქარი ჩადგება.

ვუბრუნდებით რეალობას. ისევ გამოჩნდება ზამთრის სურათი. ხეების ტოტები თოვლითაა დაფარული. ბუნება არეკლავს სინამდვილეს, რაც ხდება მავკასა და ლუკაშს შორის. ამიტომაც სრულიადაც არ იყო მოულოდნელი ზამთრის გამოჩენა და იგი გამოჩნდა კიდევ.

ლუკაში მარტოა. ზის ძენის ძირას მარტო. ხელში სალამური უჭირავს. მისი ჯადოსნური იარაღი. ახლა უმოქმედო. თვალები დახუჭული აქვს. ტუჩებზე ბედნიერი ღიმილი შერჩენია. მავკასთან საოცარი შეხვედრის ანარეკლი. ძენის ხეს ზურგით მიყრდნობილი იგი უძრავადაა. თოვლი ნელ-ნელა ეფინება მის სხეულს. მალე თოვლის საბანში გაეხვია ლუკაში. თოვლი კი არ წყდება. სულ მოდის და მოდის.

დრამა-ფეერიის უკანასკნელ სურათში სამყაროს მატერიალისტური აღქმის ცდაა მოცემული, მატერიის მარადიულობაზეა მითითებული. ნაქვამია, რომ ცხოვრებაში არაფერი ქრება უკვალოდ, ყველაფერი ახლდება და დადგება დრო, როდესაც დამყარდება სრული ჰარმონია ადამიანების ცხოვრებაში.

ნაწარმოებში ყოველივე ემორჩილება ძირითად მოტივს – ადამიანის ბრძოლა თავისუფლებისათვის, ცხოვრების სილამაზისათვის, საუკეთესო სურვილების განხორციელებისათვის.

დრამა-ფეერიაში ლესია უკრაინკამ ჩააქსოვა თავისი სახეობრივი ოცნება ადამიანების ნათელ მომავალზე, ადამიანთა ბედნიერების ზეიმზე, როდესაც პირისაგან მიწისა აღიგ-

ვება ბოროტება და ანგარება, სიბინძურე და უმსგავსოება, ეგოიზმი და კაცთმოძულეობა, როდესაც წარმოუდგენელი იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, როდესაც შორეულ გადმოცემად დარჩება ზღაპარი სიშიშველებზე, შიმშილსა და სილატაკეზე, როდესაც ადამიანებს შეეძლებათ მთელი თავისი ენერგია, ნიჭი, შესაძლებლობანი საკეთილდღეო შრომას, კეთილ საქმეს მოახმარონ.

დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“ ლესია უკრაინკამ საქართველოში, ქუთაისში შექმნა. მან იგი ორიოდ კვირის განმავლობაში გადაიტანა ქალაქში: „უნდა გამოვტყდე, – წერდა ლესია უკრაინკა, – რომ ეს ახალი დრამაც (ახლა რომ გიგზავნი – „ტყის სიმღერა“) ჩემთვის რამდენადმე დაბრკოლებადა გადაიქცა, თუმცა მე მას ძალზე ცოტა ხნის განმავლობაში ვწერდი, 10-12 დღეს, და არ მენერა არაფრით არ შემეძლო... მაგრამ მას შემდეგ ავად გავხდი და ძალზე დიდხანს მოვუნდი სულის მობრუნებას“ (უკრაინკა, 1956:607).

ასე აელვარდა ლესია უკრაინკას მუზა საქართველოში, რასაც უთუოდ შეუწყო ხელი ქუთაისის მომხიბლავმა ბუნებამ, მისი მემკვიდრეების, უკრაინელ პოეტთან კონტაქტში მყოფი ქართველი მოღვაწეებისა თუ ქართველი მშრომელი ადამიანების გარემომ.

### **ლიტერატურა:**

1. კვიციანი კლიმენტ – ლესია უკრაინკას ფოლკლორული მემკვიდრეობა, ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მოსკოვი, 1971.
2. უკრაინკა ლ. რჩეული, თბილისი, 1971.
3. უკრაინკა ლ. თხზულებანი, კიევი, 1956.



**Lesia Ukrainka's Creative Work in Kutaisi**

S u m m a r y

The life and creative work of the famous Ukrainian writer Lesia UKrainka is closely connected with Georgia. The writings that were created in Georgia (Tbilisi, Telavi, Khoni and Kutaisi) were an indivisible part of her success on a worldwide scale.

Lesia lived and worked on her writings in Kutaisi since 1910. In 1911, Lesia Ukrainka wrote “The Song of the Forest” – a dramatic writing including cultural customs, legends and traditions. In this poetic philosophical drama, together with human characters she also used the characters of fairy tales to incarnate her long wished dream about the bright future of social wellbeing, when the humanity attains the point where there is no spite, no abomination and no misanthropy.

The main idea of the poem is to show the tireless fight of human beings for freedom, for a beautiful life and bright future.

The fertile poetic muse of Lesia Ukrainka, which led her to the creation of several famous writings in Kutaisi, was stipulated by the nature of Kutaisi and by the encirclement of Georgian writers and workers.

## **ნანა გაფრინდაშვილი**

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, თარგმანისა და  
ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტი  
(თბილისი, საქართველო)*

### **ბინარული ოპოზიციის – სიმბოლიზმი/სოცრეალიზმი – გააზრებისათვის გალაკტიონის შემოქმედებაში**

გალაკტიონის შემოქმედების შესახებ ავტორის სიცოცხლეშივე ბევრს კამათობდნენ. განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ბინარული ოპოზიციის – სიმბოლიზმი/სოცრეალიზმი – არსებობა მის შემოქმედებაში. ამ პრობლემის გააზრება შეუძლებელია იმ წინააღმდეგობების ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი. გალაკტიონი მზად იყო, სოცრეალისტური „მსხვერპლშენირვის“ პოზიციიდან გამომდინარე, ბევრ რამეზე დაეხუჭა თვალი, ხოლო თუ სხვები ამოიღებდნენ ხმას, არ გაემწვავებინა პოზიცია, წაეყრუებინა, თუნდაც ეს იმ წუთში მისი შემოქმედების საზიანოდ ყოფილიყო, რადგან ის კარგად აცნობიერებდა, რომ ცხოვრობდა ფასეულობებშეცვლილ სამყაროში, სადაც ცუდს, უზნეოს, მდარეს „კარგი“, „ზნეობრივი“ და „მაღალმხატვრული“ ერქვა და პირიქით. ამ თვალსაზრისით პოეტმა დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე გამოიჩინა. ის სრულიად დარწმუნებული იყო, რომ შთამომავლობა მომავალში სხვაგვარად შეაფასებდა და დააფასებდა მის პოეტურ ნააზრევს, ანმყოში კი საჭირო

იყო მოცდა და ამ შემოქმედებისა და ნააზრევის გადარჩენა. მაგალითად, 1948 წელს სიმონ ჩიქოვანი ჩაერთო პოლემიკაში სერგი ჭილაიასთან. იგი არ ეთანხმებოდა ამ უკანასკნელს, რომ გალაკტიონის შემოქმედების პირველი პერიოდი მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაგრძელებას წარმოადგენდა და მიიჩნევდა, რომ გალაკტიონის ადრეული პოეზია სიმბოლისტური იყო. ამ საკითხზე მსჯელობისას ვახტანგ ჯავახაძე წერს: „სიმონ ჩიქოვანი გახლდათ უტყუარი გემოვნების პრინციპული პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ მწერალთა ორგანიზაციაში უმაღლესი თანამდებობა ეკავა. იგი სწორედ ამიტომ შეეცადა ლიტერატურული სამართლიანობა აღედგინა და ამდენად არასასურველი დისონანსი შეიტანა დამკვიდრებულ სიყალბეში“ (ჯავახაძე, 2011: 165). მაგრამ რამდენად აძლევდა ხელს თავად გალაკტიონს, რომ იმ ვითარებაში ჩიქოვანს თავისი „უტყუარი გემოვნება“ და „პრინციპულობა“ მაინც და მაინც მისი შემოქმედების, კერძოდ, მისი სიმბოლისტური პოეზიის მაგალითზე გამოეყვლინა? სავარაუდოდ, დიდ პოეტს ერჩივნა, ეს საკითხი საერთოდ არ გამხდარიყო პოლემიკის საგანი. უნდა დავეთანხმოთ ვახტანგ ჯავახაძეს, რომელიც სავსებით სწორად შენიშნავს: „მას (გალაკტიონს, – ნ.გ.) სერგი ჭილაიასა და ოფიციალური პოზიცია აწყობდა, თუმცა არავინ არაფერს ეკითხებოდა. გალაკტიონი ყოველნაირად ალამაზებდა თავის წარსულს“, (ჯავახაძე, 2011: 167). რაში გამოიხატებოდა ეს „ალამაზება“? ისევ და ისევ „სოცრეალისტურ მსხვერპლშენიარებაში“, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა, მაგრამ წარმმართველი სოცრეალისტური ნაწარმოებების შექმნა იყო. სავარაუდოდ, გალაკტიონმა ყველა ესთეგსა და ლიტერატურათმცოდნეზე უკეთ იცოდა თავისი პოეზიის ფასი. როგორც ცნობილია, ყოფით ცხოვრებაში საოცრად მორიდებული

და ხათრიანი, თავისი შემოქმედების შეფასებისას დიდი თავმდაბლობით არ გამოიჩინა<sup>1</sup>.

გალაკტიონი ისევე, როგორც ნებისმიერი მწერალი, ვერ გაექცეოდა იმ გავლენას, რომელსაც მასზე ახდენს საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები. ამიტომ იგი თავისი შემოქმედებითი საქმიანობის დროს ვერასოდეს იქნებოდა აბსოლუტურად თავისუფალი. აბსოლუტური თავისუფლება მხატვრულ შემოქმედებაში თითქმის მიუღწეველია, რადგან მწერალი ანგარიშს უწევს მკითხველს, მის ინტერესებს, გამომცემლობას, მის მოთხოვნებს და სხვ. მწერლის შემოქმედებაზე ღია თუ ფარულ კონტროლს აწესებს მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოება: პირადული, სოციალური, ეკონომიკური ფაქტორები. საბჭოთა მწერალს ანგარიში უნდა გაენია, უპირველეს ყოვლისა, პარტიის ინტერესები-

---

<sup>1</sup> გავისხენოთ გალაკტიონ ტაბიძის საყოველთაოდ ცნობილი პოეტური სტრიქონები:

*„რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,  
რომ ნაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი.“*

(ტაბიძე, 1973: 64).

*„დღეები ბრუნავს, ვით კამათელი  
და ყვავილების არის მრავლობა.*

*ჩემთვის დღესავით არის ნათელი,  
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.*

*წელიწადები წავლიან ძველნი,*

*შეიცვლებიან ქარით სიონი,*

*როგორც ერთია ქვეყანა მთელი,*

*ისე ერთია გალაკტიონი“ (ტაბიძე, 1973: 106).*

*„რარიგ კარგია, სამშობლოვ,*

*შენი მტკვარი და რიონი,*

*შოთა, ილია, აკაკი,*

*ვაჟა...“*

(ტაბიძე, 1973: 598).

სათვის, რადგან საბჭოთა გამომცემლები მკითხველის ინტერესებზე კი არ იყვნენ ორიენტირებული, არამედ პარტიის კურსზე. ამ ფაქტორმა მრავალი პანეგირიკული ნაწარმოები დაანერინა ქართველ მწერლებს.

გალაკტიონის ხელნაწერებში დაცულია 1958 წლის 3 ენკენისთვის დათარიღებული ორი ლექსის ხელნაწერი<sup>2</sup>, რომლებსაც მსგავსი ფორმისა და იდეური მიზანდასახულობის გამო „პარალელური ტექსტები“ ვუნოდეთ. ერთის სათაურია „ლენინის დროშით“, მეორეს „1500 წელი“ ჰქვია და თბილისის 1500 წლისთავის ეძღვნება. ხელნაწერები შესრულებულია ფანქრით, საბჭოთა ტელეგრამების ბლანკის ღია ცისფერ ფურცლებზე. ისინი გადაწერილია სუფთად, გარკვევით, აზის თარიღი და პოეტის საყოველთაოდ ცნობილი ხელმოწერა. „ლენინის დროშით“ ერთ ბლანკზე წერია, ხოლო „1500 წელი“ – ორ ბლანკზე. ცალკე ბლანკზე არის მოცემული შავი ხელნაწერი ლექსისა „ლენინის დროშა“, რომელზეც პოეტის გულმოდგინე შრომის კვალი ჩანს. ვინაიდან ეს ლექსები პირველად გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზე, მათი ტექსტებიც სრულად მოგვყავს:

*„ლენინის დროშამ  
იცის,  
ძალა ზეცის და  
მიწის,  
ისმის ვით ძალა ფიცის:  
წინ, წინ, სამშობლოვ,  
წინ, წინ!  
ლენინის დროშით  
მარად,  
კაცობრიობის  
ფარად*

---

<sup>2</sup> დასახელებული ხელნაწერები ინახება გალაკტიონ ტაბიძის გერის, დავით ებანოიძის პირად არქივში.

ინვევს მსოფლიოს  
კარად:  
ნინ, ნინ, სამშობლოვ,  
ნინ, ნინ!  
მხედარო! ყოველ  
დროში  
მშვიდობისათვის  
ომში –  
ნინ, ნინ!  
ლენინის  
დროშით  
ლენინის დროშით  
ნინ, ნინ!“

1958. 3 ენკენისთვე  
-1500- წელი

„თბილისმა იცის,  
იცის,  
ძალა ზეცის და  
მიწის,  
ისმის ვით ძალა ფიცის:  
ნინ, ნინ, თბილისო,  
ნინ, ნინ!  
მარად ჟამს ყოველ  
დროში,  
მშვიდობისათვის  
ომში –  
დიდი ლენინის  
დროშით  
ნინ, ნინ,  
თბილისო, ნინ, ნინ!  
ლენინის დროშით  
მარად,  
კაცობრიობის  
ფარად

ინვევს მსოფლიოს  
კარად:  
ნინ, ნინ, თბილისო,  
ნინ, ნინ!  
ასე, მზეა თუ  
თოში  
ქარიშხალში თუ  
თოვლში  
დიდი ლენინის  
დროშით  
ნინ, ნინ, თბილისო,  
ნინ, ნინ!  
უახლესი თუ  
ძველი  
შენ ასე განვლე  
მწველი  
ათას ხუთასი  
ნელი..  
ნინ, ნინ,  
თბილისო, ნინ, ნინ!  
წლებს, როგორც ნაცარ-  
ტუტას –  
ვაბნევთ – როდესაც  
გვხუთავს.  
მაგრამ ამ  
ათას ხუთასს  
წლით გავსწიოთ ნინ,  
ნინ, ნინ! “

1958. 3 ენკენისთვე

ამ ერთსა და იმავე დღეს დაწერილი ლექსებიდან, სავა-  
რაუდოდ, ჯერ „ლენინის დროშა“ დაინერა, რადგან სწორედ  
მისი შავი ხელნაწერია შემორჩენილი, რომელზეც პოეტს  
ბევრი უმუშავია:

*„მთელმა მსოფლიომ იცის,  
ჩვენი ზეცის და მიწის,  
ძალა მგ ზნებარე ფიცის,  
წინ, წინ!  
სულ წინ, წინ!  
წინ, წინ!*

როგორც ვხედავთ, პირველი სტროფის შავი ხელნაწერი საკმაოდ განსხვავდება საბოლოო ვარიანტისაგან. ამ შავი ხელნაწერისათვის გალაკტიონს გვერდით მიუწერია საბოლოო ვარიანტი<sup>3</sup> და შემდეგ კი უკვე მისი ანალოგიით შეუქმნია „პარალელური“ ტექსტი ლექსისა „1500 წელი“.

ვირტუოზული პოეტური ტექნიკა გალაკტიონ ტაბიძეს საშუალებას აძლევს, შექმნას მსგავსი ჟრერადობისა და ფორმის მქონე „პარალელური“ სოცრეალისტური პოეტური ტექსტები, რომელთაგანაც პირველში („ლენინის დროში“), თუ შეიძლება ასე ითქვას, სოცრეალისტური განწყობილებები ერთგვარი „სუფთა ფორმით“ არის მოცემული, მეორეში („1500 წელი“) კი – „გაზავებულია“ თბილისისა და სამშობლოს სიყვარულთან. როგორც მივუთითეთ, ლექსები 1958 წლის 3 სექტემბრითაა დათარიღებული, ანუ ისინი პოეტის გარდაცვალებამდე (1959 წლის 17 მარტი) 7 თვით ადრე დაიწერა. რასაკვირველია, ვერც პოეტი და ვერც საზოგადოება მაშინ ვერ წარმოიდგენდა, რომ სიკვდილის „ვარდისფერი გზა“ ასე ახლოს იყო. გასაოცარი ისაა, რომ, საყოველთაო აღიარების მი-

---

<sup>3</sup> *„ლენინის დროში  
იცის,  
ძალა ზეცის და  
მიწის,  
ისმის ვით ძალა ფიცის:  
წინ, წინ, სამშობლოვ,  
წინ, წინ!*



უხედავად, პოეტი მაინც ასე ფრთხილობდა და სოცრეალისტური კანონის დაცვით ქმნიდა ახალ ლექსებს.

### **ლიტერატურა:**

1. ტაბიძე გ. რჩეული. თბილისი. 1973.
2. ჯავახაძე ვ. ვინ კითხავს გალაკტიონს? საარქივო მოამბე, 10, 2011.

**NANA GAPRINDASHVILI**

## **The Understanding of Binary Opposition – Symbolism/Social Realism- in Galaktion's Works**

### **S u m m a r y**

In the Works of Galaktion Tabize, the existence of a binary opposition – Symbolism/Social Realism – arises great interest. Galaktion was aware that he had to live in a world where all the values were declined, therefore, he tried not to strain the relations. As a result, apart from creating works of true artistic value, he wrote Social Realistic works.

The article analyzes two poems preserved in his manuscripts ("Lenin's Flag" and "Year 1500"), which we will call "parallel texts" due to their similarities in form.

The masterful poetic techniques that Galaktion Tabidzepossesses, allows him to create so-realistic texts of similar sounding and form. In the first one ("Lenin's flag") the so-realistic sentiments are given in a "pure form", while the second one ("Year 1500") is diluted with his love towards Tbilisi and his homeland.

## **მარიამ მირიასაშვილი**

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(თბილისი, საქართველო)*

## **ნინო წერეთელი**

*ფილოლოგიის დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, თარგმანისა და  
ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტი  
(თბილისი, საქართველო)*

## **სიზმრის სემანტიკა და მწერლის მხატვრული სამყარო**

სიზმარი და სიზმრის სემანტიკა დიდი ხანია მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთა (ფილოსოფოსების, კულტუროლოგების, ფსიქოლოგების, ლიტერატურათმცოდნეების....) მსჯელობის საგანს წარმოადგენს, რის შედეგად დღესდღეობით დაგროვდა დიდძალი მასალა – არგუმენტირებული კონცეფციები და ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციები სიზმრის ფენომენისა და მწერლის მხატვრული სამყაროს ურთიერთმიმართების შესახებ. ცნობილია, რომ ნაწარმოების პოეტური ქსოვილის ორგანიზებაში სხვადასხვა მხატვრული ელემენტი მონაწილეობს. ტექსტის ძირითადი აზრის, იდეის ამოკითხვას მხოლოდ სიუჟეტი ან კონფლიქტი არ განაპირობებს. პერსონაჟთა ხასიათების სიღრმისეულად წარმოსაჩენად, სიუჟეტის განვითარების შემდგომი პერსპექტივების განსასაზღვრად მწერლები ხშირად მიმართავენ ტექსტში არასიუჟეტური ელემენტების ჩართვას. ნაწარმოებისთვის თანდართული წინასიტყვაობანი, ეპიგრაფები, ლირიკული გადახვევები, ჩართული

ეპიზოდები, პერსონაჟთა სიზმრები, წერილები – წარმოადგენენ ნაწარმოების არასიუჟეტურ ელემენტებს, რომელთაც, თავის მხრივ, გააჩნიათ დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხი, ორიგინალური კომპოზიცია, სტილისტური შეფერილობა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ემსახურებიან მწერლის ჩანაფიქრის, ნაწარმოების იდეის სრულყოფილად წარმოჩენას, პროტაგონისტის ხასიათის სიღრმისეულ გახსნას. ამდენად, სიზმარი კომპოზიციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება ნაწარმოებში წარმოჩენილი მოვლენების შეფასება და კომენტირება.

ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები არაერთი საუკუნის მანძილზე ცდილობდნენ ძილისა და სიზმრის ფენომენის ამოცნობას. ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე ინდოელებმა ადამიანის არსებობის სამი ფორმა აღიარეს: სიფხიზლის მდგომარეობა, ღრმა ძილის მდგომარეობა და მდგომარეობა, როდესაც ადამიანი სიზმარს ხედავს. არისტოტელემ სიზმარში მყოფი ადამიანის მდგომარეობა განსაზღვრა, როგორც „სიცოცხლესა და არასიცოცხლეს შორის“ მყოფისა (არისტოტელე, 1975:30). ბერძნულ მითოლოგიაში სიზმარი მოკვდავი ადამიანებისადმი ღმერთების გზავნილად ითვლებოდა და მისი ახსნის უფლება მხოლოდ წინასწარმეტყველებსა და ქურუმებს ჰქონდათ. ამდენად, ბერძნულ მითოლოგიურ პანთეონში საპატიო ადგილი ეკავათ ჰიპნოსსა (ძილის ღმერთი) და მორფეუსს (სიზმრების, ოცნებების ღმერთი). დღესდღეობით მეცნიერები ძილს განიხილავენ ბუნებრივ ფიზიოლოგიურ პროცესადაც და ქვეცნობიერის სიღრმისეულ გამოვლენადაც.

სიზმარი, როგორც მხატვრული ხერხი, ჯერ ანტიკურ (მაგ., აპულეუსის „მეტამორფოზა“), ხოლო მოგვიანებით ევროპულ ლიტერატურაშიც დასტურდება. იური ლოტმანის აზრით, „...სიზმარი, თავისი არსით, ნიშანია, სიმბოლოა. ადა-

მიანმა იცის, რომ სიზმარს გარკვეული მნიშვნელობა აქვს, იგი რალაცაზე მიგვანიშნებს, მაგრამ რაზე – არ იცის. ეს მნიშვნელობა უნდა გაიშიფროს“ (ლოტმანი, 1992:125).

სიზმრის ფუნქცია სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობის ესთეტიკაში განსხვავებულად აღიქმებოდა. ბაროკოს ესთეტიკა აქტიურად ამკვიდრებდა აზრს ილუზიისა და რეალობის ერთიანობის შესახებ, რაც კალდერონის მეტაფორულ გამოთქმაში აისახა: „ცხოვრება სიზმარია“. მოგვიანებით რომანტიზმის ესთეტიკაში სინამდვილის გაიგივება სიზმართან რეალობასა და ოცნებას შორის არსებული საზღვრის გადალახვის ერთ-ერთი საშუალებად წარმოგვიდგება. ამიტომაც რომანტიკულ ტექსტებში ავტორები შეგნებულად არიდებენ თავს იმაზე მითითებას, თუ როდის იწყება სიზმარი, რათა მკითხველისთვის გამოცანად დარჩეს რეალობიდან ილუზიაში გადასვლის ზუსტი ქრონოსი. ამგვარი მიდგომის მიზანმიმართულობა გამოსჭვივის სემუელ კოლრიჯის სიტყვებშიც: „თუკი ადამიანი სიზმარში სამოთხეში იმყოფებოდა და ამის დასტურად ყვავილი მიიღო; თუკი ახალგაღვიძებულს ეს ყვავილი ხელში უჭირავს, მაშინ რა ახსნა მოვძებნოთ?“ (კოლრიჯი, 1980:97).

არანაკლებ გავრცელებულია ლიტერატურაში ყურადღების გადატანა პერსონაჟის გამოღვიძების მომენტზეც. თუკი გავიხსენებთ ცნობილი გერმანელი რომანტიკოსის, ე. ჰოფმანის „მაკნატუნას“ ფინალს, ცხადი გახდება, თუ რაში დასჭირდა მწერალს რომანტიკული ირონიის ხერხის გამოყენება; იგი ეჭვქვეშ აყენებს ნებისმიერ წარმოდგენას სამყაროზე, რომელიც სხვა ესთეტიკური სამყაროსთვის სავსებით მისაღებია.

ნიშანდობლივია, რომ კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლებთან სიზმარი მოიაზრება ტექსტის ორგანულ კომპონენტად და მისი დანიშნულება პოლიფუნქციურია. მაგალი-

თად, XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო სინამდვილეში სიზმარი მეტწილად გამოიყენება: ა) პერსონაჟის ფსიქოლოგიური დახასიათებისთვის; ბ) ნაწარმოების იდეური შინაარსის გასააზრებლად.

პერსონაჟის ფსიქოლოგიური დახასიათების შესანიშნავი ნიმუშებია ლუარსაბ თათქარიძისა (ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“) და პლატონ სამანიშვილის (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“) სიზმრები. ორივე შემთხვევაში გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტია დახატული. სიზმრის მეშვეობით ლუარსაბისა და პლატონის სულიერი განცდებია წარმოჩენილი: ლუარსაბს ამ ქვეყნიდან უშვილძიროდ წასვლა არ უნდა, რადგან იცის, რომ ყველაფერს მისი ძმა და რძალი დაეპატრონებიან; თავის მხრივ, პლატონს შიშის ზარს სცემს იმის გაფიქრება, რომ მისი დედინაცვალი შეიძლება დაფეხმძიმდეს და მის მცირე ქონებას მოზიარე გაუჩნდეს.

ნაწარმოების ძირითადი იდეის წარმოჩენის თვალსაზრისით, საინტერესო მასალას იძლევა კირილე მღვდლის (აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი“), კვირიასა (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“). და ალუდას (ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“) სიზმრები. პირველი ორი სიზმარი, გარკვეულწილად, მხატვრულ წინათქმას წარმოადგენს, რადგან წინასწარ გვამცნობს, თუ როგორ განვითარდება მოქმედება და რა ბედი ელით ნაწარმოების პერსონაჟებს. იმავედროულად, მათ მნიშვნელობა აქვთ ნაწარმოების იდეური შინაარსის გასააზრებლად: სიზმრებში ხორცშესხმულია ავტორისეული იდეა, რომ ბოროტების მოსპობა მხოლოდ თავგანწირული ბრძოლით შეიძლება. მსგავსი მიზანდასახულობა აქვს ალუდას სიზმარსაც. იგი მეტად მნიშვნელოვანია პოემაში გადმოცემული იდეის ამოსაკითხად: წარსული ცხოვრება ალუდას კაციჭამიობად ესახება. ამას რეალურ ცხოვრებაში იგი ქვეცნობიერად გრძნობს, ხოლო სიზმარში ეს გრძნობა მძაფრდება და აქე-

დან იწყება მის პიროვნებაში ახალი ღირებულებების დამკვიდრება (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011:121).

ონეირიულ მასალას ხშირად მიმართავდნენ რუსი კლასიკოსებიც (გოგოლი, გონჩაროვი, ტურგენევი და სხვ.). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ფ. მ. დოსტოვესკის შემოქმედება, რომელშიც სიზმარი ნაწარმოების სიუჟეტის საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს და კარდინალურ გავლენას ახდენს გმირების მომავალ ბედზე. თავად მწერალი აღიარებდა: „მე სიზმრებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩემი სიზმრები ყოველთვის წინასწარმეტყველურია“- (სნიტკინა-დოსტოვესკაია, 1964:31-32).

დოსტოვესკი ხშირად მიმართავს სიზმრებს თავის შემოქმედებაში (რასკოლნიკოვის სიზმარი „დანაშაულსა და სასჯელში“, იპოლიტეს სიზმარი “იდიოტში“, დიმიტრი კარამაზოვის სიზმარი მტირალი ბავშვის შესახებ და სხვ.); მათი მხატვრული ამოცანა განსხვავებულია; ჩვენ გვხვდება სიზმარი-წინათგრძნობა, სიზმარი-მოგონება, “ფილოსოფიური“ სიზმრები). რ. ნაზიროვის წიგნში „ფ. მ. დოსტოვესკის შემოქმედებითი პრინციპები“ სიზმრები გაანალიზებულია და კლასიფიცირებულია ფუნქციონალური თვალსაზრისით; კერძოდ, ავტორი გამოყოფს შემდეგ სახეებს: 1. ილუსტრაციულ-ფსიქოლოგიური სიზმარი, რომელიც პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს და 2. სიუჟეტური სიზმარი, რომელიც დამოუკიდებელ ნოველას მოგვაგონებს და გამოირჩევა შინაარსობრივადაც და მასობრივი სცენების სიუხვითაც. იგი სიუჟეტში “წინასწარმეტყველურ“ როლს კი არ თამაშობს (როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში), არამედ თავად წარმოადგენს სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთ რგოლს (ნაზიროვი, 1982:143-144).

დოსტოვესკი მიიჩნევდა, რომ სიზმარი წარმოადგენს ადამიანის „მეორე მზერას“, რომელიც დაკავშირებულია რეა-

ლობასთან – „პირველ მზერასთან“. რომანტიკოსების მსგავსად (და კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლებისგან განსხვავებით), დოსტოევსკისთან სიზმარსა და რეალობას შორის მკვეთრი საზღვარი არ არის გავლებული. რეალურისა და ირეალურის აღრევა, მყიფე საზღვრები სიზმარსა და ცხოვრებისეულ სინამდვილეს შორის წარმოადგენს არა მარტო დოსტოევსკის ნაწარმოებების გმირების სამყაროს, არამედ იმ ატოსფეროს, რომელშიც ცხოვრობდა და ქმნიდა თავად მწერალი. მწერლის ნაცნობი, პ. ბიკოვი აღნიშნავს, რომ დოსტოევსკი თავის სიზმრებს გამოლვიძებისთანავე უბის ნიგნაკში იწერდა; „ერთხელ დოსტოევსკიმ მიამბო, რომ ხშირად სიზმრებში, როგორც ცხადში, ისე ხედავდა თავისი ნაწარმოებების გმირებს, გარკვეულ სცენებს მომავალი ნაწარმოებებიდან. ზოგჯერ თავის „მხატვრულ“ სიზმრებში იგი მთელ ნაწარმოებსაც კი ხედავდა“ (კონდრატიევი, 2001:242). ამდენად, კითხვაზე, თუ რატომ წერდა იგი ამა თუ იმ თემაზე, დოსტოევსკი აბსოლუტურად გულწრფელად პასუხობდა: „როგორ თუ რატომ? მე ეს დღემდე მესიზმრება“ (კონდრატიევი, 2001:245).

XX საუკუნის მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ კულტურაში სიზმარი ინტელექტუალური თამაშების ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი გახდა ლაბირინთთან, სარკესთან, ნილაბთან და ბიბლიოთეკასთან ერთად; ზემოაღნიშნული არაერთი მკვლევრის შესწავლის თემა გამხდარა. მონოგრაფიაში „სიზმრების სამყაროში“ ავტორს მოჰყავს ხოსე ლუის ბორხესის აზრი, რომ “სიზმარი ნიშანია, რომელიც ცვლის კითხვის სტრატეგიასა და ტექსტის ფსიქოლოგიურ დროს“ (ბოსნაკი, 1992:145). პოსტმოდერნისტების აზრით, სიზმარი უნდა განვიხილოთ როგორც ციტატა, რომელიც გარკვეულ არქეტიპებზე მიგვანიშნებს. აღნიშნული აზრის საილუსტრაციოდ მივმართოთ პოსტმოდერნისტული მწერლობის საეტა-

პო რომანს, მილორად პავიჩის (რომელსაც ხშირად ბალკანელ ბორხესს უწოდებენ) „ხაზართა ლექსიკონს“. რომანში ნათქვამია, რომ ყოველი ადამიანის ნებისმიერი სიზმარი ვილაცას ცხადში უსრულდება; „თუ აქედან ბოსფორისკენ გავემართებით, ქუჩიდან ქუჩამდე, თარიღიდან თარიღამდე, შესაძლოა, მთელი წელიწადი აიკრიფოს თავისი ყველა დროით, რადგანაც ყველას საკუთარი გაზაფხული და შემოდგომა აქვს... ადამიანის მთელი ცხოვრება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სანთლის ალი, ასე რომ დაბადებასა და გარდაცვალებას შორის ერთი ამოსუნთქვაც კი არ რჩება, რომ ეს ალი ჩააქროს“ (პავიჩი, 1992:23-24).

სიზმრისადმი ამგვარი მიდგომა განაპირობებს რომანის ცენტრალურ ეპიზოდს, რომელიც სამუელ კოენს, იუსუფ მასუდსა და ავრამ ბრანკოვიჩს უკავშირდება. თითოეული მათგანი დაკავებულია ლექსიკონის მასალების მოძიებით, რათა ხაზართა მიერ IX საუკუნეში ახალი სარწმუნოების მიღების საკუთარი ვერსია განამტკიცოს. ავრამ ბრანკოვიჩის პარალელურად (რომელიც ხაზართა გაქრისტიანების ვერსიას ემხრობა), ლექსიკონის რეკონსტრუირებაზე მუშაობს დუბროვნიკელი ებრაელი სამუელ კოენი (ეს უკანასკნელი ხაზართა მიერ იუდაიზმის მიღების ვერსიას უჭერს მხარს). გარკვეული დროიდან ბრანკოვიჩს ყოველ ღამე ესიზმრება ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მეტყველი მზერა, ცალ მხარეს გაჭალარავებული უღვაში და ცალ ხელზე შუშის ფრჩხილები აქვს. ეს სწორედ სამუელ კოენი გახლავთ, რომელიც, თავის მხრივ, ყოველ ღამე გრძნობს, რომ ვილაცას ესიზმრება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი უახლოეს დროში ერთმანეთს შეხვდებიან. რაც შეეხება იუსუფ მასუდს (რომელიც, თავის მხრივ, ხაზართა გამუსულმანების ვერსიას უჭერს მხარს), იგი დაეუფლა ხაზართა გრძნეულებას: მას შეუძლია სხვა ადამიანების სიზმრებში მოხვედეს. თავდაპირვე-



ლად მან ავრამ ბრანკოვიჩთან დაინყო სამსახური და, შესაბამისად, მის სიზმრებს ნახულობდა (ცხადია, სემუელ კონსაც). შემდგომში, როდესაც ბრანკოვიჩი და კონი ერთმანეთს შეხვდნენ (კონი იმ თურქული რაზმის თარჯიმანი იყო, რომელიც თავს დაესხა ბრანკოვიჩს და ხმლით აჩეხა), კონმა ნახა ის ადამიანი, რომელსაც ამდენ ხანს ესიზმრებოდა და გაშეშდა (ამ მდგომარეობიდან ვერც გამოვიდა). რაც შეეხება იუსუფ მასუდს, მან თურქ ფაშას ერთი დღის სიცოცხლე სთხოვა, რათა სიზმარში ენახა, თუ როგორ დაესიზმრებოდა კონს ბრანკოვიჩის სიკვდილის სცენა. ის, რაც მან ნახა, იმდენად საზარელი იყო, რომ იგი სიზმარშივე გაჭალარავდა. მეორე დღეს კი, თურქებმა ისიც ხმლით აჩეხეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიზმარს, როგორც მხატვრული ნაწარმოების არასიუჟეტურ ელემენტს, ახასიათებს მეტაფორული და კომპოზიციური მთლიანობა; როგორც კლასიკურ, ასევე მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებებში იგი ახდენს აზრობრივი რეზონანსის ეფექტს ტექსტის ყველა შემადგენელ ნაწილზე.

### **ლიტერატურა:**

1. Аристотель. О душе. Соч., т.1.(пер. П. С. Попова). М., 1995.
2. Боснак Р. В мире сновидений. - М., 1992.
3. Кольридж С.Т. Сб. Литературные манифесты западноевропейских романтиков. М.,1980.
4. Кондратьев Б.С. О мифологизме Ф.М. Достоевского: онтология и поэтика снов. Арзамас, 2001
5. Лотман Ю.М. Сон – семиотическое окно, Культура и взрыв, М., 1992.
6. Назиров Р.Г. Творческие принципы Ф.М. Достоевского. – М., 1982.
7. Павич Милорад. Хазарский словарь. - М., 2005.

8. Сниткина-Достоевская А.Г. Из воспоминаний //Ф. М. Достоевский в воспоминаниях современников. Т. 2. М., 1964.
9. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბ., 2011.

**MARIAM MIRESASHVILI, NINO TSERETELI**

### **Dream Semantics and a Writer's Fiction World**

#### Summary

A number of philosophers, culturologists, psychologists and literary critics are involved in the studies of dream and dream semantics. The paper highlights in detail the conceptions based on well-reasoned argumentations and incompatible interpretations of the phenomenon of dream and its interrelation with a writer's fiction world.

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უკრაინისტიკის ინსტიტუტი  
(თბილისი, საქართველო)*

## **ქველი ალთქმის ინტერპრეტაცია ლესია**

### **უკრაინკას პოეზიაში**

ლესია უკრაინკას პოეზია და მთელი მისი შემოქმედება ერთდროულად ახალი სიტყვაც იყო უკრაინულ პოეზიაში და ახალ ეპოქაში მთელი ტრადიციული უკრაინული მწერლობის ლოგიკური გაგრძელებაც. თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებებით გამორჩეული მისი შემოქმედება ერთგვარი მოდერნს წარმოადგენს უკრაინულ ლიტერატურაში. არაერთი თანამედროვე უკრაინელი მკვლევარი მოდერნიზმის საწყისებს უკრაინულ ლიტერატურაში სწორედ ლესია უკრაინკას შემოქმედებიდან იკვლევს. მის პოეზიაში (და არამარტო პოეზიაში) დიდი ადგილი აქვს დათმობილი წმინდა წერილის ინტერპრეტაციას, ანუ ტრადიციული სიუჟეტებისა და სახეების რეცეფციას, რომლებშიც უკვე შეინიშნება მოდერნის ელემენტები.

უკრაინული ლიტერატურაც, როგორც მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი თავისებურ კავშირში იმყოფება სამყაროს ამ უმნიშვნელოვანეს წიგნთან, მთელი მისი ევოლუციის პერიოდში (ჰაგიოგრაფიული, პოლემიკურ-პუბლიცისტიკური, კლასიკური, ახალი, უახლესი და ა.შ). ბიბლიური თემატიკის ინტერპრეტაცია, ლესია უკრაინკას თვალთახედვით, ახალი სიტყვა იყო დიდი ტრადიციების მქონე უკრაინული ლიტერატურისათვის, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული პოეზიის გენიის, ტარას შევჩენკოს შემოქმედებიდან ზოგიერთი მო-

მენტი უკვე კარგად იყო გამჯდარი მკითხველთა და ლიტერატორთა ცნობიერებაში (საული, იერემია წინასწარმეტყველი). ჩვენი ყურადღება ამჟამად ძველი აღთქმის ინტერპრეტაციას ეხება, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია ლ. უკრაინკას პოეტურ მემკვიდრეობაში, როგორც ახალი აღთქმის სიუჟეტებისა და სახეების ინტერპრეტაცია.

განვიხილავთ რამდენიმე მომენტს ლესია უკრაინკას ცხოვრებიდან, რომელიც გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას ბიბლიური თემატიკით მისი დაინტერესების, ზოგადად ამ საკითხისადმი მიდგომის შესახებ. მისი ნაწარმოებების ამ კუთხით კვლევა პოსტსაბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში მომძლავრდა და დღემდე მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევა. „ყოველი მწერალი საზოგადოების წევრია. ასე რომ, იგი უნდა შევისწავლოთ, როგორც სოციალური პირი. მთავარი წყარო კვლევისათვის მისი ბიოგრაფიაა, მაგრამ ასევე ძალიან დაგვეხმარება, მთელი იმ გარემოს, საზოგადოების შესწავლა, რომელმაც იგი წარმოშვა და სადაც იგი ცხოვრობდა (უელეკი, ორენი, 2012:134). თანამედროვე მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სერგეი მერჟინსკისთან ლესია უკრაინკას ურთიერთობამ მნიშვნელოვნად განაპირობა ბიბლიური თემატიკით მისი დაინტერესება. „გარდამტეხი მომენტი ლესია უკრაინკას მსოფლმხედველობაში გახდა მისი სიყვარული სერგეი მერჟინსკისადმი, რომელიც ძალიან რელიგიური ადამიანი ყოფილა. არ იქნება გადაჭარბებით ნათქვამი, რომ მერჟინსკისთან ურთიერთობის დროს და განსაკუთრებით მისი (მერჟინსკის) გარდაცვალების შემდეგ, ქრისტიანული თემატიკა გახდა დომინანტური ლესია უკრაინკას შემოქმედებაში“ (ანტოფიჩუკი, 2009:226).

ლესია უკრაინკას ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ეკავა მის ბიძას, პროფესორ მიხაილო დრაგომანოვს. მისი შემოქმედების კვლევისას ბიძასთან მიმონერა მნიშვნელოვან

ინფორმაციებს შეიცავს. 1891 წლის 21 დეკემბერს, ლესია უკრაინკამ მიხაილო დრაგომანოვს მისწერა წერილი, სადაც ის წერს ერთ საგულისხმო ფრაზას: „ბიბლიაში არის უდიდესი მასა გრანდიოზული პოეზიისა რომელსაც, ხშირად თუ ვერ ვკითხულობ, ძალიან მანუხებს“ (უკრაინკა, 1956:73). ბიძამისის რჩევითვე ის ეწეოდა სწორედ ბიბლიურ თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებების მთარგმნელობით მოღვაწეობას.

პოემა „სამსონი“ არის პირველი ვრცელი პოეტური ქმნილება, რომელიც ავტორმა შექმნა ბიბლიურ თემატიკაზე სოფელ კოლოდიაჟნეში ყოფნის დროს 1888 წელს. პოემის სათაურშივე მიუთითებია ბიბლიურ თემაზე). პოემის სიუჟეტი ნასესხები აქვს ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნიდან, რომლის უკანასკნელი მსაჯულიც არის სამსონი. სამსონის ისტორია, ერთ-ერთი გამორჩეულია, თუ დანარჩენი მსაჯულები მონიფულ ასაკში იღებდნენ უფლისგან მხსნელის ქარიზმას, სამსონის შემთხვევაში ასე არ მომხდარა, მისი მხსნელად მოვლინება დედის მუცელში ჩასახვისთანავე სასწაულებრივად გაცხადდა, სამსონის დედას გამოეცხადება უფლის ანგელოზი და ამცნობს: „რამეთუ შენ მუცლად-ილო და ჰმვე ძე. და მახდლი თავსა მისსა ნუ შეეხებინ, რამეთუ წმიდაგ ღმრთისაგ იყოს ყრმაჲ იგი შობითგან მისით. და მან იწყოს განრინებად ისრაჲ ლისა ეელისაგან უცხოთესლთა, ფილისტიმელთასა“ (მსაჯულნი, 13:5). აქვე იკვეთება სამსონის მონმიდარობა. როგორც წესი, მონმიდარობას ადამიანი თუ საკუთარი ნება-სურვილისამებრ ირჩევდა, სამსონის შემთხვევაში ვხედავთ, რომ ჩასახვისთანავე გაცხადდა მისი მონმიდარობა. „სამსონის ბედი, როგორც მონმიდარისა, განსაკუთრებულია. მისი მონმიდარობა არ არის მისი ნებით არჩეული, არამედ თანდაყოლილია; შობითგანვე მას თან დაჰყვება საიდუმლო, რომელსაც ისევე ესაჭიროებოდა შენახვა, როგორც მონმიდარობას მარხვა. თმის მოზრდა მონმიდარო-

ბის ერთ-ერთი პირობაა, მაგრამ სამსონისთვის ეს უფრო მეტია ვიდრე პირობა: მის თმაშია განივებული მისი ფიზიკური ძალა, რომელიც უფალმა მისცა მას ფილისტიმელთა დასამარცხებლად. ეს გამოცდაც იყო და განსაცდელიც. საიდუმლო მისი ძალისა, რომელიც მის თმაშია დამარხული, იციან მისმა მშობლებმა, იცის მანაც და სწორედ ეს ცოდნა შეიქმნა საბედისწერო მისთვის. სამსონი საიდუმლოს გაცემით კარგავს ძალას და კვლავ იბრუნებს, რათა ამ ძალით საბოლოოდ მტერთან ერთად საკუთარი თავიც გაანადგუროს“ (კიკნაძე, 1989: 77).

პოემა „სამსონში“ ლესია უკრაინკამ გამოიყენა ნასესხები ტიპი ტრადიციული ბიბლიური სიუჟეტისა და მან თავისი შეხედულებისამებრ დაამუშავა ეს ცნობილი ფაქტები. არის გარკვეული ადგილები პოემაში, რომლებიც ავლენენ მსგავსებას წმინდა წერილთან (*იგავი თაფლის შესახებ, რომელიც მსაჯულთა წიგნშია მოთხრობილი, დალილას სახე და სხვ.*). ასევე ავტორი მნიშვნელოვნად ცვლის თავის მიდგომებს და, საბოლოოდ, პოემა წარმოადგენს ტრადიციული სიუჟეტის ავტორისმიერ გადამუშავებულ ვარიანტს.

ლესია უკრაინკას პოემაში სამსონის სახე, როგორც ისრაელიანთა თავისუფლებისათვის დაუღალავად მებრძოლისა, მეორე პლანზე გადადის, წინა პლანზე კი იწევს მისი ცოლის დალილას პოეტური სახე. (ბიბლიური ტრადიცია უარყოფით ადამიანად ცნობს, მეძავი ქალი, რომელიც ფილისტიმელებთან ლაღატობს თავის მეუღლეს და ცდილობს მისი უძლეველობის საიდუმლო გამოსცყუოს) ლესია უკრაინკას პოემაში არის დალილას და სამსონის ტრფობის ამსახველი მომენტი, რაც ბიბლიურ ტრადიციასთან ნაკლებ კავშირშია:

„ძვირფასო დალილა, შენი სიყვარულისთვის, რით შემიძლია დაგასაჩუქრო, /მითხარი, – ჩემო სანათლევ, ის სურვილები, რომც დავიღუპო – უნდა ავასრულო. /არ მინდა ძვირფასო

შენი დაკარგვა, და სიყვარულისთვის მხოლოდ სიყვარული მსურს“.... ერთგან ლესია უკრაინკა სამსონს ათქმევინებს და-ლილა, არავის არ ძალუძს ისე სიყვარული როგორც მე“. პოე-მაში არის ასევე დალილას და სამსონის სხვა დიალოგიც, რომელიც მკაფიო ასოციაციას იწვევს ძველი აღთქმიდან:

„გინდა იცოდე, საიდან მაქვს ძალა/იცოდე: ყრმობიდანვე ღმერთის მიერ ვიყავ რჩეული,/და იმ დღესვე, როდესაც დე-დამ მშობა/ღმერთის რჩეული მენოდა/

იმ დროინდელი ჩემი თმის კულულები/ცივმა რკინამაც კი ვერ გადაჭრა.....<sup>4</sup>

ვინმეს რომ შეძლებოდა იმ კულულების მოჭრა/ მაშინ ჩე-მი მოტეხვა არ იქნებოდა რთული/– მე ვინვებოდი უძალლო-ნო. — ეუბნება პოემაში სამსონი დალილას, რომელიც უახ-ლოვდება ბიბლიურ ტრადიციას:

„და უთხრა მას ყოველივე გულისა მისისაჲ და ჰრქუა მას: არა აღსრულ არს საპარსველი თავსა ჩემსა, რამეთუ წმიდაჲ ღმრთისაჲ ვარი მე მუცლითგან დედისა ჩემისათ. და უკუეთუ დავიყუნო თმაჲ ესე ჩემი, განდგეს ძალი ჩემი ჩემგან და მო-უძღურდე და ვიქმნე, ვითარცა ყოველნი კაცნი“ [მსაჯულნი, თავი 16:17].

ლესია უკრაინკას პოემა “საულს“ ასევე ახლავს ეპიგრაფი I მეფეთა წიგნის მეთექვსმეტე და მეთვრამეტე თავის იმ მუხ-ლებისა, სადაც საულისა და დავითის ურთიერთსაწინააღ-მდეგო მდგომარეობაა წარმოჩენილი: „სძლო საულ ათასთა და დავით ბევრეულთა...“ და იყო მომზირალ საულ დავითსა მიერ დლითგან, და შემდგომად“. ინტერესს იწვევს პოეტის მიერ შერჩეული ბიბლიური პერსონაჟების როგორც წმინდა წერილისეული ტრადიციული სახე, ასევე პოეტის მიერ ქრის-

---

<sup>4</sup> რადგან არ არსებობს ამ პოემის ქართული პოეტური თარგმანი, ვიყენებ საკუთარ პნკარედს (ი.მ)

ტიანული საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი პერსონაჟის ინტერპრეტაცია. მეფე საული უფლისგან არის ცხებული, უფალმა გამოარჩია მრავალთაგან თავისი რჩეული ერის მეფედ. „მოილო სამოველ რქა იგი საცხებელისა და დაასხა თავსა ზედა და ამბორს-უყო მას და რქუა: გცხო შენ მეფედ უფალმან ერსა მას თვსსა ზედა ისრაჲ ლსა! და შენ უძლოდი ერსა მას უფლისასა, და იე სნნე იგინი ეელთაგან მტერთა მათთასა! და ესე სასწაულ იყოს შენდა, რამეთუ გცხო შენ უფალმან შენმან და დაგადგინა შენ სამკდდრებელსა თვსსა ზედა“. [პირველი მეფეთა 10:1]. ცნობილია, საულის მეფობის დრამატული მომენტები, როდესაც მან ვერ შეძლო განსაცდელისთვის გაეძლო და ორჯერ შეცდა ისე, რომ „უფალმანცა შეინანა, რამეთუ დაადგინა იგი მეფედ ისრაჲ ლსა ზედა“ [პირველი მეფეთა, 15:34].

ლესია უკრაინკას მიერ წარმოჩენილი საულის სახე ნამდვილად იწვევს იმის ასოციაციას, თითქოს ავტორს ებრალება საული და ცდილობს მისი სახის როგორც დაჩაგრული პიროვნების წარმოჩენას. წმინდა წერილი გვამცნობს, რომ უფალმა ინანა საულის მეფობა, ხოლო ლესია უკრაინკა კი საულის ბედს ასე განსჯის:

„ხვედრი წინასწარმეტყველისა საულს არ აღხენს,  
მაღალმა ღმერთმა ის დასაჯა სიბრძნის სულითა!“

საკამათოა, რაოდენ იყო დასჯა უფლის მიერ რჩეულობა, ეს ხომ ყველა მოკვდავის ხვედრი არაა. მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტი გამოდის თეოლოგიური და ქრისტიანული ხედვიდან და მეფის ტრაგიკულ ცხოვრებას ადამიანური, მოკვდავთა თვალსაწიერიდან აფასებს. პოემის ერთ ადგილას საულს ათქმევინებს ლესია უკრაინკა:

„ვინ იფიქრებდა, უსახელო და უცნობ საულს  
ხვედრი წინასწარმეტყველისა რომ შეხვდებოდა?“



პოემაში მოცემულია საულის საუბარი, მონოლოგი რომლის ადრესატიც დავითია, მათი ცხოვრების გზები დასაწყისშივე გადაიკვეთა უარყოფით ასპექტში. ფილოსოფოს ზ. კიკნაძის მოსაზრებით „დავითი და საული ერთმანეთს ქმნიან, შეიძლება ითქვას, ეს ურთიერთობა ერთს აღაზევებს მაღალ ზნეობაში, რომლისთვისაც არცერთ პიროვნებას ძველი აღთქმის განმავლობაში არ მიუღწევია, და მეორეს ისე გასტანჯავს შურით და ეჭვით, ისე დასცემს, როგორც მცირენი თუ დაცემულად მეფეთაგან (კიკნაძე, 2003:83). ლესია უკრაინკაც ალაპარაკებს თავის მიერ წარმოდგენილ საულს დავითთან:

„მე ვიცი კარგად, აგრე რიგად რად გეზიზღები.  
ხომ არ იგონებ, რომ მე ერთხელ ვიყავი მწყემსი  
და გავხდი მეფე,  
შენ კი ისევ მწყემსი ხარ ახლაც.  
ო, რა მზერა გაქვს! თითქოს იგი ქვაა შურდულის!  
აი რად გძულვარ მე შენ, აი, რად გეზიზღები.“

*(მთარგმნელი ლადო სულაბერიძე)*

პოეტური სახეები უტრირებულია და ავტორის სიმპათია აშკარად საულისკენ იხრება, როგორც მსხვერპლისა და დაჩაგრული ადამიანისკენ.

ლესია უკრაინკამ ლექსი „გოდება იერემიასი“ დაწერა 1902 წელს. ორსტროფიანი ლექსი განყობილია ინტერტექსტით ძველი აღთქმის წიგნიდან „გოდება იერემიასი“. ლექსს წინ უძღვის ეპიგრაფი „ვითარ მრუმე იქმნას ოქროჲ, შეიცვალოს ვეცხლი კეთილი...“ [გოდება იერემიასი, თავი მეოთხე: 67]. ტექსტში არ გვხვდება ავტორის პოზიცია საღვთისმეტყველო საკითხებისადმი, არ იხსნება ავტორის დამოკიდებულება იერემია წინასწარმეტყველის, როგორც ძველი აღთქმის დიდ წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთის მიმართ. ლექსი შეგვიძლია

მივაკუთვნოთ ლესიას ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა დასს, რომელიც ნამდვილად მოდერნის ელემენტების შემცველია:

„ვითარ მრუმე იქმნას ოქროი, —  
შეიცვალოს ვერცხლი კეთილი!“  
ჯერ კიდევ ედო ფერი ნეშოს, ერთად მოგროვილს  
„ვითარ მრუმე იქმნას ოქროი...“  
როგორც ბრმა თვალი, ტბაა ნისლებზემოფლეთილი...  
„შეიცვალოს ვერცხლი კეთილი!“  
თითქოს შეტოკდნენ სულში გზები ოკრო-ბოკროი...  
„ვითარ მრუმე იქმნას ოქროი...“  
გულს რაღაც ზარავს და მე სასო მაქვს წარკვეთილი...  
„შეიცვალოს ვერცხლი კეთილი...“

*(მთარგმნელი რაულ ჩილაჩვა)*

ლექსი «Дючка Ієфая» ლესია უკრაინკამ დაწერა 4. 02. 1904, თბილისში ყოფნის პერიოდში. ლექსი ქართულ თარგმანებში დასათაურებულია როგორც „იაფთაის ქალიშვილი“. ბიბლიის ძველქართულ თარგმანში “მსაჯულთა” ნიგნის მეთერთმეტე თავი, (სადაც მოთხრობილია იეფთაესა და მისი ქალიშვილის ცნობილი ისტორია) იწყება შემდეგნაირად „და **იეფთაელ** გალაადელი იყო კაცი ძლიერი ძალითა, და ესე იყო ძე დედაკაცისა მეძდსაგ; და უშვა გალადს **იეფთაე** “[მსაჯულნი, თავი 11:1]. ხოლო 1989 წელს შესრულებული წმინდაწერილის ახალ ქართულ თარგმანში, „იყო **იფთახ** გალაადელი, მაგარი ვაჟკაცი იყო. მეძავი ქალის ნაშობი იყო იგი. გალაადმა შვა იფთახი“. მთელ მეთერთმეტე თავში ძველქართულ თარგმანში იეფთაე გვხვდება, ხოლო ახალქართულში იფთახი, ეს ანთროპონიმი ლექსის ქართულ თარგმანებში სლავური ბიბლიისა და ლექსის დედნის გავლენას განიცდის.

ლესია უკრაინკა ლექსში აღწერს *იეფთაის* ქალიშვილის განცდებს:

„ჩემო მამილო, გევედრები, ამიშვი მთაზე,  
თუ გასურს, რომ შენი ქალიშვილი შესაფერისად,  
გულმამაცურად შეეგებოს უდროო სასჯელს,  
არ მიაჩერდეს მთათა გრეხილს ცრემლიან მზერით,  
მუხლმოდრეკილი მზეს ქვითინით არ დაეთხოვოს,  
არ შეგაჩვენოთ შენ, ხალხი და თვითონ უფალი.“

*(მთარგმნელი რაულ ჩილაჩვა)*

ლესია უკრაინკა თანაგრძნობას უცხადებს იეფთაეს ქალიშვილს „დაე, იმ ქარმა ვარდისფერი ნვიძით დანამოს/გამოიტიროს ყვავილებით ჩემი სინორჩე“, მსაჯულთა წიგნში კი ცნობილია, როგორ ეგებება ქალიშვილი მამის მიერ უფლისთვის მიცემულ პირობას. „და ჰრქუა მას ასულმან: უკუეთუ. ჩვმთჳს აღაღე პირი შენი უფლისა მიმართ, მიყავ მე, ვითარცა აღმოჰე და პირისაგან შენისა ამისთჳს, რამეთუ ჰყავ შენ უფალი შურისმძიებელად მტერთა შენთათა ძეთათდს ამონისთა.“ [მსაჯულნი, 11:36]. ცხადი ხდება, რომ ლექსის ავტორი, თავისებურად უდგება ამ ბიბლიურ ამბავს. ეფთაის ქალიშვილში ერთგვარად ავტორის სახე წარმოჩინდება.

ძველი აღთქმის სიუჟეტებისა თუ სახეების ლესია უკრაინკასეულ ინტერპრეტაციაზე დაკვირვებით შეგვიძლია გავიზიაროთ ერთი მოსაზრება „ყველა რეციფიენტ-ეპოქას აქვს თავისი ამოცანები, რომელთა გადასაჭრელად საჭირო ხდება ტრადიციულ სიუჟეტებში არსებული მორალურ-ეთიკური თუ ფილოსოფიური პოტენციალის გამოყენება. ავტორი მათ ზოგჯერ იმონმებს თავისი მოსაზრებების დასამტკიცებლად, ზოგჯერ კი მძაფრ პოლემიკას უმართავს“ (გაფრინდაშვილი, 2012:68). თანამედროვე კვლევები მოწმობს, რომ ლესია უკრაინკას ნაწარმოებებში, როგორც პოეტურში, ისე დრამატულში ძლიერად ვლინდება ავტორის მორალურ-ღირებულებითი თუ ესთეტიკური გემოვნების საკითხები, ქრისტიანული სიმბოლიკის გამოყენებით იგი ცდილობს გა-

მოაცოცხლოს და გააძლიეროს უკრაინელთა აზროვნებაში ეროვნული ღირებულებები. მეოცე საუკუნის უკრაინული ლიტერატურის გამორჩეული შემოქმედი, „დაცხრილული აღორძინების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მიკოლა ზეროვი სამართლიანად აღნიშნავდა ლესიას შემოქმედებაზე შემდეგს: „მის ნაწარმოებებში ისმის გულისცემა ცოცხალი აზრისა, თანამედროვე უკრაინელი ინტელიგენტის ცხოვრება. ...ებრაელი წინასწარმეტყველების სიტყვები და რეპლიკები, ასევე პირველი ქრისტიანების ცხოვრება ძალიან ახლოს არის ჩვენს საკუთარ ძიებებთან და წუხილთან“ (მეცნიერებათა აკადემიის მაცნე; 2001).

ლესია უკრაინკა იმ დროს წერდა პოეტურ და დრამატულ ნაწარმოებებს ბიბლიურ თემატიკაზე, დ. მერეჟკოვსკი აცხადებდა „ყველა გზა გადაიკეტა, ისტორიული გზა დამთავრდა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ როდესაც ისტორია მთავრდება, იწყება რელიგია...“. ცხადია, რომ ბიბლიის ღრმა ცოდნა და ეხმარა ლესია უკრაინკას მუდმივ, ზოგადსაკაცობრიო ფონზე უკეთ დაენახა და გაეგო კონკრეტული ისტორიულობა, ეროვნულობა მთელ მის დრამატიზმში.

### **ლიტერატურა:**

1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.
2. ანტოფიჩუკი, ვ. ლესია უკრაინკას შემოქმედების ქრისტიანული კონტექსტი „Народознавчі зошити“ №1-2, 2009 (უკრაინულ ენაზე).
3. ბაქანიძე ო. უკრაინული ლიტერატურა, ტ. II, თბ. 1997.
4. გაფრინდაშვილი ნ. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები, თბ. 2012.
5. კიკნაძე ზ. საუბრები ბიბლიაზე, თბ, 1989.
6. კიკნაძე ზ. „ძველი აღთქმის წუთისოფელი“, თბ. 2003.
7. მცხეთური ხელნაწერი, თბ. 1981.

8. სმირნოვა გ. მხატვრული სახეებიდან უფლის კატეგორიის ფილოსოფიურ გააზრებამდე, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 7, 2001, <http://archive.nbuv.gov.ua/portal/all/herald/2001-07/9.htm> (ინტერნეტრესურსი)
9. უელეკი რ., უორენი ო. ლიტერატურის თეორია, თბ. 2010
10. უკრაინკა ლ. თხზულებები ხუთ ტომად, ტ. 5, წერილები 1881-1913, კიევი, 1956.
11. უკრაინკა ლ. რჩეული, თბ. 1971.
12. ჩილაჩავა რ. აგვისტო, კიევი, 2001.

## **IVANE MCHEDELADZE**

### **Interpretation of the Old Testament in Lesya Ukrainka's poetry**

#### Summary

The article discusses the comparative aspect of Lesya Ukrainka's works. such as the interpretation of the Old Testament in her poetry. The issue is discussed as a reception of traditional plots and images.

## ნინო ნასყიდაშვილი

*ფილოლოგიის დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უკრაინისტიკის ინსტიტუტი  
(თბილისი, საქართველო)*

### ლესია უკრაინკას პეიზაჟური ლირიკა

უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა უდიდესი სულიერი კულტურის მქონე უკრაინელი ერის გმირულმა წარსულმა და ტრადიციებმა, რომელიც ჰარმონიულად შეერწყა მსოფლიო ლიტერატურული მემკვიდრეობის შედეგების საკუთარ შემოქმედებაში თავისებურად ასახვას. ლესია უკრაინკამ, საყოველთაო აღიარება მოიპოვა და შევიდა თაობების ცნობიერებაში, როგორც მამაცობისა და ბრძოლის სიმბოლო.

ლესია უკრაინკას პოეტური ნაწარმოებების პირველი კრებული „სიმღერების ფრთებზე“ დაიბეჭდა 1893 წელს ქ. ლვოვში. აღნიშნული კრებულის გამოცემაში უშუალოდ მონაწილეობდა უკრაინული ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწე – ივან ფრანკო. კრებულში შევიდა უმეტესად 1880-იან წლებში დაწერილი დანაწარმოებები და ადრეული პოემები: „სამსონი“ (1888), „მთვარის ლეგენდა“ (1891-92) და „ალი“ (1885).

ლესია უკრაინკას პოეტური სამყარო მრავალფეროვანი და მდიდარია, ნათლად გამოხატული და ინდივიდუალური, ემოციურად დატვირთული. მისი, როგორც ლირიკოსის ტალანტი ფართოდ იშლება სამოქალაქო პოეზიაში. სამოქალაქო-პოლიტიკური ლირიკის ჟანრების განხილვისას ეპოქის ცნობიერების კონტექსტში, დამაჯერებლობას იძენს ის ფაქ-

ტი, რომ პოეტი ქალის წარმოსახვითი ფიქრი ორგანულადაა დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან, იმ პერიოდის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან. რევოლუციური ბრძოლის თემა, სამშობლოს სიყვარული, ხალხის მომავალზე ფიქრი, ხელოვანის დანიშნულებასა და მოვალეობაზე ზრუნვა განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების მთავარ პათოსსა და, მასთან ერთად, მხატვრულ სახეებს.

ნებისმიერი პოეტის შემოქმედების შესაწავლის დროს მნიშვნელოვანია ორი მთავარი ასპექტი: შექმნილი ნაწარმოების შინაარსი და ხასიათი და მისი ადგილი და როლი ლიტერატურის ისტორიაში. ლესია უკრაინკას შემოქმედების ანალიზისათვის ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, რამდენადაც მისი პოეზია იდეურ-მხატვრული შინაარსითა და მნიშვნელობით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

პოეტის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისთანავე შესამჩნევია მისი სწრაფვა და ლტოლვა ლირიკული ჟანრისადმი, როგორც პოეზიის კომპონირების პრინციპისადმი. ესაა „მოგზაურობა ზღვისკენ“ (1888), „შვიდი სიმი“ (1890), „ყირიმული მოგონებები“ (1890-1891) და სხვ. ლირიკისადმი ინტერესი პოეტს არ უნელდება მთელი ლიტერატურული მოღვაწეობის განმავლობაში.

ლირიკული ციკლი ლესია უკრაინკას პოეზიაში ასრულებს მნიშვნელოვან სტრუქტურულ ფუნქციას და ამდიდრებს ლირიკული ჟანრების შესაძლებლობას. წარმოსახვის საგანი წარმოდგენილია სხვადასხვა ასპექტებში. ლესია უკრაინკას ლირიკული პოეზია სცდება გრძნობების, ფიქრების, განწყობილების ერთჯერად აფეთქებას და მთლიანის ორგანული ნაწილი ხდება. ლესია უკრაინკას ლირიკულ სტრიქონებში შეაქვს თხრობის ელემენტი და მასალის ამგვარი გადმოცემა საშუალებას აძლევს უფრო მძაფრად გადმოსცეს ჩანაფიქრი, გამოავლინოს ასახვის ობიექტის მრავალფეროვანი ხედვა. ლესია

უკრაინკას ლირიკული ლექსები ერთიანობაში ქმნიან თითქოს მოძრავ პანორამას, მნიშვნელოვნად ფართო სიუჟეტურ სურათს, ვიდრე ეს შეუძლია გადმოიცეს მხოლოდ ერთი ლირიკული ნაწარმოებით. ლესია უკრაინკას ლირიკული ლექსები – ესაა გამარჯვებისა და დამარცხების, დამაჯერობლობისა და ეჭვის, სიხარულისა და უბედურების სტრიქონები.

ლესია უკრაინკას ლირიკულ პოეზიას მკვლევრები პირობითად ყოფენ პირად (ინტიმურ), პეიზაჟურ და სამოქალაქო ლირიკად. ამის საფუძველია ის ფაქტი, რომ მისი ადრეული ლირიკული ნაწარმოებების მთავარი თემებია ბუნების სიყვარული, სიყვარული მშობლიური ქვეყნის მიმართ, პირადი გრძნობები და განცდები, ზოგადსაკაცობრიო თემები, პოეტის დანიშნულება და პოეტური სიტყვის როლი, სოციალური და საზოგადოებრივი მოტივები.

მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი უნივერსალური კომპონენტია პეიზაჟი, რომელსაც დიდი ადგილი უკავია ლიტერატურათმცოდნეებისა და ფილოსოფოსების კვლევებში. ინტერესი გამოიწვია სწორედ ხელოვნებისა და ნატურის ურთიერთშერწყმამ, რომელმაც ასახვა ჰპოვა არისტოტელეს, ფ. პროკოპოვიჩის, ნ. ბუალოს და სხვათა შრომებში.

ზოგადად, პეიზაჟი გულისხმობს ბუნების ასახვას ხელოვნებაში. პოეტის მხატვრული სამყარო ყოველთვის არის თავისებური „მეორე რეალობა“, და ხელოვანი, რომელიც თავის შეოქმედებაში მიმართავს სწორედ ამ ხერხს, ლირიკული ნაწარმოებების შემქნას პეიზაჟის ელემენტებით, იყენებს ბუნების მასალას, გადმოსცემს თავის აზრებს ღვთიურ ენაზე, რადგან საკუთარი გრძნობებისა და ემოციების გადმოსაცემად სწორედ ეს მეთოდი შეარჩია, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გაუგებენ, მის აზრებსა და იდეებს მკითხველი კარგად ჩასწვდება, რადგან მისი ბუნების ენა არამარტო მრავლისმთქმელი და ემოციურია, არამედ დემოკრატიულიცაა. ბუნებასთან საუბრის გამოცდი-



ლება ყველა მწერალს არ აქვს. ბუნება სრულყოფილი შუამავალია ავტორსა და მკითხველს შორის. პეიზაჟური ელემენტების შეტანა პოეტურ ნაწარმებში ხაზს უსვამს ავტორის ინდივიდუალობას, მისი საიდუმლოს შენახვის უნარს, საშუალებას აძლევს მკითხველს გახადოს ის ადვილად გასაგები და მარტივად აღსაქმელი (ფედოროვი, 1988:101).

მეტად საინტერესოა შვეიცარიელი პოეტის, ათეისტის, მთარგმნელის ანრი ფრედერიკ ამიელის (1821-1881წწ.) განსაზღვრება „სულის პეიზაჟი“. მისმა ფორმულამ „თითოეული პეიზაჟი სულის პეიზაჟია“ წარმოუდგენელი პოპულარობა მოუტანა ევროპელ მკვლევართა შორის. მისი აზრით, ბუნების მოვლენების ასახვაზე მნიშვნელოვანი ადამიანია, მისი აზრები და განცდები. პოეტს არ აინტერესებს ადგილმდებარეობის კონკრეტიზაცია, ბუნების კომპოზიციური ერთიანობის გადმოცემა. ყველაზე ხშირად ის გადმოსცემს ბუნების მხოლოდ გარკვეულ ელემენტებს, ყურადღებას ამახვილებს ნათელ, ფერად და ხმოვან ეფექტებზე (გალიჩი, 2001:159).

პეიზაჟი, როგორც გამობატვის საშუალება, ლესია უკრაინკასთან განხილულია ადამიანთან, მის სიცოცხლესთან კავშირში. ბუნება მისთვის წარმოუდგენელი იყო ადამიანის, ბრძოლის გარეშე. სწორედ ამიტომ, ლესია უკრაინკას ნაწარმობებში ბუნება და წელიწადის დროები წარმოჩენილია მთელი დიდებულებით. პოეტისათვის დამახასიათებელია სინამდვილის ლირიკული, დრამატული და ეპიკური საშუალებებით ასახვა, რომელთა შორის არ არსებობს ზღვარი, მაგრამ უწნარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მისი ლირიკული დასაწყისი. იგი ყველგან და ყოველთვის ბუნებას უდგებოდა, როგორც ცოცხალ არსებას, მიმართავდა მნუხარებასა და სიხარულში, რადგან თვლიდა, რომ ბუნება და ადამიანი განუყოფელი ნაწილი იყო.

„ნუ გაიკვირვებთ, რომ ყვავილთ დარად  
მშვენობს ქალწული სითბოდაღვრილი, –  
ასე სხივოსნად და ასე ნყნარად  
აპრილში ჰყვავის თეთრი ყვავილი“ (უკრაინკა, 2007: გვ. 24)  
(„გაზაფხულის დასაწყისი“ („Наповесні“)

*თარგმნა ტრისტან მახაურმა*

გაზაფხული ავსებდა პოეტის გულს იმედით, უღვიძებდა მას იმედს, სიცოცხლისკენ მოუხმობდა. ეს იმედიანი განწყობა რომ შეენარჩუნებინა, მუდმივად ეძებდა პეიზაჟურ ნახატებს, მაშინვე ამჩნევდა სიახლეს, არა გადასახატად და მკითხველისთვის მისაწოდებლად, არამედ იდეურ-ესთეტიკური პოზიციის გასამყარებლად. გაზაფხულის მოსვლასთან ერთად მძაფრდებოდა გრძნობები, შეგრძნებები, ჩნდებოდა სურვილი, პირადი ფიზიკური ტკივილების ჩახშობის სურვილისა და ბრძოლის უნარი.

მეტად საინტერესოა ლექსი „Стояла я слухала весну“, რომელიც გადმოსცემს ბუნების ხელახალ დაბადებას გაზაფხულზე და ლირიკული გმირის იმედებს, ბედნიერების განცდას. ლესია უკრაინკას განსაკუთრებით უყვარდა გაზაფხული, როგორც აღორძინების, გამოფხიზლების, განახლების, იმედების დრო. ლექსის ლირიკული გმირი იდგა და უსმენდა გაზაფხულს, მღეროდა სიმღერებს სიყვარულზე, ახალგაზრდობაზე, ნატურებსა და ოცნებებზე. არაჩვეულებრივი პეიზაჟური ლირიკის სურათია გადმოცემული მუსიკის ჰანგებთან თანწყობით, გამოყენებულია სახვითი და სმენითი სახეები.

სრულიად განსხვავებულ გრძნობებს იწვევდა ლესია უკრაინკაში შემოდგომა, შემოდგომის პეიზაჟები. ყველაზე მეტად შემოდგომაში მოსწონდა სიამაყე და გამბედაობა და ადამიანური გრძნობების განსაკუთრებით გამძაფრება.

ეს შემოდგომა მზეს ისე ელის,  
ვით დედოფალი მეფლისის გახსნას...  
რაც კი ებადა, სიმდიდრე მთელი  
სამკაულების საბადლოდ გასცა“ (უკრაინკა, 2007: 45)  
*(„შემოდგომა“, თარგმნა ნია აბესაძემ)*

ლესია უკრაინკა მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვანის დანიშნულება ცხოვრების, მისი უკიდუგანო სილამაზისა და დიდებულების ჭეშმარიტ ასახვაში მდგომარეობდა. მას კარგად ესმოდა, რომ მშვენიერება იყო სიცოცხლე, დაკავშირებული ადამიანთან, მის სულიერ მდგომარეობასთან, სიმშვიდესა და მღელვარებასთან. სულიერი და ფიზიკური ტკივილის განსაქარვებლად, თავად იქცა ბუნების ნაწილად, გაითავისა და სრული სიდიადით შეიგრძნო ხილული მშვენება და შვება ჰჰოვა. პეიზაჟი ლესია უკრაინკასთან ქმნის სახასიათო ფუნქციას. პოეტს შესწევს უნარი პეიზაჟის დახმარებით გამოხატოს პიროვნების ჰარმონიულობა ბუნებასთან, ბუნების სურათები იდეურად და შინაარსიანად დაუკავშიროს ადამიანურ განცდებს. ლესია უკრაინკას შემოქმედებაში პეიზაჟს შესწევს უნარი შექმნას ემოციური ფონი, სადაც ბუნება და ადამიანი განუყოფელია. უკრაინელი პოეტის შემოქმედებისადმი დამოკიდებულება სწორედ ამ ფუნქციის მატარებელია.

### **ლიტერატურა:**

1. ლესია უკრაინკა, იმედი. თბ., 2007.
2. Галич О., Назарець В., Васильєв Є. Теорія Літератури,
3. Зеров М. Леся Українка // Зеров М. Твори: У 2 т. - К., 1990. - Т. 2.
4. Федоров Ф. Романтический художественный мир: Пространство и время. Рига, 1988.

## **Landscape Lyrics in Lesya Ukrainka's Poetry**

### Summary

Landscape Lyrics occupies a particular place in Lesia Ukrainka's creative work, which is quite diverse and rich. She introduces the elements of narrative into her lyrical lines, which gives the author a possibility to depict the idea more sharply.

The use of landscape elements in poetic works emphasizes the individuality of the author. Therefore, it is very interesting to discuss Lesia Ukrainka's poetry from this angle.

## რუსუდან ჭანტურიშვილი

*ფილოლოგიის დოქტორი,  
კლუბი „უკრაინა“  
(თბილისი, საქართველო)*

### **ლესია უკრაინკას „გაზაფხული ეგვიპტეში“ ქართულ ენაზე**

1909 წლის ნოემბერში ლესია უკრაინკა საქართველოდან ეგვიპტეში გაემგზავრა, სადაც 1910 წლის ზაფხულამდე დარჩა. სწორედ იქ დაწერა მან ლექსების ციკლი „გაზაფხული ეგვიპტეში“.

„გაზაფხული ეგვიპტეში“ ექვს ლექსს მოიცავს და ეს ლექსები თარგმნილია ქართულ ენაზე. მათგან განსახილველად ამოვარჩიე პირველი სამი ლექსი: „ხამსინი“, „უდაბნოს სუნთქვა“, „მდუმარება“.

ეს თარგმანები დაბეჭდილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლუბ „უკრაინას“, ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრისა და უკრაინისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ორენოვან კრებულებში: 1. ლესია უკრაინკა. სინათლე! სინათლე!, ორენოვანი კრებული, თსუ გამომცემლობა, 1971; 2. ლესია უკრაინკა. იმედი, ორენოვანი კრებული, თსუ 2007.

„ხამსინი“ და „მდუმარება“ 1971 წელს თარგმნა ქართულ უკრაინისტიკაში ცნობილმა, ღვანლმოსილმა მთარგმნელმა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნია აბესაძემ, რომელსაც, სხვა უკრაინელ პოეტთა გვერდით, ლესია უკრაინკას ბევრი ლექსი აქვს ოსტატურად ნათარგმნი და გამოქ-

ვეყნებული. მის თარგმანებში ეს ლექსები ფორმისა და შინა-  
არსის ერთიანობას ინარჩუნებს.

ლესია უკრაინკას ლექსების ციკლი „გაზაფხული ეგვიპტე-  
ში“ იწყება ლექსით „ხამსინი“ (უკრაინკა, 2007:75). ეს ლექსი, რა  
თქმა უნდა, მიიქცევდა მთარგმნელის ყურადღებას, ვინაიდან,  
მხატვრული ღირებულების გარდა, ლესია უკრაინკას ბიოგრა-  
ფიის მნიშვნელოვან პერიოდსაც უკავშირდება. ავადმყოფობის  
გამო აუცილებელი იყო ლესია უკრაინკას გამგზავრება ისეთ  
თბილ ქვეყანაში, როგორც ეგვიპტეა. „1909 წლის ნოემბერში  
ლესია უკრაინკა კ. კვიტკას თანხლებით ეგვიპტეს გაემგზავრა  
და ერთხანს იქ დაჰყო. მან აქ შექმნა ლექსების ახალი ციკლი  
„გაზაფხული ეგვიპტეში“ (ბაქანიძე, 1997:460).

ეგვიპტეში სითბოს გამო ჩასულ, ფიზიკურად დასუსტე-  
ბულ პოეტს, შეიძლება ითქვას, თავს დაატყდა ეს ცხელი,  
მშრალი ქარი, რომელიც ეგვიპტეში გაზაფხულის თვეებში  
მძვინვარებს. ხამსინს თან ახლავს სულისშემძვრელი სიცხე  
და ჰაერის ნესტიანობა მინიმუმამდე დადის. ჰაერში გავარ-  
ვარებული ქვიშის მტვერი ტრიალებს, რის გამოც მზე დაბინ-  
დული, უფერული მოჩანს. ხამსინს დიდი ზიანი მოაქვს მცე-  
ნარეული საფარისათვის და ვნებს ადამიანის ორგანიზმს.  
„მგოსანი 5 აპრილს დაწერილ ლექსში „ხამსინი“, გვიხატავს  
ეგვიპტეს, რომელსაც თავს დაატყდა სამხრეთის ქარი ხამსი-  
ნი, ევროპელები სამუმს რომ უწოდებენ და რომელმაც „შეძ-  
რა უდაბნო ვრცელი“ (ბაქანიძე, 1997:466). მიუხედავად ამი-  
სა, ლესია უკრაინკამ ოსტატურად დახატა ხამსინით გამოწ-  
ვეული ქვიშის ატორტმანება და წარმოჩენილი ხილვები. ქვი-  
შის ორომტრიალში მის წინაშე ეგვიპტის ისტორიისა და მი-  
თოლოგიის უმნიშვნელოვანესი სურათები ამოიზიდა.

„ხამსინი“ უკრაინული ხალხური მელოდიის ხმაზეა აწყო-  
ბილი. ლექსის საზომი სილაბურ-ტონურია, 29 თერთმეტმარ-  
ცვლიანი ტაეპისაგან შედგება. ლექსი ოთხსტროფიანია, მაგ-

რამ ტაეპების რიცხვი ოთხივე სტროფში სხვადასხვაა, რაც ერთგვარად, მოვარდნილი და დატრიალებული ქარიშხლის ასოციაციას ქმნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნია აბესაძის თარგმანშიც ზუსტად ასეა იმ განსხვავებით, რომ ტაეპები ათმარცვლიანია.

ლექსის I რვატაეპიან სტროფში ნაჩვენებია ქარიშხლის დაწყება, როცა ყლავი ხამსინი თავისი გამომშრალი ფრთებით ქვიშას ჰაერში აიტაცებს და „დამბუგველი აღმურით სუნთქავს“. ქვიშის ორომტრიალში პოეტი ველურ ქორწილს ხედავს, სადაც „სალამურივით ამღერდა ქვიშა... ხოლო კენჭები ნალარას სცემენ“. ციტირებულ ამონარიდებს ნია აბესაძის თარგმანიდან ისევე, როგორც მთელი სტროფის თარგმანს, წუნი არ დაედება. მართალია, ხამსინის ყლავი, წითური ფერი თარგმანში დაიკარგა, მაგრამ სამაგიეროდ მას ჩაენაცვლა სიტყვა გახელებული, რაც ზუსტად შეეფერება ხამსინს. თარგმანში დაიკარგა ის, რომ წყურვილით გათანგული მოქროდა იგი ჰაერში, მაგრამ სამაგიეროდ გაჩნდა იმ ქვეყნის დასახელება, რომელსაც ხამსინი დააცხრა – ეგვიპტე. ამ ჩანაცვლებით მთარგმნელმა შეავსო ის, რაც თითქოს გამორჩა ავტორს: ხამსინი „ვნებამორევით არბევს ეგვიპტეს“.

ლექსის II სტროფი ექვსტაეპიანი სექსტინაა. აქ ხამსინი თითქოს ქროლის ახალ ფაზაში გადადის. მის პატივისცემად თითქოს „ყვითელ წყვდიადში“ ვილაცები როკავენ და ტრიალებენ, თან თხელ პირბადეებს აფრიალებენ. ავტორი მათ იდუმალ, ქარაფშუტა ქალიშვილებსა და დაბინდული უდაბნოს მხიარულ შვილებს უნოდებს. თარგმანში ისინი „კუმტი უდაბნოს ლალი შვილები“ არიან, რაც ზუსტად და ემოციურად გამოხატავს ავტორის სათქმელს.

III სტროფი დეციმაა. აქ ხამსინის ქროლა კულმინაციას არწევს. იგი პოეტს – ამ „უცხო ასულს“ თვალების დავსებითაც ემოქრება, რომ მის სამფლობელოში შემოიჭრა. იგი თა-

ვის თავს ბოროტ ღმერთად – სეტად მოიხსენიებს. იმ ღმერთად, რომელმაც თავისი კეთილი ძმა – ოზირისი მოკლა და ოზირისის მეუღლე – ქალღმერთი იზიდა დააქვრივა.

ამ სტროფის თარგმანსაც ნამდვილი ოსტატის ხელი ატყვია. სათანადო სინონიმების მორგებით მთარგმნელი დედნის შესატყვის და გამართული ქართულით გადმოცემულ თარგმანს გვაძლევს. დედანში ხამსინი ამბობს, რომ მან – იგივე სეტმა, ოზირისის სხეული დაფლითა და უდაბნოში დააგდო. მთარგმნელმა, ასე ვთქვათ, გააპატიოსნა ოზირისის ნეშტი და ხამსინს ათქმევინა: „და ნაფლეთები უდაბნოს ვუძღვენ“.

IV ხუთტაეპიან სტროფს ფინალისაკენ მივყავართ. პოეტი ამბობს, რომ ხამსინი თავისი ამალით მალლა, ცაში აიჭრა, ყვითელ ცაზე მზე – ოზირისის თვალი გაუფერულდა და ისე იყო, თითქოს მთელი სამყარო დაბრმავდა. მთარგმნელმა არაჩვეულებრივი ქართული შესატყვისი შემოგვთავაზა:

„მეჩვენა, თითქოს მთელმა ქვეყანამ  
უცებ დაკარგა თვალის სინათლე“.

„ხამსინი“ ანცობილია უკრაინული ხალხური ლექსის ტონალობაზე, რომლისთვისაც მთავარია თანაბარმარცვლიანი სილაბურ-ტონური ტაეპები და არა გარეგანი რითმები. იგი მეტრულად ორგანიზებული თეთრი ლექსითაა დაწერილი. „თავისუფალი ლექსისაგან (ვერლიბრისაგან) განსხვავებით, თეთრი ლექსისათვის აუცილებელია მეტრული წესრიგი“ (ხინთიბიძე, 2003:47). თეთრი ლექსითაა დაწერილი, აგრეთვე, „ხამსინის“ ქართული თარგმანი. „ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება დრამის თეთრი ლექსისა (და საერთოდ თეთრი ლექსისა რ.ჭ.) ე.წ. გადატანაში (ტაეპის გადატანაში რ.ჭ.) მდგომარეობს და მისი დაცვა თარგმანში აუცილებელია. საერთოდ, გადატანას განსაკუთრებული და მრავალფეროვანი ემოციური ელფერის შექმნა შეუძლია მოულოდნელი



პაუზის ჩართვით გაბმულ პოეტურ მეტყველებაში“ (გაჩეჩილაძე, 1966:41). „ხამსინის“ ქართულ თარგმანში თეთრი ლექსისათვის ნიშანდობლივი და დედანში გამოყენებული ეს დეტალიც დაცულია.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, „ხამსინის“ ნია აბესაძისეულ ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია, აგრეთვე, უკრაინელი პოეტის მდიდარი ლექსიკა და ბობოქარი ხამსინის დარად პოეტისათვის დამახასიათებელი ლექსის თავისუფალი, გახელებული ქროლა.

„უდაბნოს სუნთქვა“ (უკრაინკა, 2007:76-77) 2007 წელს თარგმნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა – ტრისტან მახაურმა. იგი, მართალია არაა უკრაინული ენის სპეციფიკისტი და ლექსი პნკარედის დახმარებით თარგმნა, მაგრამ დიდი უკრაინელი პოეტის ლექსს ამით არაფერი დააკლდა. ქართველი მთარგმნელი პოეტური ნიჭითაც არის დაჯილდოებული და ძალიან კარგი ფოლკლორისტი. კარგად ერკვევა როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნების, მათ შორის უკრაინის ზეპირსიტყვიერებაში, რაც ძალიან საყვარელი და ახლობელი სფერო იყო ლესია უკრაინკასათვის.

„უდაბნოს სუნთქვაში“ ლესია უკრაინკა „ეგვიპტის ბუნების აღწერიდან ხალხის მდგომარეობის ჩვენებაზე გადადის და ფელახის – არაბი მინათმოქმედის მაგალითზე მშრომელების მიძიმე ხვედრს გვიხატავს. ეგვიპტეს თავს დამტყდარ სტიქიურ უბედურებას – ქარიშხალს ავტორი სიმბოლურად ხალხის სოციალურ ბედუკურმართობას, სოციალური სისტემით გამოწვეულ გაჭირვებასა და უბედურებას უკავშირებს“ (ბაქანიძე, 1997:66).

„უდაბნოს სუნთქვა“ სალექსო ფორმით 14-ტაეპიანი სონეტია, რომელიც ორი კატრენისა და ორი ტერცეტისაგან შედგება. საზომი ჰეტეროსილაბურია. I კატრენში 13 და 11-მარცვლიანი ტაეპები ენაცვლება ერთმანეთს; II კატრენში – 13, 11 და 12-მარ-

ცვლიანი ტაეპები. III და IV სტროფები 11-მარცვლიანი ტერცეტებია. ლესია უკრაინკას ამ სონეტის კატრენების რითმა რკალურია და იტალიური, ანუ კლასიკური სონეტის მსგავსად – I კატრენის რითმა II კატრენში გადადის. I ტერცეტის (III სტროფი) პირველი ტაეპის ბოლორიტმა II ტერცეტის (IV სტროფი) პირველ და მეორე ტაეპებს ერიტმება; I ტერცეტის მეორე და მესამე ტაეპი კი – II ტერცეტის მესამე ტაეპს. როგორც ვხედავთ, უკრაინულ დედანში კლასიკური სონეტისათვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი დაცულია.

ტრისტან მახაურის პოეტური თარგმანიც თოთხმეტტაეპიანი სონეტია. ლექსის მეტრი იზოსილაბურია, ოთხივე სტროფი 10-მარცვლიანი ტაეპებითაა გამართული. I და II კატრენში ბოლორიტმა რკალურია. ტერცეტებში I ტერცეტის მესამე ტაეპის ბოლორიტმა II ტერცეტის ბოლო ტაეპს ერიტმება. ვფიქრობ, თარგმანმა მოიგო იმით, რომ იგი თანაზარზომიერი 10-მარცვლიანი ტაეპებით არის დანერვილი. „დასაბამიდან ქართულ ლექსს იზოსილაბურობა ახასიათებდა“ (ხინთიბიძე, 2003:24).

ლესია უკრაინკას ამ ლექსის პირველივე სტროფში ვხედავთ ჩავლილი ხამსინის ნახელავს – ნაოხარ უდაბნოს, რომელიც სულს ითქვამს და თანაზომიერად სუნთქავს. ვფიქრობ, ტრისტან მახაურმა კარგად მონახა სინონიმი – რიტმულად, რომელიც ემოციური ჩამატებითაც ბუნებრივად შეავსო და გამოვიდა: „უდაბნო სუნთქავს რიტმულად, ლაღად“.

თარგმანში ჩამატებები დასაშვებია და გამართლებულიც, თუ ამით დედნის მხატვრული სიმართლეა გადმოცემული. როდესაც დედანში ვკითხულობთ, რომ უძრავია ოქროს ქვიშა და უკრაინულად ეს ემოციურად ჟღერს, ქართულ თარგმანს იმავე ეფექტის მისაღებად, ასე ვთქვათ, მარილი სჭირდება, რაც მთარგმნელმა იგრძნო და მივიღეთ: „უძრავი ქვიშა – ოქრო ცინცხალი“.

დამშვიდებულ უდაბნოში ეგვიპტელი მინათმოქმედი ფელახი, როგორც დედანშია ნათქვამი — მოგზაურთა მფრინავი გუნდისათვის სახლს აგებს. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „მოვა ტურისტთა ურიცხვი ჯგუფი“. ვფიქრობ, სიტყვა ტურისტი მეტისმეტად თანამედროვე იერს აძლევს ამ ლექსს და პოეტურ სახესაც ხატოვანება აკლია. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ემოციურად ნეიტრალურმა ტაეპმა თარგმანი ვერ დააზიანა, რადგან თარგმანში ემოციურად დატვირთული ტაეპები სჭარბობს. თარგმანი მაღალმხატვრულად გამოიყურება ოსტატურად შერჩეული სინონიმების წყალობით. მაგალითად, თუ დედანში სახლის ირგვლივ ბალი უნდა გაშენდეს, თარგმანში: „აქაც ნალკოტი გაშენდეს უნდა“. ან კიდევ: დედანში ნახსენები ფელახის ტანსაცმელი თარგმანში სამოსია: „და ქარი ნელა არხევს მის სამოსს“.

ასე რომ, ლესია უკრაინკას ამ ლექსის ქართული თარგმანი თავისი ფორმითა და შინაარსით ნამდვილად შეესატყვივება დედანს. დედნის მხატვრული სინამდვილე თარგმანში დაცულია.

ამჟამად საგანგებოდ არ განვიხილავ, მაგრამ არ შეიძლება არ დავასახელო ლესია უკრაინკას ამ ლექსების მომდევნო მესამე ლექსი და მისი ქართული თარგმანი – „მდუმარება“. ლექსი თარგმნა ნია აბესაძემ და ეს თარგმანი, ისევე როგორც მის მიერ თარგმნილი „ხამსინი“, მაღალ პროფესიონალურ დონეზეა შესრულებული.

„ხამსინი“, „უდაბნოს სუნთქვა“ და „მდუმარება“ ქართულ ენაზე მართებულად და ნიჭიერად გადმოსცემს ლესია უკრაინკას მიერ დანახულ და განცდილ ეგვიპტურ გაზაფხულს ხამსინის ბოზოქარი ქროლით, ცხელი ქვიშის რიტმულად, ლაღად სუნთქვითა და ხანაც შემადრწუნებელი მდუმარებით.

ლექსები ეგვიპტელ მინათმოქმედთა აფორიაქებულ ცხოვრებასაც გვიხატავს ამფორიაქებელი უცხოელი დამ-

პერობლებით და სხვისთვის დახარჯული უზომო შრომით. ქართველმა მთარგმნელებმა შეძლეს გადმოეცათ ხალხისადმი თანაგრძნობის განცდაცა და ულევო ენერჯიაც, რომლითაც აღსავსეა ლესია უკრაინკას პოეზია.

### **ლიტერატურა:**

1. ბაქანიძე ო. უკრაინული ლიტერატურა, II, თბ., 1977.
2. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ. 1966.
3. უკრაინკა ლ. იმედი. ორენოვანი კრებული, თბ., 2007.
4. ხინთიბიძე ა. ქართული ლექსი, თბ., 2003.

### **RUSUDAN CHANTURISHVILI**

#### **Lesia Ukrainka's "Spring in Egypt" in Georgian**

##### Summary

In November 1909 Lesia Ukrainka travelled from Georgia to Egypt, where she stayed until the summer of 1910. There she wrote the cycle of poems "Spring in Egypt", which consists of six poems.

Of these six poems, the first three, together with translations, were published in two languages (Ukrainian and Georgian) in the poetical collection "Hope", issued under the aegis of the Institute of Ukrainian Studies at Iv. Javakhishvili Tbilisi State University in 2007.

The poems "Khamsin" and "Silence" were translated by Nia Abesadze – a renowned Georgian specialist of Ukrainian Studies, talented translator, and philologist in 1971. In both of her translations, the original form of Lesia Ukrainka's poems and her

rich vocabulary are perceived; as well as free, mad flight of Khamsin-like rhymes characteristic of the poet.

“Breath of the Desert” was translated in 2007 by the philologist, folklorist and gifted poet, Tristan Makhauri. The poem by its form is a 14-line sonnet, which consists of two quatrains and two tercets. This form of the sonnet is preserved in the Georgian translation too. The translation looks highly artistic due to skillfully selected synonyms. The artistic reality of the poem is preserved in the translation too.

“Khamsin”, “Breath of the Desert”, and “Silence” in Georgian perfectly communicate the Egyptian Spring seen and felt by Lesia Ukrainka, with its wild blow of Khamsin, rhythmic, free breath of hot sand and sometimes with intimidating silence.

Poems also tell us about the troubled life of Egyptian farmers disturbed by foreign invaders. Georgian translators were able to communicate the empathy towards people and the limitless energy which fills Lesia Ukrainka’s poetry.

## სოფიო ჩხატარაიანი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უკრაინისტიკის ინსტიტუტი  
(თბილისი, საქართველო)*

### **უკრაინელი „სამოციანელი“ პოეტი ლინა კოსტენკო ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში**

ყოველი ერის ლიტერატურული მემკვიდრეობა ფასდება იმის მიხედვით, თუ რა ადგილი აქვს მას მსოფლიო ლიტერატურაში. როგორც გოეთე აღნიშნავდა, „მსოფლიო ლიტერატურა არ ნიშნავს წესთა ქმნას, არამედ კომუნიკაციასა და კულტურათა კონტაქტს“, ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ძალიან ცნობილი და მიღებული მოსაზრებაა (რენე უელეკი, ადრიან მარინო და სხვანი გარკვეულწილად აგრძელებენ მსოფლიო ლიტერატურის განსაზღვრების ზემოაღნიშნულ ტრადიციას).

სლავური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის შემადგენელი ნაწილია. სლავური ლიტერატურის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი კი – უკრაინული ლიტერატურა. უკრაინული ლიტერატურის მსოფლიო კონტექსტში განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით მის რეცეფციას ქართულ ლიტერატურულ სამყაროში, რამეთუ ამ ორი, მსგავსი ბედის მქონე ქვეყნების ისტორია ყოველთვის მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ამიტომაც უკრაინულმა

ლიტერატურულმა მოვლენებმა ქართულ კულტურაში ჰპოვა ასახვა და პირიქით.

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში უკრაინელ „სამოციანელთა“ კვლევა სიახლეს წარმოადგენს.

„სამოციანელები“ უკრაინული ინტელიგენციის იმ თაობის სახელწოდებაა, რომელიც, მშობლიური ენისა და კულტურის დასაცავად, შემოქმედებითი თავისუფლებისთვის იბრძოდა. მათ დიდი მორალური წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფო რეჟიმს. „სამოციანელებმა“ განავითარეს აქტიური კულტურული მოღვაწეობა, რომელიც სცდებოდა ოფიციალურ საზღვრებს, აწყობდნენ არაფორმალურ ლიტერატურულ საღამოებს, სამხატვრო გამოფენებს, რეპრესირებული შემოქმედების ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებს, დგამდნენ მდუმარე თეატრალურ წარმოდგენებს. სამოციანელთა თაობის პოეტების სახელით უკრაინის ისტორიაში შევიდნენ: დმიტრო პავლიჩკო, ივან დრაჩი, ვიტალი კოროტიჩი, მიკოლა ვინგრანოვსკი, ლინა კოსტენკო, ვასილ სტუსი.

1953 წელს გამოიცა დმიტრო პავლიჩკოს სადებიუტო წიგნი „სიყვარული და სიძულვილი“, ხოლო 1957 წელს ლინა კოსტენკოს „მინის სხივები“, ეს კრებულები სამოციანელთა მოძრაობის ჩამოყალიბების წინაპირობად იქცა. მეხის გავარდნას ჰგავდა ახალი თაობის შემოქმედების კრებულების გამოსვლა.

თანამედროვე უკრაინელი მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე, მიხაილო ნაენკო წერს: „სამოციანელები“ წარმოადგენდა დიდ ჯგუფს, მაგრამ მთავარია მათ შორის ვინ იყო პირველი“ (ნაენკო, 2008:1010). მსჯელობას ავტორი თავისივე შემოთავაზებით ასრულებს: „დმიტრო პავლიჩკოს და ლინა კოსტენკოს პოეტური კრებულები უკრაინულ შემოქმედე-

ბაში ახალი მოტივების დამკვიდრების წინაპირობად იქცნენ“ (გაევი, გუკი; 2008:153).

ჩვენი მიზანია, ქართველ მკითხველს გავაცნოთ სამოციანელთა მოძრაობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი ლინა კოსტენკო, განვსაზღვროთ მისი როლი უკრაინულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და დავადგინოთ, რა მოცულობით, რა სიხშირით გვხვდება სამოციანელ მწერალთან ქართული თემა, რა გახდა ამის მიზეზი, რა ფორმითაა იგი წარმოდგენილი მის შემოქმედებაში, რა შესძინა ამან უკრაინულ ლიტერატურას. ამასთან ერთად, რა კავშირშია ლინა კოსტენკო და მისი შემოქმედება ქართულ კულტურასთან.

**ლინა კოსტენკო** უკრაინელი სამოციანელ მწერალთა წრის მოწინავე და ყველაზე აქტიური წარმომადგენელია. მისი სადიპლომო ნაშრომი გახდა სამოქალაქო პოეტური კრებული „მინის სხივები“. კრიტიკოსი ვსევოლდ ივანოვი რეცენზიაში წერდა: „ლინა კოსტენკოს სადიპლომო ნაშრომი, მისი ლექსები, ჩემი შეხედულებით იმსახურებს უმაღლეს შეფასებას. ეს არის დიდი მომავლის მქონე ძალიან ნიჭიერი პოეტი. მე ვგრძნობ, რომ მისი უკრაინული ლექსები სრულყოფილია.“ (6, ინტერნეტრესურსი) მომავალ წელს (1957) „მინის სხივები“ გამოიცა ცალკე კრებულად, ხოლო 1958 წელს უკვე ახალი კრებული „იალქანი“.

მისი მომდევნო კრებული „მზიური ინტეგრალები“ (1963) ნამდვილად აღარ ჯდება ცენზურის კრიტერიუმებში. რის გამოც დაიწყო მისი ნაწარმოებების აკრძალვა და შევიწროება. ასეთივე ბედი ხვდა წილად კრებულს „თავადი მთა“, რომელიც მზადდებოდა მრავლწლიანი ფიქრისა და მუშაობის შედეგად. ორივე კრებული მაშინდელი სახელმწიფო იდეოლოგიისათვის კატეგორიულად მიუღებელი ლიტერატურული მოვლენა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ 1961-დან 1977 წლამდე ლინა კოსტენკოს ნაწარმოებები აღარ იბეჭდებოდა



და როგორც ეს 60-იანი წლების საბჭოთა კავშირის პროგრესულ ლიტერატურულ წრეებში ხდებოდა, მისი ნაწარმოებებიც ახლადდამკვიდრებული ე.წ. „სამიზდატის“ («саміздав»), მეთოდებით ვრცელდებოდა უკრაინელ მკითხველთა შორის. 1977 წელს კრებულის “მარადიული მდინარის ნაპირებზე” გამოცემა, ლინა კოსტენკოს ერთგარი ხელახალი დებიუტი იყო ლიტერატურულ სარბიელზე, რადგან მისი ბეჭდვა სახელმწიფო გამომცემლობების მიერ დაბლოკილი იყო, „სამიზდატი“ კი ყველასთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა გასაგები მიზეზის გამო.

1977 წელს აიკრძალა კიდევ ერთი მისი კრებული „სათავადლო მთა“.

როგორც მიხაილო ნაენკო აღნიშნავს: „სამოციანელთა შემოქმედება, პირველ ყოვლისა, ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საგანს წარმოადგენს, რადგან მათი ნაწარმოებების უმეტესობა ჯერ კიდევ არ გამოცემულა ავტორთა კრებულების სახით და მათზე მხოლოდ უზოგადესი შეფასების წარმოდგენა შეგვიძლია“ (ნაენკო, 2008:1014). ლინა კოსტენკოს პოეზია წლების მანძილზე იყო აკრძალულად გამოცხადებული და ვინ იცის რამდენი ნაწარმოები დაკარგა უახლესმა უკრაინულმა ლიტერატურამ.

ლინა კოსტენკოს თექვსმეტწლიანი დუმილი არ აღიქმებოდა, როგორც სისუსტე თუ კომპრომისი, რადგან თავის პოზიციას პოეტი გამოხატავდა პირდაპირ და ღიად.

ლინა კოსტენკოს შემოქმედება, გვამცნობს ლიტერატურათმცოდნე ტ. ჰაევი, — იმით არის გამორჩეული, რომ მასში შერწყმულია ლირიკულ-ეპიკური სიუჟეტური მსვლელობა, ხასიათების ძერწვის უნარი, შორეული დროის გმირების კოლორიტებად ქცევის შეუდარებელი შესაძლებლობანი (ჰაევი, 2008:155).

ლინა კოსტენკოს ლექსები ღრმა ფილოსოფიურ ქვეტექსტებს შეიცავენ. მიუხედავად იმისა, რომ იგი, „სამოციანელებზე“ ცოტა ადრე გამოვიდა ლიტერატურულ სარბიელზე, გახდა მათი შემადგენელი ნაწილი, ერთ-ერთი მათგანი, ვინც დაანგრია ხელოვნების ტრადიციული, ჩვეული კრიტერიუმები. „მარადიული მდინარის ნაპირებზე“ იქცა დიდ ლიტერატურულ სენსაციად. თითოეული მისი ლექსი თუ რომანი ზოგადსაკაცობრიო თემაზეა შექმნილი და ამიტომაც გახდა მისი შემოქმედება ასეთი პოპულარული და გაუძლო დროს. რაც იმას მოწმობს, რომ პოეტი პასუხობს ყველა დროის მოთხოვნებს, მაგრამ მისი წარმატების საწინდარი მხოლოდ თემატიკაში არ უნდა ვეძიოთ, ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა განსაზღვრავს მწერლის წარმატებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლინა კოსტენკო იმდენად პოპულარულია და აქტიურ მოღვაწეობას ეწევა და დღესაც ისეთი რეზონანსულია, რომ თავისუფლად შეიძლება მას თანამედროვე მწერალიც ვუწოდოთ, მისი პირველი ნაბიჯები კი 60-იან წლებს წინ უსწრებს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ლინა კოსტენკო გახდა იმ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, შეუდრეკელი წარმომადგენელი, რომლის პოეზიაც, შეიძლება ითქვას, არ მოქცეულა სოცრეალიზმის გავლენის ქვეშ, განსხვავებით სხვა სამოციანელ პოეტთაგან, რომლებიც ნაკლებად განიცდიდნენ გავლენას, თუმცა მათი ტექსტები მთლად თავისუფალიც არ იყო ამ იდეოლოგიისაგან, უკრაინელი პოეტის წოდებად მაინც სამოციანელი უნდა მივიჩნიოთ და უკრაინულ სალიტერატურო კრიტიკაშიც სწორედ ეს არის მისი ეპითეტი.

ლინა კოსტენკო დღესაც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და პოპულარული მწერალია, არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოეტი პასუხობს ყველა ეპოქის მოთხოვნებს, არის საყვარელი მწერალი ყველა თაობის მკითხველისთვის.

სწორედ ამ კრებულშია შესული ლინა კოსტენკოს უსათაურო ლექსი – „გოგონავ სახით თინათინის სადარო, მართლა...“, აქ ჩნდება ქართული თემატიკა ავტორის შემოქმედებაში ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ლინა კოსტენკოს ლექსები პირველად ქართულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა 1989 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კლუბი „უკრაინის“ მიერ მომზადებულ კრებულში „გამარჯობა, უკრაინავ!“ კრებულში წარმოდგენილია უკრაინელი საბჭოთა პოეტების ლექსების თარგმანები, შესრულებული ნია აბესაძის მიერ, შემდეგ 2001 წელს მართალია კიევში გამოცემული, მაგრამ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ორენოვანი კრებული „СЕРПЕНЬ“, რომელშიც თავმოყრილია 55 ყველაზე ცნობილი უკრაინელი პოეტების ლექსები და მათ შორისაა ლინა კოსტენკოს პოეზიის თარგმანები, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ორივე მთარგმნელი ფლობს უკრაინულ ენას თავისუფლად და თარგმანები შესრულებულია პირდაპირ დედნიდან და არა შუამავალი ენის დახმარებით.

2009 წელს ჟურნალ „გრაალში“ ჩნდება ლინა კოსტენკოს ლექსები ქართულ ენაზე, თარგმნილი მაცყვალა გონაშვილის მიერ, ხოლო ინტერნეტ-სივრცეში ვრცელდება მისი ლექსების თარგმანები სხვადასხვა ქართველი ავტორის მიერ შესრულებული.

ცალკე განხილვის საგანია ის თემატიკა, რომელზე შექმნილი ნაწარმოებებიც აირჩიეს ქართველმა ავტორებმა სათარგმნელად.

კრებულში „გამარჯობა, უკრაინავ!“ შესულია ლინა კოსტენკოს ოთხი ლექსი: **„ქარი უკრავდა ჩელოზე სადად“**,

„დღეებს უბრალოს და სევდით მოსილს“, „ფიჭვის ხე სიმებს ათროლოებს ხემით“ და „იმა სუმაკი“ ამ უკანასკნელის გარდა (რომელიც მიძღვნილი ხასიათის ლექსია და მსოფლიოში ცნობილი სოპრანოს, იმა სუმაკის ღვთივმიმადლებულ ნიჭს ეძღვნება), სამივე ლექსი ლირიკული განწყობის გამომხატველია და კრებულის წინასიტყვაობას რომ დავესესხოთ „ავტორის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ძირითადი მოტივის“ მატარებელია.

თორმეტწლიანი მონაკვეთის შემდეგ ცნობილმა მთარგმნელმა რაულ ჩილაჩავამ თავის ორენოვან ანთოლოგიაში მოათავსა ლინა კოსტენკოს სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი ცხრა ლექსი. სწორედ ამ კრებულში ჰპოვა ადგილი ქართულ თემატიკაზე შექმნილმა უსათაურო ლექსმა „გოგონავ, სახით თინათინის სადარო მართლა“. რაულ ჩილაჩავამ ხელახლა თარგმნა ერთ-ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც შევიდა კრებულში „გამარჯობა, უკრაინავ!“ (როგორც უკვე აღვნიშნეთ ნია აბესაძის თარგმანი) ახლებური ინტერპრეტაციით საკმაოდ საინტერესო ვარიანტი შექმნა: „ჩელოს **სიმებად ქარები ჟღერდნენ.**“

მაყვალა გონაშვილმა თავის საავტორო ჟურნალ „გრაალში“ შემოგვთავაზა ლინა კოსტენკოს არა რომანტიკული ხასიათის, არამედ მებრძოლი სულისკვეთების მქონე ლექსები, რომლებიც ლინა კოსტენკოს სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. უსათაურო ლექსები: „ჩვენ წარღვნის მერე მოვედით ქვეყნად“, „ტყვიისფერი ქარი ჩემი სახლის სარკმელს ამინანქრებს“, კაცი ჰქვია, მინას, მხოლოდ“, „ჩვენ შევსრიალდით ღამის წყვდიადში“ და ლექსი „მუზა“.

ლინა კოსტენკოს კიდევ ერთი უსათაურო ლექსია თარგმნილი ქართულ ენაზე მთარგმნელის ალექსანდრე ელერდაშვილის მიერ. ლექსი რელიგიურ თემატიკაზეა შექმნილი. საინტერესოა, რომ ქართულ სამყაროში, შემოდის ერთი ავ-

ტორის სხვადასხვა პოეტური განწყობით შექმნილი ნაწარმოებები, სხვადასხვა მთარგმნელის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული, რაც იმას მოწმობს, რომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თემატიკით ღინა კოსტენკო საინტერესო ავტორია ქართული აუდიტორიისათვის.

ეს არის ორი კულტურის დიალოგის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გაგრძელება, მისი ერთგვარი უწყვეტი გამოვლინება.

მაგრამ იმ პოეტურ ღირსებებს (ღირებულებებს), რითაც ჩვენთვის საინტერესოა ღინა კოსტენკოს პოეზია, ემატება კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი – უკრაინელი პოეტისას შემოქმედებაში **ქართული ჰეტეროსახე**.

„უცხოეოვრულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებს, მით უფრო თუ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, თან მოჰყვება ლიტერატურის გამდიდრება ახალი თემატიკით, მწერლობაში შემოდის ახალი მხატვრული საშუალებები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ახალი სამყაროს დამაფრებელი მხატვრული ასახვა“. (გაფრინდაშვილი, ოძელი; 1987:40) ჩვენი კვლევის საგანიც ეს არის, რადგან, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა და მნიშვნელოვანია, როდესაც ქართულ თემას ვხვდებით უცხოელი მწერლის შემოქმედებაში, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა შესძინა მან აღნიშნული მწერლის მშობლიურ ლიტერატურას. ჩვენი კვლევის საგანია ის პოეტური ნაწარმოებები, რომელთა სიუჟეტში ქართული თემატიკის გაჟღერებამ ალუზიის, სესხებისა თუ მიბაძვის ფორმებით გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა ახალი თუ უახლესი უკრაინული ლიტერატურული მემკვიდრეობა. (გოგონავ, სახით თინათინის სადარო მართლა,/მას, ვისაც ვერცხლით მოუსალტავს ლომური მკლავი,/ მას, ვისაც ტალღად დაჰყენია კულული შავი, –/ჩააცვი თორი. დამპყრობელი მომდგარა კართან./ მსჭვალავს სიჩუმე ცაიტნოტით შუბებით არეს./ შენი სვლა არი! გზას მიჰყვები ძნელსა და

უვალს./ სამი მხედარი დაეცემა ბრძოლაში მკვდარი./ ფორ-  
ხილობს ცხენი. ლაზიერში გადაცვლი უმაღლ./ ხარ საქართვე-  
ლო და სამეფო სამოსი გშვენის./ არნივეთს ზემოთ განფე-  
ნილხარ სვებედნიერი./ როგორც მხედრები, დაგირაზმავს  
კომკები შენი/ და ხელმწიფეთა მხედრონით იწყებ იერიშს).

ლექსი ეხება ქართველ დაუმარცხებელ მოჭადრაკეს,  
რომლითაც კრებულის შექმნის დროს ამაყობდა საქართვე-  
ლო. როგორც უკრაინელი მკვლევარი მ. მელნიკი აღნიშნავს  
– „შოთა რუსთაველის რომანტიკული გმირის სახეში, შესაძ-  
ლოა, იგულისხმება ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ჭად-  
რაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ქალთა შორის.“ (აკადემი-  
ის.., 2004:56) აღნიშნული მოსაზრება საფუძველს მოკლებუ-  
ლი არ არის, პირიქით, ცნობილი ფაქტია, რომ 1962-1978 წწ.  
მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახდა. ამ ამბავს საბჭოთა  
პრესის ფურცლებზე დიდი რეზონანსი მოჰყვა.

მჟღავნდება, რომ მწერალი კარგად იცნობს ქართულ ლე-  
გენდარულ ნაწარმოებს „ვეფხისტყაოსანს“, მის სიუჟეტს,  
მის მთავარ გმირებს; ნაწარმოების ქარგას, აგებულებას.

ქართველი მოჭადრაკე ლექსში შედარებულია თინათინ-  
თან. თინათინი ხომ ჭკუა-გონებით გამორჩეული პერსონა-  
ჟია, გასაკვირი არ არის მასთან მსგავსება. სამ მხედარში კი  
ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი უნდა ვიგულისხმოთ.  
„ხარ საქართველო და სამეფო სამოსი გშვენის“ – ამ სტრი-  
ქონში პოეტის დიდი პატივისცემა მჟღავნდება საქართვე-  
ლოს მიმართ, მისი დამოკიდებულება, გამარჯვებული, დია-  
დი ქვეყნის მიმართ აღტაცებით აღსავსე ადამიანის დამოკი-  
დებულებაა.

საიდან უნდა სცოდნოდა **ლინა კოსტენკოს „ვეფხისტყაოს-  
ნის“** შინაარსი? გავრცელებულია მოსაზრება (და საკმაოდ სა-  
მართლიანადაც), რომ ვეფხისტყაოსნის თარგმანებს შორის მი-  
სი უკრაინული თარგმანი საუკეთესოა. 1937 წლის დეკემბერში

კიევში მოეწყო რუსთაველის იუბილე. ამ პერიოდისთვის მიკოლა ბაჟანს უკვე ნათარგმნი ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი“ და უკრაინაში მეტისმეტად პოპულარული იყო. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლინა კოსტენკო გსცნობია ამ ნაწარმოებს და დიდი გავლენაც მოუხდენია მასზე.

უკრაინულ ლიტერატურაში სამოციანელებამდეც არსებობდა ქართულენოვანი თემატიკის გამოყენების ტრადიცია და საკმაოდ წარმატებულადაც. მიკოლა ბაჟანმა, პავლო ტიჩინამ, მაქსიმ რილსკიმ შექმნეს ბრწყინვალე ნაწარმოებები, რომელთა ფაბულა შექმნილია ქართველი პერსონაჟების (ძირითადად მწერლების), საქართველოს ბუნებითა თუ ქალაქების სილამაზით აღფრთოვანებულ მწერალთა შთაბეჭდილებების საფუძველზე. სამოციანელებმა ძალიან ღირსეულად გააგრძელეს ეს ტრადიცია სხვადასხვა მხატვრული ხერხებით. თუ მანამდე ქართული სახელები ჟღერდა მხოლოდ მიძღვნითი ხასიათის ლექსებში („შოთა რუსთაველი“, – მ. რილსკი; „დავით გურამიშვილს“ – პ. ტიჩინა) სამოციანელებმა უფრო ღრმა, დახვეწილი, მდიდარი ფორმები შემოგვთავაზეს და მიძღვნითი ხასიათის ლექსების გარდა, ვხვდებით ქართულ ალუზიებს, ქართველ პერსონაჟებს ნაწარმოების შინაარსისა და კონტექსტური მსვლელობის შესაბამისად. მართალია, ლინა კოსტენკოს პოეზიაში რაოდენობრივად მრავლად არ ვხვდებით ქართულ თემას, მაგრამ მხოლოდ რაოდენობაც არ არის საკმარისი ღირებულებისთვის. ყველაზე თვალსაჩინო ლინა კოსტენკოს პოეტურ შემოქმედებაში, ზოგადად, არის მისი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხების მიმართ. ქართული თემა ისე ბუნებრივადაა წარმოდგენილი მის ლექსში, რომ ძალიან დიდ ინფორმაციას გვანვდის ავტორის განწყობასა და დამოკიდებულებაზე ქართული სამყაროს მიმართ.

**დასკვნის** სახით უნდა ითქვას, რომ ლინა კოსტენკოს ადგილი სამოციანელთა შორის, მართლაც რომ გამორჩეულია; მისი მნიშვნელობა უკრაინული ლიტერატურისა და კულტურისთვის – ფასდაუდებელი. მისმა ბრწყინვალე შემოქმედებითმა აურამ განაპირობა მისი წარმატება და ასეთი პოპულარობა დღემდე.

ქართული თემატიკა ლინა კოსტენკოს შემოქმედებაში მცირე ადგილს იკავებს, თუმცა, ვინაიდან მას აქვს გააზრებული, კომბინაციური სახე, მისი არსებობა დიდ აზრს იძენს, ყურადსაღებია როგორც უკრაინული სალიტერატურო კვლევებისთვის, ისე ქართულისათვის.

ქართულ ენაზე ლინა კოსტენკოს ლექსების მიმართ ინტერესი, მათი თარგმანები ქართულ ენაზე, ორი საუკუნის მიჯნაზე, პოეტის ინტერნაციონალურობასა და ქართული სამყაროსთვის მისაღებ პმაგალითად ყოფნაზე მეტყველებს.

დაბოლოს, ქართულ ლიტერატურულ სამყაროში ლინა კოსტენკოს სახელის პოზიტიურად არსებობა და, მეორე მხრივ, ლინა კოსტენკოს პოეზიაში ქართული სახისა და სიუჟეტის არსებობა, ქართულ-უკრაინულ მრავალსაუკუნოვანი კულტურული დიალოგის გაგრძელების ტიპურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

### **ლიტერატურა:**

1. ბაქანიძე ო., „ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი“, თბ. 1982.
2. ბუდნი ვ., ილნიცკი მ., „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“, კიევი, 2008.
3. გაევი ტ., გუკი ზ., „XX საუკუნის უკრაინული ლიტერატურა“, ბელგრადი, 2008.
4. ნაენკო მ., „უკრაინული მხატვრული ლიტერატურა“, კიევი 2008



5. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ გამოცემები, ფილოლოგიური მეცნიერებები, „შავიზღვისპირეთის ხალხთა კულტურა“, კიევი, 2004.
6. ინტერნეტრესურსი, [http://dspace.nbu.gov.ua:8080/dspace/handle/123456789/36220-](http://dspace.nbu.gov.ua:8080/dspace/handle/123456789/36220)
7. ინტერნეტრესურსი, [https://docs.google.com/document/d/1FLn\\_LnW5biPifSKcgl1p75T7SvVFYoC5tadRqsxMe1M/edit?pli=1](https://docs.google.com/document/d/1FLn_LnW5biPifSKcgl1p75T7SvVFYoC5tadRqsxMe1M/edit?pli=1)

## **Resume**

The article discusses the social activity of a famous Ukrainian poet of the 1960s Lina Kostenko, who created a masterpiece of modern Ukrainian literature and left an indelible mark not only on Ukrainian literature, but also on Georgian culture. The poem in which she mentions Tinatin, a Georgian girl is also thoroughly analyzed in the presented work.

## სოფიო ჩხატარაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უკრაინისტიკის ინსტიტუტი  
(თბილისი, საქართველო)*

## უკრაინელი „სამოციანელები“ და საქართველო

საბჭოთა პერიოდის უკრაინული ლიტერატურა კვლევით-სათვის მეტად საინტერესო და ღირებულ მასალას იძლევა. ეს არის ერთობ რთული პერიოდი უკრაინის როგორც ლიტერატურაში, ისე ისტორიაში.

აღნიშნული ეპოქა თითქმის ერთ საუკუნემდე პერიოდს მოიცავს. რასაკვირველია ჩვენ არ შევეცდებით ერთ სტატიაში მის დახასიათებასა და გაანალიზებას. განვიხილავთ მხოლოდ 50-60-იან წლებში მოღვაწე უკრაინელ პოეტთა შემოქმედების უმთავრეს კონცეპტებსა და „სამოციანელთა“ მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლის თვალთ დახახულ ქართულ სამყაროს.

„სამოციანელები“, როგორც ეროვნული მოძრაობის კორიფეები, XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან ჩნდებიან უკრაინულ ლიტერატურაში. თავიანთი მნიშვნელობით ლიტერატურის ისტორიაში ისინი შეგვიძლია ქართველ „თერგდალეულებს“ შევადაროთ, რამეთუ: მათ უკრაინულ სალიტერატურო ენაში ძირეული ცვლილებები მოახდინეს. ***(ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იმპერიული პოლიტიკა მუდმივად ენობრივ ექსპანსიას ეწეოდა; უკრაინულ ენას განსაკუთრებული წნეხი შეეხო, რამაც მისი ბუნებრივი ევოლუციის პირობები შეზღუდა)***. ეროვნული თავისუფლების პრობლემა ახალი თაობისთვის უმთავრესი იყო,

მიისწრაფვოდნენ თავისუფალი, ცივილიზებული სამყაროს-  
კენ და საამისოდ პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდნენ (ამის ნა-  
თელი მაგალითია ბორის ანტონენკო-დავიდოვიჩის მტკიცე  
პოზიციები უკრაინული ენის დასაცავად. იგი აქვეყნებს სტა-  
ტიებს გაზეთებში „ლიტერატურული უკრაინა“ და „უკრაინა“  
1969-70 წლებში, რომელიც სვამდა პრობლემას ანბანში და  
დაბრუნებულებს ასო-ნიშანი „I“, რომელიც უკრაინული ენის  
ინდივიდუალობას მკაფიოდ უსვამს ხაზს და ა.შ.), ხოლო მათი  
შემოქმედებითი მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, ემსგავსება უკვე  
XX საუკუნეში მოღვაწე ქართველ „სამოციანელებს“, რომ-  
ლებმაც კოლექტიური ცნობიერების საზღვრები გაარღვიეს  
და აქტიურად ცდილობდნენ ინდივიდუალიზმის დამკვიდრე-  
ბას იმპერიული კულტურის პირობებში.

„სამოციანელებმა“ ძალიან დიდი მორალური წინააღმდე-  
გობა გაუწიეს საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფო რე-  
ჟიმს. მათი კულტურული მოღვაწეობა სცდებოდა ოფიცია-  
ლურ საზღვრებს, ისინი აწყობდნენ არაფორმალურ ლიტე-  
რატურულ საღამოებს, სამხატვრო გამოფენებს, რეპრესი-  
რებული შემოქმედების ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებს,  
დგამდნენ მდუმარე თეატრალურ წარმოდგენებს, რაც ერ-  
თგავრი პერფორმი იყო სოცრეალისტური კანონით გაჯერე-  
ბულ ხელოვნების პირობებში. ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი  
მწერლები ცდილობდნენ თავი დაეცვათ სახელმწიფო უშიშ-  
როების კომიტეტის ზენოლისგან, ამიტომ ისინი ერთიანდე-  
ბოდნენ საერთო იდეურ-ესთეტიკური ღირებულებების გარ-  
შემო. 1960-იანი წლების დასაწყისში კიევში, ი. სვიტლიჩინის  
ბინაში ისინი იკრიბებოდნენ, რომელიც უკრაინული ეროვნუ-  
ლი კულტურის ერთგვარი ალტერნატიული ცენტრი გახდა.

სამოციანელთა მოძრაობის ყველაზე დიდ ფრთას წარმო-  
ადგენდნენ უკრაინელი „სამოციანელი პოეტები“: დმიტრო  
პავლიჩკო, ივან დრაჩი, ლინა კოსტენკო, ვიტალი კოროტიჩი,

ვასილ სიმონენკო, ბორის ოლიინიკი, მიკოლა ვინგრანოვსკი, ვასილ სტუსი.

ეს მხოლოდ ცალკეული შტრიხებია სამოციანელთა მოღვაწეობიდან. უნდა აღინიშნოს, რომ იმ მეტისმეტად რთულ პერიოდში, როდესაც სამოციანელებს მოუწიათ მოღვაწეობა, მათ შემოქმედებაში არცთუ ისე უმნიშვნელო ადგილს იკავებს ქართული თემა. საინტერესოა, რა გახდა ამის მიზეზი? სოციალისტური რეალიზმის ბატონობის ხანაში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა, მაგრამ სამოციანელთა გამოჩენა სწორედ იდეოლოგიური პოლიტიკის რღვევას ემსახურებოდა, მაშ რით არის განპირობებული ე.წ. „მოკავშირე“ სახელმწიფოსადმი მიძღვნილი დითირამები? როგორია ქართული სამყაროს რეცეფცია უკრაინელ პოეტთა მიერ? შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

1953 წლიდან, ბელადის კულტის მსხვერველსთან ერთად, მთელ საბჭოთა სივრცეში იწყება ე. წ. „დათბობის“ პერიოდი. „დათბობის“ პერიოდის ქართული და უკრაინული მოდელები ესოდენ სიმძილარულია: „განსხვავებულ სურათს იძლევა 50-60-იანი წლების, ე.წ. „ოტტეპელის“ ხანა... დაუფარავად იზრდება დასავლური ლიტერატურული ტენდენციების ზეგავლენა... ანტისაბჭოთა დისკურსის ეს პროდასავლური მოდელი, ცხადია, პოლიტიკური ლიბერალიზაციის შედეგია...“ (რატიანი, 2010: 49). აღნიშნული დეფინიცია მკაფიოდ გამოხატავს იმ პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა „დათბობის“ ხანაში.

სწორედ ამ დროს ლიტერატურულ სარბიელზე ჩნდება ორი უმნიშვნელოვანესი კრებული: დმიტრო პავლიჩკოს სადებიუტო წიგნი „სიყვარული და სიძულვილი“ და ლინა კოსტენკოს “მინის სხივები“. ეს კრებულები სამოციანელთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების წინაპირობად იქცა.

როგორც ცნობილი უკრაინელი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროფ. მიხაილო ნაენკო აღნიშნავს: „მეხის გა-

ვარდნას ჰგავდა ახალი თაობის შემოქმედების კრებულების გამოსვლა“ (ნაენკო, 2008:1005).

საქართველოს, როგორც აღმოსავლური სამყაროს მხატვრული სახე, სამოციანელთა შემოქმედებაში მრავალფეროვან სურათს იძლევა როგორც ქრონოლოგიური, ისე თემატური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სლავურმა კულტურამ ქართული კულტურის აღქმა აღმოსავლური კულტურის კონტექსტში განახორციელა, რამაც ამ უკანასკნელს რომანტიკული ელფერი შესძინა (*რომანტიკოსების მიერ აღმოჩენილი აღმოსავლეთის მსგავსად, ბაირონი, პუშკინი, და სხვ*). უკრაინულ ლიტერატურას უკვე ჰქონდა დიდი ტრადიცია ქართული კულტურის კვლევის, რისი ბრწყინვალე მაგალითია, აკადემიკოს აგათანგელ კრიმსკის ორიენტალისტურ სტუდიებში ქართული მწერლობის კვლევა, ძველი ქართული ლიტერატურის თარგმნა. კრიმსკის აკადემიური ნაშრომები გახდა ერთგვარი ბაზისი ქართული კულტურით დაინტერესებისა მეოცე საუკუნის აღმოსავლეთსლავურ სამყაროში. დმიტრო პავლიჩკო, ივან დრაჩი, ბორის ოლიინიკი, ვიტალი კოროტიჩი, მიკოლა ვინგრანოვსკი, ქართული სამყაროს ახლებურ ხედვას გთავაზობენ, რომელშიც ტრადიცია და ნოვაცია თანაბარი დოზით გვხვდება.

მიუხედავად ე. ნ. „დათბობისა“, მაინც გრძელდებოდა „ხალხთა კულტურათა და ლიტერატურათა“ დაახლოების ღონისძიებები. 1964 წელს უკრაინული ლიტერატურის დეკადის დროს საქართველოში იმყოფებოდნენ უკრაინელი „სამოციანელი“ პოეტები – „უკრაინელმა პოეტებმა ი. დრაჩმა, ვ. კოროტიჩმა და დ. პავლიჩკომ წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსების საკუთარი ახალი თარგმანები“ (ბაქანიძე, 2000:27-30) – იხსენებს პროფ. ოთარ ბაქანიძე, თუმცა იმ პერიოდში მათი შემოქმედება მეტ-ნაკლებად სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით იყო გაჯერებული.

სოციალისტური რეალიზმის კლასიკური პრინციპის მიხედვით, XX საუკუნის უკრაინელი კლასიკოსის მაქსიმ რილსკის სიტყვები: *“ვაჟას ამაყი მთების სიმღერა, რუსთაველის სტრიქონთა ჰარმონია, ჩვენი სიხარულია სხვისი კი არა!”* — რამდენადმე გადაედო მომდევნო თაობასაც და ტრადიციად იქცა, თუმცა სხვადასხვა ინტერპრეტაციებით რა თქმა უნდა.

დმიტრო პავლიჩკოს ეკუთვნის ლექსები „ქართული სიმღერა“, სადაც ავტორი პოეტურად აღწერს საქართველოს: *(მესმის მესმის შენი, ცისკიდურით გამოვიცნობ მარად-ვერცხლისფრად მბზინავ მტკვარს, ალაზანს, რიონსა და არავს.../მესმის ჩქამი შორით – ვარსლავლებზე რუსთაველი დადის.)* და „საქართველოს საელჩოსთან რომში“, ეს ლექსი პირადად გადასცა საჩუქრად წარწერით უკრაინული ლიტერატურის ქართველ მკვლევარს, აკადემიკოს ოთარ ბაქანიძეს. პოეტი ყურადღებას ამახვილებს ქართულ და უკრაინულ საერთო პრობლემაზე: *(ქართულ გულთა გამპობელი რუსის ბარით/ჩემი გულიც გაიპო და დაისერა).*

ბორის ოლიინიკის „როკვენ ქართველნი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლექსია სადაც ყველაზე ჩამოყალიბებულად ჩანს ქართული ეთნომენტალობა და სხვა ნაციონალური კონცეპტები. უცხოელი პოეტის თვალთ დასახული ქართული გენია ასეთია: *(„როკვენ ქართველნი და ყოველი მეფეა თვისიპ-როკვენ ვაჟკაცი შვენით შავი წარბების რკალი./ვიცი ჩვენს ძმობას ზურგში ხანჯალს ვერავინ ჩასცემს“).*

ვიტალი კოროტიჩის პოეზია გაჯერებულია ქართული სახეებით, ქართული ონომასტიკური ერთეულებით, ასევე, მიძღვნილი ხასიათის პოეტური ქმნილებებით: *„მხიარული პურობა“, (ქართველებს ძალუძთ იყონ მხიარულნი... ჩვენ კარლო კალაძე გვიკითხავს ლექსებს. იგი გვიყვება საქართველოზე, და სადღეგრძელოებს ამბობს გასაოცარს.) „ვუსმენ ქართველი პოეტების ხმას“, (ო, საქართველოვ მაჩვენე*

შენი, მგოსნების სახე გაუხუნარი, რომლებსაც თავისი რჩეული სიტყვა, გაურევიათ შენს რჩეულ ხმაში...)" "საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილი ვფიქრობ თბილისზე", (მე მესიზმრება თბილისი, თბილი სახელის მართლა ღირსშესაფერი.....) „ზაფხული ქუთაისში“, „კავკასიონი“, და მრავალი სხვა.

ივან დრაჩის შემოქმედებაში მხოლოდ ორიგინალური ხასიათის ლექსებს კი არა, თარგმანებსა და პუბლიცისტურ ნერილებსაც ვხვდებით, რომლებიც საქართველოზე, ქართველ მწერლებზეა დაწერილი. მისი ლექსები ძალიან სახასიათო და საინტერესო მასალას იძლევა: „ივერიული მიზიდულობა“ (ყველაფრისათვის გულმა უნდა გაიღოს ხარკი/ სუპერბგერითი სიჩქარისთვის, მიწის უსაზღვრო სიყვარულისთვის/ რომელიც არსად არ მოგასვენებს...) „საქართველოს სადიდებელი“ (შენ საქართველოვ მოდიხარ მაშინ, რომ მომირჩინო ფრთები, როდესაც წყალიც არ არის წყალი, ჭა სიცოცხლისა შრება, შენთან ნუხილი ედრება ხალისს, შენთან ვარამი — შვებას), „ლანჩხუთში“, „წერილი ტიცვიან ტაბიძეს“, (საქართველოდან დავბრუნდი ნუხელ/ჩემში იზრდება ქედები შორი...), „ნიკო ფიროსმანი გავლით კიევში“, („ნიკოს კი თვით ღორიც საოცრად დარბაისელი და ნაზი გამოსდის დააკვირდით გურმანებო, თქვენი ხენუნოს სურნელებას არ უტოლდება?)

მიკოლა ვინგრანოვსკის პოეზიაში მიძღვნილი ხასიათის ლექსები გვხვდება ორი ქართველი მწერლის მიმართ: “ნიკოლოზ ბარათაშვილს“, „მოძღვარი“ (რომელიც ეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიას).

ცალკე კვლევის საგანია ლინა კოსტენკოს პოეზია, რომელიც საინტერესოა იმით, რომ მასში გვხვდება ქართული სახეები, მხოლოდ ეს კონტაქტოლოგიის გზით არ არის შეჭრილი მის პოეზიაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული თემა სამოციანელთა შემოქმედებაში განსაკუთრებულ ღირებულე-

ბას წარმოადგენს, როგორც უკრაინული ლიტერატურის, ასევე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართული კულტურის აღქმის პროცესის ისტორიაში. ამ საკითხთან დაკავშირებით გასაზიარებელია შემდეგი მოსაზრება: „ნებისმიერი ერის ლიტერატურაში უცხოეროვნული თემატიკის გაჩენა იმაზე მიუთითებს, რომ მას გაუჩნდა განსაკუთრებული ინტერესი იმ ერისადმი, რომლის შესახებაც წერს, მისი ისტორიის, კულტურის, ხალხისა თუ ყოფა-ცხოვრებისადმი. ამ ფორმის ერთ-ერთი ფუნქცია ისიცაა, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია, უკეთ ჩავწვდეთ უცხო ქვეყნის, მისი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ ხასიათს, მათ ყოფა ცხოვრებას“. (გაფრინდაშვილი, 2012:132). საქართველოსადმი ინტერესი უკრაინულმა სამყარომ საუკუნეების წინ გამოიჩინა, რაც დაფიქსირებულა არაერთ წყაროში. ყოველი ეპოქა თავისი მოთხოვნების შესაბამისად აღიქვამდა ამ საკითხს. აღსანიშნავია სამოციანელთა თაობის უდიდესი როლი თანამედროვე უკრაინული კულტურის განვითარების ისტორიაში. ეს ფაქტორი ღირებულებას მატებს ჩვენი კვლევის საკითხს.

სამოციანელ პოეტთა რეცეფციით, საქართველო არის დიდებული, განსაკუთრებული კულტურის მქონე ქვეყანა. იგი მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს უკრაინელ პოეტთა მხრიდან.

სამოციანელ პოეტებს მემკვიდრეობით ერგოთ „საქართველოს სადიდებლის“ წარმოთქმა. ამას დაემატა ის კონტაქტები, რომლებიც მათ ჰქონდათ ქართველ შემოქმედებთან, რამაც როგორც მემუარული, ისე პოეტური მემკვიდრეობა დაუტოვა ისტორიას.

დაბოლოს, უკრაინელ სამოციანელთა შემოქმედებითი მოღვაწეობა არც პირველი მცდელობაა და, ლოგიკურად, არც უკანასკნელი. ის გაგრძელებაა იმ მრავალწლიანი ტრადიციისა, რისი გათავლისწინებთაც, უძველესი დროიდან მოყოლებული



დღემდე უკრაინულ ლიტერატურაში ქართული თემა, რომან ლუბკივსკის სიტყვები რომ დავიმონმოთ, ასე ჯღერს:

მე ახლა ვფიქრობ საქართველოზე.  
მე ვხედავ მერანს ცეცხლისთვალებას.  
მესმის – ჯაჭვყაყრილ პრომეთეოსის  
ლალი სიმღერა ლაჟვარდებს ერთვის.  
თავს მონინებით გიხრი მინამდე,  
თაყვანი შენდა და მოკრძალება.

### **ლიტერატურა:**

1. ბაქანიძე ო. მზიური დეკადა, თბ., 2000.
2. გაფრინდაშვილი ნ. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები, თბ., 2012.
3. „გამარჯობა უკრაინავ“ (უკრაინელი პოეტების ლექსები), თბ. 1989.
4. ნაენკო მ., უკრაინის მხატვრული ლიტერატურა, კიევი 2008
5. რატიანი ი., ლიტერატურული დისკურსის მოდელები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში// სჯანი 9. ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში, თბ., 2010.
6. ჩილაჩავა რ., აგვისტო, 55 უკრაინელი პოეტი, კიევი, 2001.

### **SOPHIO CKHATARASHVILI**

#### **Ukrainian `Sixties" and Georgia**

##### **Resume**

In the article is discussed some aspects of Ukrainian `Sixties~ creative art, the difficulties, which they have beared down for safety the national identity, the poems which are written about georgia. besides, is analized the role of `sixties" in the history of Ukrainian literature and culture.

ГАЛИНА ЛЕВЧЕНКО

*Кандидат філологічних наук, докторант,*

*Житомирський державний університет імені Івана Франка*

*(Житомир, Україна)*

## **Концепт «сходу» в ранній ліриці Лесі Українки**

У контексті романтичної та ранньомодерної літератури орієнтальні топоси лірики Лесі Українки виглядають як цілком закономірні елементи образного кодування. Преромантизм і романтизм в європейській літературі виробив стиль представлення Сходу як екзотичного топосу (Й.-В. Гете, Дж. Байрон, Т. Мур, П. Куліш, П. Карманський та ін.). Цей ранній орієнталізм асоціювався з чуттєвістю, обіцянкою насолоди, страхом, напруженою духовною енергією. «Орієнтальне» в романтизмі не розділялося на конкретні національні культури, не мало конкретної локалізації, а було «Сходом» – романтичним символом певних почуттів і пристрастей (Саїд, 2001:511). Асоціативне багатство цього літературного концепту письменниця досить вправно використовує уже в ранній ліриці, зокрема в поетичних циклах «Кримські спогади» і «Подорож до моря». Образи-пейзажі у віршах видаються синтезом уявних міфологічних образів та життєвих вражень від реальних морських краєвидів.

У різні часи і з різних кутів зору до проблеми орієнтальних впливів на творчість Лесі Українки зверталися Є. Кагаров, І. Романченко, О. Дун, П. Одарченко, О. Огнєва, С. Кочерга, І. Бетко, Т. Либединська, В. Шаян, В. Скуратівський, Т. Маленька, О. Козлітіна та ін. Інтерес Лесі Українки до культури й літератури Сходу можна пояснити насамперед геополітичним розташуванням України, котре і в історичній перспективі, і в сучасності

провокує міжкультурні контакти із народами Сходу. Підтримали інтерес до східних культур часті подорожі на Схід, зумовлені необхідністю в лікуванні. На ці аспекти вказує сучасна дослідниця творчості Лесі Українки Олена Огнева: «Схід в особистому житті Лесі Українки розпочинається з дитячих вражень (власне, вони залишилися на рівні підсвідомості), що, поза всяким сумнівом, заклали підґрунтя для сприйняття чужого світу, формування уявлень так званого біблійного Сходу і його сучасного поетеси втілення в єврейських, ортодоксальних хасидських та караїмських общинах, тобто всього того, що можна було спостерігати у буденному житті українських міст і містечок «черты оседлости».

В юнацькі роки відбувається знайомство зі Сходом іншого гатунку на північному березі Чорного моря, куди Леся Українка виїздила на лікування. Йдеться про мусульманський Схід, точніше його рештки, оскільки Хаджибей (тепер Одеса), Акерман в минулому – потужні турецькі фортеці, а Крим, на час перебування там юної поетеси, ще зберігав живу татарську традицію» (Огнева, 2007:10). Живі враження від перебування на чорноморському узбережжі відбилися в листах, у поетичних циклах «Подорож до моря», «Кримські спогади», «Кримські відгуки», пізніше з'являється діалог «Айша та Мохаммед». Велетенський шар давньосхідних міфів і легенд, опрацьованих під час роботи над підручником «Стародавня історія східних народів», справив сильний вплив на створення поетичних циклів «Невільничі пісні», «Легенди». Подальший розвиток хвороби змусив Лесю Українку, вже зрілу творчу особистість, опинитися в Єгипті, в одному із визначних центрів арабської культури. Відбувався жвавий безпосередній контакт із арабською культурою мусульман, що існувала безперервно вже майже тисячу років, і водночас із культурою, котра припинила своє існування – давнім Єгиптом.

Окрім літературно-художніх стереотипів, легендарно-міфологічних мотивів, історичних і геополітичних підтекстів, семантика концепту Схід у творчості Лесі Українки суттєво зумовлена її жвавим пізнавальним інтересом до історії Стародавнього Сходу та літератури й культури давніх цивілізацій. «Всі великі цивілізації почалися на Сході, – зауважує письменниця у підручнику «Стародавня історія східних народів», – в південній частині Азії та в східній частині Африки, при великих річках, серед розкішної природи в теплому, лагідному кліматі. Там повстали цивілізації найдавніші в світі: Китайська, Індійська, Єгипетська, далі Ассиро-Вавилонська, Гебрейська (Жидівська) і Фінікійська» (Огнева, 2007:10). Схід сприймався як своєрідний шаблон, історична матриця зародження, розвитку і загибелі людських цивілізацій, архетип циклічного розвитку культур. Література, релігійні уявлення, культурні надбання та історико-політичні події, пов'язані із побутуванням цих давніх цивілізацій, а поміж них пріоритетно – індійської, єгипетської і єврейської – суттєво вплинули на формування концептосфери лірики та й всієї творчості Лесі Українки. Олена Огнева називає підручник Лесі Українки «Стародавня історія східних народів» своєрідним контрапунктом для відтворення Сходу в різних його проявах у творчості Лесі Українки. «Ця праця вперше виникає як підсумок засвоєння культурної спадщини іншого світу, і робота над нею відновлюється знову під час зіткнення з новим світом, кожного разу маючи продовження в поетичних або драматичних творах. Водночас, «Стародавня історія...» щоразу служила для поетеси своєрідним містком для входження у світ іншої культури і шляхом повернення до власної, коли нові духовні надбання поставали, завдяки таланту Лесі Українки, вже фактами української культури, і яка таким чином включалася до єдиного всесвітнього процесу» (Огнева, 2007:10). Закономірно, що різно-

манітні образи, пов'язані зі Сходом, проникали в художню творчість, витворивши у ній своєрідний «орієнтальний текст», пов'язаний із рецепцією стародавніх легенд і казок, історії, літератури та звичаєвості.

Концептуалізація Сходу в ранній ліриці Лесі Українки здійснюється із залученням трьох основних каналів пізнання – безпосередніх вражень від подорожей, літературних стереотипів, легенд і казок та історичного наукового пізнання. Під впливом безпосередніх вражень, очевидно, постають насамперед образи екзотичних пейзажів, котрі наповнюються не типовими для Поділля та Волині флорою, мариністичними та урбаністичними елементами. У поетичному циклі «Подорож до моря» ця природна екзотика підкреслена контрастним переходом від звичних для ока юної поетеси рідних пейзажів (Прощай, Волинь! Прощай, рідний куточок!..), «Красо України, Поділля!» до вражень від нових краєвидів, де «все чужина». Характерно, що споглядання незвичних краєвидів, найчастіше актуалізує в пам'яті письменниці казково-міфологічні уявлення. У вірші «Далі, далі від душного міста!» морські хвилі навіюють романтичну візію із танком нереїд на сході сонця («Нереїди при сонячнім сході /Промінь ранній таночком стрівають... /І танцюють химерно та легко, – /Ось близьенько вже видно ту зграю...») та із білогривими конями колісниці Нептуна («І дорога блакитно-перлиста /Зостається широка за нами, /Геть далеко розкочує хвилі, /Що сердито трясуть гребенями, /Наче гривами огирі білі» (Українка, 1975:95). Сонце і море постають антропоморфними істотами, які вітаються, мило спілкуються: «Синє море чудово так грає, /Його сонечко пестить кохано, /Красним-ясним промінням вітає» (Українка, 1975:94). У цьому ж вірші вперше зринає образ моря як величного осяйного простору, у безмежжі якого можна розчинитися, згубитись, забувши

«і щастя, і горе – все наземне» (Українка, 1975:95). Навіяний цей образ, мабуть, віддзеркаленням у морській воді сонячного проміння, що викликає ілюзію всеосяжного світіння: «Море наче здіймається вгору, /А склепіння небеснеє синє /Край свій ясний купає у морю. /Світло там простяглося від сходу, – /Очі вабить стяга та іскриста» (Українка, 1975:95). Її й намагається письменниця охопити розмаїтими метафоричними визначеннями: «осайна долина», «прозора блакить». Згодом у вірші «Тиша морська» із циклу «Кримські спогади» з'явиться нове визначення – «країна світла та злотистої блакиті» (Українка, 1975:99)

Морські краєвиди у циклі «Подорож до моря» виявляють увагу й захоплення авторки розмаїтими світловими ефектами, які витворюються на воді світлом зір, сонця, корабельних вогнів. У вірші «Великеє місто. Будинки високі...» лірична героїня спостерігає з товаришкою, «як ясно на темному морі /Незлічені світла сяяли». У вірші «Вже сонечко в море сіда» зацентровано увагу на кольоровій світловій грі променів призахідного сонця: «У тихому морі темніє; /Прозора глибока вода, /Немов оксамит, зеленіє. /На хвилях зелених тремтять /Червонії іскри блискучі /І ясным вогнем миготять, /Мов блискавка з темної тучі» (Українка, 1975:97). Корабель залишає за собою дорогу, котра «біліє, як мармур, як сніг, /І ледве примітно для ока. /Рожевіє пінистий край; /То іскра заблісне, то згасне...» (Українка, 1975:98). Зорові імпресії витворюють динамічну картину мерехтіння кольорового світла: зеленого, червоного, вогняно-іскристого, білого, рожевого. У вірші «Кінець подорожі» основна увага – нічний світловій грі на морі: «Вже зіроньки гожі /Сіяють на небі ясному, /І вже височенько /Ясний місяченько» (Українка, 1975:98) «Огні незліченні, /мов стрічки огненні, /До моря спускаються з міста, /А в пристані грає, /Огнями сіяє /Корабликів згряя барвіста» (Українка, 1975:98) Очевидне зачудуван-

ня поетеси цими новими світловими враженнями. Вони навіюють їй фантастичні асоціації, нагадують сюжети міфологічних легенд і переказів. У вірші «Тиша морська» з циклу «Кримські спогади» образи «країни світла», «злотиюї блакиті», «злотиюї стежечки», «золотого шляху», «краю вічного проміння» мають на собі відбиток легендарних уявлень про Схід як про ідилічне «райське» місце. Міфологічна пам'ять береже образ сонця, що сходить над водами певної водойми і під дією його променів витворюється ілюзія, ніби вода оживає сайвом, спалахує.

Інший потік образних асоціацій зі Сходом у циклах «Подорож до моря» і «Кримські спогади» складають події історичного минулого України, пов'язані із взаємодією з кочовими східними племенами – турецько-татарські набіги, визвольна боротьба козаків. Образно-ритмічна організація вірша «Ой високо сонце в яснім небі стало» демонструє спорідненість з народними історичними піснями про боротьбу козаків із турецько-татарськими нападниками: рівноскладовість чотиривіршів і двовіршів, строфічність римування, переважно банальні однотипні рими, риторичні вигуки та звертання, багато тавтологічних зворотів та ретардацій. Саме кримське узбережжя зображене стереотипно, як в історичних піснях: «акерманські турецькі вежі», «круглії вежі», «високії мури», «у тих мурах стрільниці-бійниці, /При вежах тих сумні «темні темниці», «лиман такий пишній». У цьому стилізованому описі уява домальовує історичні образи козаків: «Глянуть на лиман той, – втішається око! /Колись його хвилі вкривались широко /Тими байдаками, легкими чайками, /Що плили на сей бік та за козаками: /Швидко рідних визволяти козаки летіли... /За мурами високими вороги тремтіли...» (Українка, 1975:96). І врешті смутна констатація про минущість і задрісних зазіхань, і боротьби: «Все мина!.. Від слави давньої давнини /Лиш zostались вежі та німії стіни!» (Українка,

1975:96) Асоціації з історичним минулим України викликають також вірші «Бахчисарай», «Бахчисарайський дворець», «Бахчисарайська гробниця». Резиденція турецьких ханів вже сама по собі виразне екзотичне місце, що в застиглому вигляді являє давні архітектурні й ужиткові східні традиції. Леся Українка не переповнює свої вірші екзотизмами, до яких можна віднести всього дві лексеми – мінарети і гарем, котрі вагомо акцентують екзотичність пейзажу. Проте у всіх трьох віршах пейзаж очуднюється через образ застиглості, завмерлості, «зачарованості» чи «проклятості», завдяки чому цілісні реальні пейзажі виглядають межовими і наче б приналежними до іншого світу. У вірші «Бахчисарай» ефект очуднення досягається за допомогою епітетів «зачарований» (котрий з'являється вже в першому рядку), «заклятий», «сонний», «таємно», «тихий». Місто уподібнюється до «заклятого краю», «сонного раю», над ним «витають красні мрії, давні сни», повітря тут «дише чарівним спокоєм» (Українка, 1975:107). У вірші «Бахчисарайський дворець» на передній план виступають концепти руїни, пустки, звалищ, неволі, марноти. Будівля оповита смутком, неначе після великої катастрофи, «себе оплакує оселя ся чудова» ледве чутною мовою водограїв. Часи панування і сили лишилися в минулому, зосталася тільки неволя. Урешті в наступному вірші «Бахчисарайська гробниця» віднесеність зображеного до «іншого світу» межової точки – бо йдеться про кладовищенський пейзаж, котрий поетеса моделює за допомогою нещадного сонячного проміння, котре падає на камінні плити. «Ні квітів, ні дерев, ні огорожі», – наголошує лірична героїня, підкреслюючи мертвотність пейзажу, у якому жива природа і людська цивілізація як органікa протиставляються неорганічним породам – каменю. У самій гробниці вона вбачає символ похованої бахчисарайської слави, натякаючи на минущість імперій та цивілізацій.



Застигла архітектурна краса і вигадливість постають знаками минулого благоденства, розкоші й слави, приречених на неминучу загибель.

У поетичному циклі «Кримські спогади» східні мариністичні пейзажі доповнюються образом човна, який письменниця досить розмаїто художньо інтерпретує у різних віршах. У вірші «Тиша морська» зринає візія човна, котрий осяйною стежкою відпливає удалину: «З тихим плескотом на берег /Рине хвилечка перлиста; /Править хтось малим човенцем, – /В’ється стежечка злотиста. /Править хтось малим човенцем, /Стиха весла підіймає, /І здається, що з весельця /Щире золото спадає» (Українка, 1975:100). Лірична героїня зачарована цією візією і прагне також «У мале човенце сісти /І далеко на схід сонця /Золотим шляхом поплисти! /Попливла б я на схід сонця, /А від сходу до заходу, /Тим шляхом, що проложило /Ясне сонце через воду. /Не страшні для мене вітри, /Ні підводні каміння, – /Я про них би й не згадала /В краю вічного проміння» (Українка, 1975:88). Ця візія нагадує міфологічні фантазії про човен, що відпливає вдаличінь, та про людину на тому човні. Цей міфологічний мотив ховає у підтексті добову подорож небом сонця, котра часто постає як мандрівка у човні, наприклад, у Єгиптян. Звідти ж походить напрям руху човна – на схід сонця. Солярний міф став основою для пізнішого «райського міфу» – за біблійним Старим Заповітом, Бог насадив рай на сході, у більшості релігій існує традиція будувати храми з просторовою орієнтацією на Схід. У вірші «Грай, моя пісне» лірична героїня ототожнює себе із човном чи із людиною в човні, а власні співи – як хвилі довкола цього човна: «Грай, моя пісне, як вітер сей грає! /Шуми, як той шум, що круг човна вирує!» (Українка, 1975:101) У вірші «Безсонна ніч» зринає образ «хибкого човенця», котрий опівночі вирушає в дорогу: «Хто одважиться в північ на море /Своє хиб-

ке човенце зіпхнути? (...) «Серед мороку, бурі-негоди /Цілу ніч буде човен блукати; /Як зійде сонце правди та згоди, /Я тоді вічним сном буду спати. /Буде шарпати буря вітрила, /Пожене геть по темному морю. /Ох, коли б мені доля судила /Хоч побачити ранню зорю!» (Українка, 1975:101-102). Архаїчний спосіб поховання у воді, котрий у міфах відбився як мотив подорожі в човні (в єгиптян, у греків), у вірші поєднується з ідеєю самозреченої соціальної боротьби – доки «зійде сонце правди і волі», передчуттям майбутніх труднощів. Четверту поезію циклу поетеса називає «На човні» і змальовує ідилічну картину плину в човні посеред тихої погожої ночі назустріч ясній Stella maris: «Плине білий човник, хвилечка колише, /Хвилечка гойдає; /Плине білий човник, вітер ледве дише, /Ледве повіває» (Українка, 1975: 102). Поміж цієї ідилії свої лихі передчуття й думки лірична героїня ховає «в тихую воду» (Українка, 1975:93). У вірші «Негода» найгірші передчуття збуваються. Леся Українка вдається до опису човна, розбитого бурєю: «Там на березі мріє кілками /Морський човен, розбитий, нужденний, /Наче звір, що в пустині пісками /Його вихор засипав південний; /Мов у неба рятунку благають /Ті останки сумні, нещасливі, /А з туману на них вибігають /Грізні, люті вали білогриві. /Вдарить вал і гукне, мов з гармати, /Скрізь по березі гук залунає; /Хоче море човна розламати, /Трощить, ломить, піском засипає...» (Українка, 1975:104). Врешті човен порівнюється з самим приморським краєм – «Так чудовий сей край богоданний /У неволі в чужих пропадає» (Українка, 1975:104), та зі степовим конем, що вмирає в пісках пустелі. Але попри цей трагізм в останній строфі лунає тверда звага боротися не на життя, а на смерть – у закликіві до моря «Затопи сю нещасну країну!» (Українка, 1975:105) Ці всі вірші, об'єднані образом човна, створюють художню проекцію характерної для ранньої лірики поетеси теми

буттєвого самовизначення на новий образний матеріал, навіяний чорноморськими краєвидами.

Важливий і частотний компонент пейзажів у ліриці Лесі Українки – гори. У зрілій творчості він набуває семантики багатозначного символу. Цей наскрізний образ лірики, очевидно, зароджується під час першої подорожі до Криму, оскільки вперше образ гір з'являється в поезіях «Мердвен» і «Байдари» у циклі «Кримські спогади». Вірш «Мердвен» навіяний реальним кримським краєвидом Шайтан-Мердвен (Чортових Сходів) та легендарними переказами про них – наче б по них ходять злі духи і перешкоджають сміливцям, котрі чинять спробу пройти цими гірськими уступами. У вірші «Байдари» йдеться про відомі Байдарські ворота і скелі, поміж якими вони розміщені. У Лесі Українки цей пейзаж також набув фантастичного забарвлення, нагадуючи казковий мотив про дві гори, які знаходяться в тридесятому царстві і можуть рухатися: «Дивлюся: брама, сиві дві скеліни... /О що се? Чудо чи потужні чари? (...) /Мов невидима рука тут положила /Границею отсії дві гори, /Що високо до неба поздіймались. /Один зелений бескид, другий – темний, /Здалека море хвилі золотії /Шле, наче провість волі і надії... /Чи се той світ, загублений, таємний, /Забутий незабутній рай наземний, /Що так давно шукають наші мрії?» (Українка, 1975:94). Про схожий мотив згадує у своїй праці «Історичне коріння чарівної казки» В. Пропп: «В тому царстві є дві гори високі, стоять вони на місці, щільно одна до одної прилягають; тільки раз на добу розходяться, і через 2-3 хвилини знову сходяться. Проміж тих гір, що зіштовхуються, зберігаються води живлющі й цілющі» (Пропп, 1986:289). Таким чином, кримські краєвиди набувають казково-міфологічної інтерпретації, нагадуючи міфи про загублений рай чи казкове тридесяте царство. Казково-міфологічний утопізм письменника художньо «при-

щеплює» східним краєвидам, давній середньовічно-бароковій традиції, яку згодом підхопили романтики, зображувати Схід як фантастичний, овіяний чарами і загадками край, зачароване царство чи рай.

Прикметно, що в ранній ліриці Леся Українка переважно залишає поза увагою екзотичну рослинність Криму, котра пишно забуває у її пізніших «Кримських відгуках». Лише у вірші «Надсонова домівка в Ялті» натрапляємо на характерну для Сходу флору: «Стали в саду кипариси стіною /Оберігати в оселі спокую, /Лаври – неначе зсушила журба, /Тихо, журливо кива головою, /вітням плакучим верба» (Українка, 1975:108). Зображене в цьому вірші місце також асоціюється з минулим, але вже не країни чи культури, а світу творчої особистості: «Все тут журливе кругом сеї хати, – /Та найсмутніші отії кімнати, /Де безталанний поет умирав: /Все тут забрали, що можна забрати, – /Смутку ж ніхто не забрав» (Українка, 1975:109). Загибель людського мікрокосму постає не менш трагічною в цьому вірші, аніж загибель імперії чи цілої цивілізації – і в цьому читається невблаганна логіка історії.

Орієнтальні мотиви не вичерпують себе винятково у спеціально присвячених подорожнім враженням поетичних циклах. Вірування, легенди і перекази східних народів проникали також в інші вірші поетеси. Так, у поезії «Співець» Лесі Українки містяться ремінісценції на давню перську легенду про троянду і солов'я. Троянда була найулюбленішою квіткою давніх іранців. За легендою, коли соловейко побачив троянду в ролі цариці квітів (її призначили на місце нільського лотоса), то був так заворожений її красою, що притис троянду до своїх грудей. Але колючки вп'ялися йому в серце, кров бризнула з його грудей і зросила ніжні пелюстки квітки. Тому зовнішні пелюстки троянди мають рожевий відтінок. Слово «гюль», тобто троянда, для перса – одне з

